ბინადრობის ნებართვა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/court-decisions/

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2025, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2025, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2025, №5

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2025, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. მოკლევადიანი ბინადრობა

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე
უარის თქმის კანონიერება 4

მოკლევადიანი ბინადრობის
ნებართვის გაცემის საფუძველი 20

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე
ადმინისტრაციული აქტის კანონიერება 38

2. მუდმივი ბინადრობა

მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე
უარის თქმის კანონიერება 72; 90; 101; 114; 129

3. ბინადრობა ოჯახის გაერთიანების მიზნით

ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის
მოპოვების წინაპირობები 145

4. შრომითი ბინადრობა

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე
უარის თქმის კანონიერება 158; 166; 181

5. მოქალაქეობა

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე
უარის თქმის კანონიერება 193

1. მოკლევადიანი ბინადრობა

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-1202(კ-23) 20 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. მ-იმ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №1000828392 გადაწყვეტილება; ბ) დაევალოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2022 წლის 03 ოქტომბერს ვ. მ-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მოითხოვა; ბ) საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, ვ. მ-ი წარმოადგენს უძრავი ნივთის, მდებარე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ..., ...ის ქუჩა №7ა (ს/კ ...) მესაკუთრეს. შპს „...“-ის მიერ 2019 წლის 23 დეკემბერს მომზადებული დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის საბაზ-

რო ღირებულება შეფასების თარიღისთვის არის 1 374 771 ლარი; გ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2022 წლის 04 ოქტომბერს წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. აღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის SSG 3 22 00205456 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება; დ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №1000828392 გადაწყვეტილებით, ვ. მ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-9 პუნქტზე, მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის „კ" პუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტზე, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტზე, მე-17 მუხლის მე-10 პუნქტზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, 12^2 მუხლზე, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სააგენტომ შეამოწმა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-6 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის SSG 3 22 00205456 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის მე-6, მე-7 მუხლებზე მითითებით სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებასთან გვაქვს საქმე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები, იმდენად, რამდენადაც ორი ან რამდენიმე შესაძლო სამართლებრივ შედეგს ადგენს და აძლევს ორგანოს შესაძლებლობას, აირჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცვას ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის შესაძლებლობა – კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებებიდან რომელი გამოიყენოს. უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიენიჭა ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება „შეცდომა დისკრეციაში“ – დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილება ან/და იმ მიზნის უგულებელყოფა, რის მისაღწევადაც ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს იგი. სააგენტომ აღნიშნული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებ-

ლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემოწმებინა წერილის საფუძვლად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, ცალსახაა, რომ სააგენტოს სადავო გადაწყვეტილების მოტივირება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების გამოყენებით, შეესაბამება კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილ იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. ამასთან, სასამართლოს მიერ საიდუმლო ინფორმაციის შესწავლა და შემოწმება განხორციელდა კანონით დადგენილი წესით, მათი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებულმა ფაქტებმა ასახვა ვერ ჰპოვა სასამართლო გადაწყვეტილებაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას. შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სარჩელი არ დააკმაყოფილა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-იმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინებით ვ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შე-

საბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მიზანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უპირველესად ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის შექმნას სამართლებრივი გარანტიები და დაიცვას უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა. ამრიგად, სახელმწიფოს დისკრეცია – იკისროს ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ – შემოსაზღვრულია თავად კანონმდებლის მიერ ზემოაღნიშნული ინტერესების ურთიერთკავშირით. ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან გაკეთებული ამგვარი არჩევანი გაცხადებული მიზნის კვალდაკვალ არ არის თვითნებური, გამორიცხავს ყოველგვარ დიფერენციაციას ნორმაში მითითებული ნიშნით და წარმოადგენს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის მიღწევის დასაშვებ, პროპორციულ და აუცილებელ საშუალებას – საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების უზრუნველყოფით სამართლებრივი გარანტიები შექმნას სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის „ლ" ქვეპუნქტზე მითითებით პალატამ განმარტა, რომ კანონმდებლის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციული უფლებამოსილების დელეგირება გულისხმობს მისთვის გარკვეულ საკითხში მოქმედების თავისუფლების მინიჭებას, უფლებამოსილების განსაზღვრას, გარკვეული საკითხის გადაწყვეტის ორი ან მეტი ალტერნატივიდან შეარჩიოს ერთ-ერთი მისი შეხედულებისამებრ. დისკრეციის ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანოს ამოცანას წარმოადგენს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევას შეუსაბამოს ოპტიმალური გადაწყვეტა კეთილსინდისიერად, მიუკერძოებლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და

თვითნებობის გარეშე. ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია, გადაწყვეტილება ემყარებოდეს კანონით წინასწარ განსაზღვრულ, ობიექტურ და გადამოწმებად კრიტერიუმებს. ასეთ პირობებშია შესაძლებელი გადაწყვეტილების მიმღები პირების თვითნებობის, მიკერძოებულობისა და დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და დიფერენცირების საფრთხეების მაქსიმალურად გამორიცხვა. ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციულ დისკრეციას, პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, თან ახლავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომეტებული რისკი და აუცილებელია, ადმინისტრაციული ორგანოსთვის დისკრეციის დელეგირება ხდებოდეს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების, პირობების შესაბამისად, რაც მინიჭებულ უფლებამოსილებას მოაქცევს სამართლებრივ ჩარჩოში და უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის დაცვას დისკრეციის მიზნებსა და მისი ბოროტად გამოყენების რისკს შორის. ამასთან, განჭვრეტადს გახდის დისკრეციის განხორციელების საფუძველს და წინაპირობებს ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებული პირისათვის.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის განხორციელების საშუალების ერთ-ერთ სახედ კანონმდებელი ბინადრობის ნებართვას მიიჩნევს, რომელიც სააგენტოს მხრიდან გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე. მითითებული საკანონმდებლო აქტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით პალატამ აღნიშნა, რომ საფუძველები ამომწურავია, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ ნორმით მითითებული საფუძველი შეიძლება გახდეს უარის თქმის წინაპირობა და ეხმიანება კანონით განსაზღვრულ მიზანს – სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფას. ამავდროულად, კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, ნორმაში მითითებული საფუძვლის მიუხედავად, გასცეს ბინადრობის ნებართვა, რაც კანონმდებლის მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების დაშვებაზე მიუთითებს. განსახილველ შემთხვევაში სწორედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით აპელანტს უარი ეთქვა მოკლევადიანი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. სადავო აქტის გამოცემის საფუძველი კი, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის SSG 3 22 00205456 წერილი გახდა, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს ვ. მ-ისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის

გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სააგენტომ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამოწმა ვ. მ-ის მიმართ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების მოთხოვნათა არსებობის საფუძველი. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი წარმოადგენს სწორედ კანონით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე მითითებით პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. შესაბამისად, მისი დასკვნა – წერილი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას, რომლის გათვალისწინებაც სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოსათვის. მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში ანიჭებს უფლებას სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს და მხარეებისთვის ხელმისაწვდომი არ არის, დაადასტურა, რომ სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნის შესაბამისად, რასაც განსაზღვრავს კანონი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, მას შეეძლო მიეღო „ვ. მ-ისათვის საქართველოში მოკლევადიანი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ" გადაწყვეტილება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ"

საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-იმ.

საკასაციო საჩივრის თანახმად, მოსარჩელე მუდმივად საცხოვრებლად საქართველოში დასახლდა 2013 წელს, ხოლო 2014 წლიდან, 8 წლის განმავლობაში ფლობდა მოკლევადიან ბინადრობის ნებართვას. მნიშვნელოვანია, რომ მასთან ერთად საქართველოში საცხოვრებლად გადმოვიდნენ მეუღლე, შვილი, შვილის მეუღლე და შვილიშვილები, რომლებიც ფლობენ ბინადრობის ნებართვას (გარდა მეუღლისა). შესაბამისად, ნათელია, რომ კასატორი და მისი ოჯახის წევრები საქართველოში სრულად ჩართულნი არიან საზოგადოებრივ და სოციალურ ურთიერთობებში. გარდა ამისა, მოსარჩელე საქართველოში მონაწილეობს შშმ ბავშვების ხელშეწყობისა და სხვადასხვა სახის დამხმარე პროგრამებში, უანგაროდ ეხმარება მრავალ მშობელს და შშმ ბავშვს, ახორციელებს სამეცნიერო საქმიანობას და არის დამსახურებული პროფესორი. იმის გამო, რომ მოსარჩელე 77 წლის არის და ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, აქტიურად ვეღარ ახორციელებს სამეცნიერო საქმიანობას და უფრო საჯარო ლექციებით შემოიფარგლება. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელის პიროვნება, მისი სამეცნიერო საქმიანობა, ინტეგრაცია საქართველოს საზოგადოებრივ და სოციალურ წრეებში, საქველმოქმედო საქმიანობა და ისე შეაფასოს მისი კერძო ინტერესი.

საკასაციო საჩივრის თანახმად, ყოველდღიურად გაიცემა ბინადრობის ნებართვები უცხოელებზე, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე. აღნიშნულს მოწმობს მოსარჩელის ოჯახის წევრებზე გაცემული ბინადრობის ნებართვებიც, თუმცა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ჩათვალა, რომ მოსარჩელის საქმიანობა წარმოადგენს საფრთხეს და უპირისპირდება სახელმწიფო ინტერესს. გაურკვეველია, რა შეიცვალა და რა ახალი ინფორმაცია მიიღო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოსარჩელის შესახებ, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს არც საქმიანობა შეუცვლია და არც რაიმე ახალი აქტივობა ჰქონია. პირიქით, ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მან შეამცირა მისი აქტივობები.

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ ნაწილზე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ სასამარ-

თლომ არათუ სზაკ-ის მე-7 მუხლით დადგენილი სტანდარტით შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, არამედ საერთოდ არ მიუთითა მოსარჩელის კერძო ინტერესის არსებობაზე და სააგენტოს მსგავსად გაიზიარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა. ასეთი გადაწყვეტილებით ირღვევა ოჯახის ერთიანობის პრინციპი, ერთი მხრივ, მოსარჩელის ოჯახის ყველა წევრს სახელმწიფო უგრძელებს ბინადრობის ნებართვებს, ხოლო მეორე მხრივ, მოსარჩელესა და მის მეუღლეს აიძულებს დატოვონ საქართველო.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 1 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) 2022 წლის 03 ოქტომბერს ვ. მ-იმ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მოითხოვა; ბ) საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ნივთი, მდებარე: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ..., ...ის ქუჩა №7ა, ს/კ ..., ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 1700 კვ.მ, საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ვ. მ-ის სახელზე. შპს „...“-ის მიერ 2019 წლის 23 დეკემბერს მომზადებული დასკვნის თანახმად, ზემოაღნიშნული უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება შეფასების თარიღისთვის არის 1 374 771 ლარი; გ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2022 წლის 04 ოქტომბერს წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები; აღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს სახელმწი-

ფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის SSG 3 22 00205456 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება; დ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №1000828392 გადაწყვეტილებით ვ. მ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე ვ. მ-ისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და მოპასუხისთვის მოსარჩელის სახელზე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1.2).

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებუ-

ლებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის (საქართველოში ბინადრობის ნებართვის გამცემი ორგანო და ბინადრობის ნებართვის გაცემის ზოგადი პირობები) პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო.

ამავე კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილია ბინადრობის ნებართვის სახეები, მათ შორის, მოცემული მუხლის „კ“ პუნქტის თანახმად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს, აგრეთვე მის მეუღლესა და შვილზე/შვილებზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს მითითებული კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ამავე კანონის 18.2 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს

სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური, თანმიმდევრული, უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებ-

რივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2022 წლის 04 ოქტომბერს წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ინფორმაციის მისაღებად, არსებობდა თუ არა ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. აღნიშნული წერილის პასუხად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის SSG 3 22 00205456 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ვ. მ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №1000828392 გადაწყვეტილებით ვ. მ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფ-

რთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 28 ოქტომბრის SSG 3 22 00205456 წერილი წარმოადგენს სწორედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად და რასაც სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და, საბოლოო ჯამში, გაზიარების თვალსაზრისით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, გააჩნია არსებითი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მიერ 2023 წლის 25 დეკემბრის №ბს-1202(კ-23) მიმართვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნის საფუძვლიან, ერთმნიშვნელოვან ვარაუდს, რომ მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას მოკლევადიან ბინადრობის ნებართვაზე (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20[1] მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. საქართველოს კანონმდებლობაში ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ზოგადი განმარტება მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, კერძოდ, მეორე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-

ტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. შესაბამისად, როდესაც ინტერესების დაპირისპირება გარდაუვალია, მნიშვნელოვანია მათი ჰარმონიზაცია და სამართლიანი დაბალანსება.

ხაზგასასმელია, რომ ადმინისტრაციული ორგანოსთვის საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების არსებობა, ერთმნიშვნელოვნად არ განაპირობებს მისი გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სწორედ სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება. ამგვარად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე მითითება არ ქმნის სადავო აქტის საკმარის დასაბუთებას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო გადაწყვეტილება არ ემყარება საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. ამდენად, დასტურდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ განახორციელა მისთვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლებით დაკისრებული ვალდებულება – სადავო გადაწყვეტილება გამოიცა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოების და საქმის მასალების გამოკვლევისა და სათანადო შეფასების გარეშე, შედეგად, ადმინისტრაციულმა ორგანომ

მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადავო აქტის ბათილად ცნობისა და მოსარჩელის მიმართ საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების წინაპირობას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და დაკმაყოფილდეს ვ. მ-ის სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა დაეკისროს ვ. მ-ის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 (ასი), 150 (ას ორმოცდაათი) და 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე, 53.1 მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ვ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ვ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 ოქტომბრის №1000828392 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაეკისროს ვ. მ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საფუძველი

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-1258(კ-23) 31 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. გოგიაშვილი,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ბინადრობის ნებართვის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ომა 07.12.2022წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.11.2022წ. №1000838920 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში მის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი. სააგენტომ განცხადება განიხილა

ნორმატიულად დადგენილი წესების დარღვევით, სადავო აქტი გამოცემულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის გარეშე, ამდენად, ბუნდოვანია სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. მოსარჩელის მოსაზრებით, იგი სრულად აკმაყოფილებს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.2023წ. გადაწყვეტილებით მ. ბ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.11.2022წ. №1000838920 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელე მ. ბ-ოსთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ბ-ო (დაბ. ...წ.) არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე. 14.11.2022წ. მ. ბ-ომა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. 02.11.2022წ. მომზადებული ამონაწერით საჯარო რეესტრიდან დგინდება, რომ მოსარჩელე მ. ბ-ოს საკუთრებაში ერიცხება ქ. თბილისში, ... მ/რ-ში, ...ის ...ის გამზირის გადაკვეთაზე, ... მ/რ-ის №...-ში მდებარე არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის (უძრავი ქონების) 1/2 ნაწილი (ს/კ: ...) (დაზუსტებული ფართობით (498 კვ.მ.)). შპს „შ...ს“ 10.11.2022წ. №22/11-10/01 შეფასების დასკვნის თანახმად, უძრავი ქონების შეფასების ანგარიშის თანახმად – ქ. თბილისში, ... მ/რ-ში, ...ის ...ის გამზირის გადაკვეთაზე; ... მ/რ, №...-ში მდებარე 498 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) სკ: ...) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან (№1 საერთო ფართით 773.91 კვ.მ.) მ. ბ-ოს საკუთრებაში არსებული 1/2 ნაწილის საბაზრო ღირებულება, 2022 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით შეადგენდა – 756 985.60 ლარს. ამასთანავე, საქმეში დაცული ამონაწერებით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან დგინდება, რომ შპს „კ...ს“ (ს/ნ: ...), შპს „ტ...ს“ (ს/ნ: ...), შპს „ა...“ (ს/ნ: ...) და შპს „აი...ს“ (ს/ნ: ...) 50%-იანი წილების მესაკუთრეა მ. ბ-ო. საქართველოს მთავრობის 01.10.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მოპასუხე სსიპ სა-

ხელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 15.11.2022წ. №1000838920/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მოითხოვა მისთვის ეცნობებინა არსებობდა თუ არა მ. ბ-ოს მიმართ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 18.11.2022წ. SSG 1 22 00225074 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ მ. ბ-ოსთვის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ამდენად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.11.2022წ. №1000838920 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა 14.11.2022წ. №1000838920 განცხადება, მოსარჩელე მ. ბ-ოს უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სააგენტომ მიუთითა, რომ მ. ბ-ოს მიმართ არსებობდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმეში დაცული მასალების შესწავლის საფუძველზე მიიჩნია, რომ სააგენტოს 23.11.2022წ. №1000838920 სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას, რაც ქმნიდა სზაკ-ის მე-60[1] მუხლით და სასკ-ის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამძღვრებს სადავო აქტის ბათილად ცნობისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე გამოთხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო არაა უფლებამოსილი გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახოს, თუმცა სასამართლომ შეისწავლა საქმეზე წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაცია, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მინიჭებოდა მ. ბ-ოსთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის კერძო ინტერესს. ამდენად, ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებშიც, მოპასუხეს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ბინადრობის მაძიებელი პირი – საქართველოში ფლობს უძრავ ქო-

ნებას, რომლის ღირებულება აღემატება კანონმდებლობით განსაზღვრულ ზღვარს, იგი საქართველოში იმყოფება კანონიერად, საქართველოში ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას და არის შპს „კ...ს“ (ს/ნ: ...), შპს „ტ...ს“ (ს/ნ: ...), შპს „ა...“ (ს/ნ: ...) და შპს „აი...ს“ (ს/ნ: ...) 50%-იანი წილების მესაკუთრე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.2023წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.2023წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ბ-ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მ. ბ-ოს მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 100 (ასი) ლარი ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად და მოსარჩელეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ასორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე, მისთვის პრობლემური იყო მხოლოდ ამ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, ხოლო მოსარჩელისათვის სამართლებრივი შედეგი წარმოიშვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო გადაწყვეტილებით, რომლითაც მას უარი ეთქვა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატის შეფასებით, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა მათ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა. სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლზე, მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3, მე-12^2 მუხლებზე,

მე-13 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 18.11.2022წ. SSG 1 22 00225074 წერილი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოს დასკვნას წარმოადგენდა. აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სრულად დასკვნაში ვერ აისახებოდა. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული დისკრეცია არ არის განუსაზღვრელი, იგი საჭიროებს განსაკუთრებულ დასაბუთებას, რათა გამოირიცხოს პირის უფლებების ხელყოფის ფაქტები. ასეთ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს როლი, რომელიც სარჩელის არსებობის პირობებში ვალდებული იყო შეემოწმებინა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებების გამოყენების კანონიერების ფარგლები. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე სააპელაციო პალატის მიერ გამოთხოვილი იქნა სადავო აქტის გამოცემის საფუძველი – კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, რომლითაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა კვლავ დაადასტურა დასკვნის შინაარსი. სააპელაციო პალატამ მიუთითა სზაკ-ის მე-6, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მინიჭებული აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პირისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გაცნობის შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები ქმნიდა მოსარჩელის მხრიდან ქვეყნის უშიშროებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე საფუძვლიან ვარაუდს. შესაბამისად, მოპასუხე უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გა-

ცემაზე უარის თქმის შესახებ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ინ-ფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილია მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. ამ ინფორმაციის გამოკ-ვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით, სრულად და ყო-ველმხრივ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მი-თითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. შესა-ბამისად, სააგენტოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება „უც-ხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომა-რეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნ-ქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დანაწესების გამოყენებით, არ ეწინააღ-მდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელე მ. ბ-ოს მიერ. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასა-მართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასაბუთება მოკლე-ბულია საამისოდ გათვალისწინებულ იურიდიულ წანამძღვრებს. კასა-ტორმა ყურადღება გაამახვილა ბინადრობის ნებართვის სამართლებ-რივ მნიშვნელობაზე, მისი გაცემის თანამდევ შედეგებსა და ამ სფერო-ში სახელმწიფოს ვალდებულებებზე. ამასთან, კასატორმა აღნიშნა, რომ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ადმინისტრაციულ ორგანოს ანი-ჭებს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილები-დან ყველაზე მისაღები („პროპორციული“) გადაწყვეტილების შერჩე-ვის დისკრეციულ უფლებამოსილებას. კასატორის მოსაზრებით, მოცე-მულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უსწოროდ შეაფასა სა-ხელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტა-მენტის 18.11.2022წ. SSG 1 22 00225074 წერილის შინაარსი, ამდენად, არასწორად მიიჩნია სააგენტოს მიერ მისთვის მინიჭებული დისკრეცი-ული უფლებამოსილების კანონმდებლობით გათვალისწინებული მიზ-ნების შესაბამისად განხორციელების ფაქტის არსებობა. მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც კასატორისთვის არ არის ხელმისაწვდომი ის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც საფუძ-ვლად უდევს ასეთ ფაქტებს და რომლებსაც დაეყრდნო სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გა-მოთხოვილ მასალებში ვერ ამოიკითხავდა ვერცერთ ისეთ საეჭვო გა-რემოებას, რომლებიც მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის გონივრულ სტანდარტს მა-ინც დააკმაყოფილებდა ან/და ამგვარი ვარაუდის საფუძველს წარმო-შობდა. საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, კასატორმა მოიხმო

მსგავს საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 26.10.2023წ. N№ბს-907(კ-20) საქმეში გაკეთებული განმარტებები და აღნიშნულზე დაყრდნობით, ხაზი გაუსვა სადავო გადაწყვეტილებაში დაშვებულ არსებით სამართლებრივ შეუსაბამობს. კასატორმა დამატებით მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგ გადაწყვეტილებებზე: Case of Liu v. Russia, App. No.42086/05, 06.12.2007წ., Case of Lupsa v. Romania, App.No.10337/04, 08.06.2006წ., Case of Al-Nashif v. Bulgaria, App.No. 50963/99, 20.06.2002წ. და აღნიშნა, რომ როდესაც საკითხი უკავშირდება ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვას, ხელისუფლებისთვის მინიჭებული სამართლებრივი დისკრეცია შეუზღუდავი არ არის, მნიშვნელოვანია, არსებობდეს დაცვის ეფექტიანი გარანტიები ასეთი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგოდ, ამასთან, სასამართლო განხილვა არ უნდა ატარებდეს ფორმალური სახეს, აუცილებელია ინდივიდი მაქსიმალურად იყოს დაცული ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გამოვლენილი თვითნებობისაგან.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მ. ბ-ოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების მიხედვით, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე, არც ზეპირი და არც წერილობითი ფორმით, სააგენტოს სადავოდ არ გაუხდია მ. ბ-ის მიერ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის აუცილებელი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-12^2 მუხლებით გათვალისწინებული ფორმალური საკანონმდებლო წინაპირობების არსებობა. ამდენად, ამ თვალსაზრისით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დად-

გენილი ფაქტობრივი გარემოებები მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის საჭირო ფორმალური წინაპირობების არსებობა. საქმის სწორად გადაწყვეტის მიზნით უნდა გაირკვეს კასატორ მ. ბ-ოს მიმართ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საკანონმდებლო საფუძვლების არსებობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.03.2023წ. გადაწყვეტილების მიხედვით, საკითხთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია არ ქმნიდა მ. ბ-ის მიმართ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმით დაცული საჯარო ინტერესის კერძო ინტერესზე აღმატებულად მიჩნევის საკმარის იურიდიულ საფუძველს. რაც შეეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების მიზანი ამართლებდა მოსარჩელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის არსს. ამდენად, დავის კანონიერი გადაწყვეტა საჭიროებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 18.11.2022წ. SSG 1 22 00225074 წერილში ასახული დასკვნის და იმ ფაქტობრივი მონაცემების სრულყოფილად გამოკვლევას, რომელიც ამ დასკვნას უდევს საფუძვლად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, ბინადრობის და გაძევების საკითხები განეკუთვნება სახელმწიფოს თვითმყოფად, ექსკლუზიურ და სუვერენულ პრეროგატივას მიგრაციის სფეროში, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, მათ შორის საქართველოში მდებარე უძრავი ქონების უცხოელის საკუთრებაში აღრიცხვის პირობებში, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ამ მიმართულებით სახელმწიფოს შეფასების ფართო ფარგლები აქვს, მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. სახელმწიფოებს აქვთ უფლება აკონტროლონ თავიანთ ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები, ევროკონვენცია არ უზრუნველყოფს უცხოელისთვის კონკრეტული ტიპის ბინადრობის ნებართვის მიღების უფლებას და არც სა-

ხელმწიფოს უწესებს რაიმე ვალდებულებას კონკრეტული კატეგორიის ნებართვის პირისათვის მინიჭების შესახებ, ამასთან, ევროკონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ცხოვრების უფლების გარანტირებას (ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Mirzoyan v. the Czech Republic, App. Nos. 15117/21 და 15689/21, 16.08.2024წ. §76). ამასთანავე, სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს. საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის თანახმად საქართველოში შემოსვლის და ყოფნის ერთ-ერთი საფუძველია ბინადრობის ნებართვა (მე-5 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), მისი გაცემა ხდება საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, თუ იგი კანონით განსაზღვრულ წინაპირობებს აკმაყოფილებს (14.1 მუხ.). კანონის მე-15 მუხლი ადგენს ბინადრობის სახეებსა და კონკრეტული სახის ბინადრობის ნებართვის გაცემის ფორმალურ წინაპირობებს. კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის სახეებს შორის სახელდება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოში მდებარე კონკრეტული ღირებულების უძრავ ქონებაზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) საკუთრების უფლების მქონე უცხოელზე. განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სადავო არ გამხდარა მოსარჩელის საკუთრებაში კონკრეტული ღირებულების უძრავი ქონების აღრიცხვის ფაქტი, თუმცა მის სახელზე ბინადრობის ნებართვის გაცემა არ მოხდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის საფუძვლით. ამ თვალსაზრისით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა, კერძოდ, სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს. პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნათა დაცულობა, როგორებიცაა: უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენა, სააგენტოში განცხადების კანონით დადგენილი ფორმით შეტანა, ასევე ბინადრობის ნებართვის კონკრეტული სახის გაცემისთვის საჭირო კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენა. უკეთუ აღნიშნული წინაპირობები სახეზეა და არ არსებობს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ფორმალური საფუძ-

ვლები, მეორე ეტაპზე მოწმდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არ-მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველ-ყოფის საკითხებს. თუ სააგენტოში წარდგენილი განცხადება არ აკმა-ყოფილებს ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს, აღ-ნიშნული დამოუკიდებლად ქმნის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უა-რის თქმის საფუძველს (კანონის 18.1 მუხ. „ი“ ქვ.პ.) ისე, რომ შემონმე-ბას უკვე აღარ საჭიროებს განცხადების შინაარსობრივი მხარე, კონ-კრეტულ პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობა, ბინადრობის ნებართვის გაცემის გავლენა სახელმწიფო ან/და საზოგა-დოებრივი უსაფრთხოებისა თუ წესრიგის დაცვაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკ-მაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებარ-თვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, სააგენტოში წარდგენილი გან-ცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სა-ხის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმა-ყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბი-ნადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სათანადოდ უნდა იკვეთებო-დეს უარის თქმის საფუძველი. განსახილველ შემთხვევაში, სააპელა-ციო პალატამ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარე-ბის სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავ-შირებით ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოე-ბის სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოქმედებდა რა დისკრეციული უფლე-ბამოსილების ფარგლებში, უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს და ამდენად, იგი მოკლებული იყო მოსარჩელეზე მოკლევადიანი ბინად-რობის ნებართვის გაცემის კერძო ინტერესით დეტერმინირებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში დადებითი გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შე-სახებ და აღნიშნავს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ სახელმწი-ფო სერვისების განვითარების სააგენტო და არა სახელმწიფო უსაფ-რთხოების სამსახური, რომლის დასკვნაც არის სააგენტოს გადაწყვე-ტილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი და არა ერთადერთი ფაქტორი,

დაინტერესებული პირისათვის სამართლებრივ შედეგს იწვევს არა კონ-ტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, არამედ საქმის გარემოებ-ების გამოკლვევის, მათ შორის აღნიშნული დასკვნის შეფასების, დაპი-რისპირებულ ინტერესთა ურთიერთშეჯერების შედეგად სააგენტოს მი-ერ მიღებული გადაწყვეტილება. ცალკე აღებული უცხოელისათვის ბი-ნადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ სახელმწი-ფო უსაფრთხოების სამსახურის წერილი არ არის აბსოლუტური ხასია-თის და არ ასაბუთებს სააგენტოს გადაწყვეტილების კანონშესაბამი-სად მიღებას. საკითხის გადაწყვეტის მიზნით მიმდინარე ადმინისტრა-ციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლოა დასჭირდეს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან გარკვეუ-ლი ინფორმაციისა და მონაცემების გამოთხოვა, რომელთაც შესაძლოა განმსაზღვრელი მნიშვნელობა მიენიჭოთ საკითხის გადაწყვეტისთვის, თუმცა ეს სრულებით არ გულისხმობს საკითხზე გადაწყვეტილების მიმ-ღებად იმ ორგანოს მიჩნევას, რომელმაც მხოლოდ სათანადო ინფორ-მაციის მიწოდება მოახდინა. უკეთუ საკითხზე გადაწყვეტილების მიმ-ღები ორგანო სრულად დამოკიდებულია სხვა სუბიექტის მიერ მიწო-დებულ მოსაზრებებზე იმდაგვარად, რომ მას ამ მოსაზრებებისგან გან-სხვავებული გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია, მაშინ იგი რეალუ-რად აღარც არის გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. თავისი ნორმა-ტიული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე სახელმწიფო უსაფ-რთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის განმარტე-ბები სახელმწიფო უშიშროების თუ საზოგადოებრივი წესრიგისათვის საფრთხის შექმნის შესახებ გასათვალისწინებელია, თუმცა არ გამოი-რიცხება სააგენტოს, როგორც უცხოელისათვის ბინადრობის მინიჭე-ბის საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ კონტრდაზ-ვერვის დეპარტამენტის მოსაზრებების გაზიარებაზე უარის თქმა ან მათი გაზიარების მიუხედავად, საჯარო და კერძო ინტერესების ურთი-ერთშეპირისპირების შედეგად, პროპორციულობის პრინციპის დაცვით გადაწყვეტილების კერძო ინტერესების სასარგებლოდ მიღება. ამდე-ნად, ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით წარდგენილი გან-ცხადების საფუძვლიანობაზე მსჯელობისას სააგენტოს ევალებოდა არა მხოლოდ ბინადრობის ნებართვის გაცემის ფორმალური წესების დაცვა, არამედ საკითხის შინაარსობრივი შესწავლაც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში ბინადრობის ნე-ბართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავ-რობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (კანონის 17.10 მუხ.). სა-ქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკი-ცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მიხედვით, „უცხოელთა და მოქა-

ლაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად სააგენტო ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან (13.5 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით, რომლებიც ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას უცხოელის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივ წესრიგისთვის საფრთხის შემქმნელი საქმიანობის განხორციელებისას. საკასაციო პალატის მიერ 09.10.2024წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას, სააგენტოს სადავო აქტის გამოცემას. საკასაციო პალატა გაეცნო კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს და მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი დაუსაბუთებელია. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით („ა“, „გ“ ქვ.პ.) გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დასადგომად – ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული საკვანძო წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრება ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი, მისი მოსაზრება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა სწორედ სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით, თუმცა საქმის მასალებით და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობა სათანადოდ არ არის დასაბუთებული. საკასაციო პალატა აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შედეგად თვლის, რომ უპირატესობა კერძო ინტერესს უნდა მიენიჭოს.

საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში მ. ბ-ოს საქართველოში ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა არ დასტურდება, რაც სააგენტოს სადავო აქტის და ამდენად, სააპელაციო პალატის შეფასების არამართლზომიერებას ადასტურებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნა არ გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მაშინაც კი, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი შესაძლოა შეიზღუდოს, უკეთუ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა სათანადოდ ასაბუთებს საჯარო ინტერესის დაცვის პრიმატს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ალბათობის საკმარისი ხარისხით ვერ ადასტურებს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას. საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა არ ქმნის სავარაუდოობის გარკვეულ ხარისხს, რაც შექმნის გონივრულ ეჭვს, დასაბუთებულ მოლოდინს უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოების არსებობის, ბინადრობის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ. საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოში წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსი ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, კანონითვე დადგენილი გამონაკლისის გარდა საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს (1-ლი პ.), საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს (მე-3 პ.). ამდენად, ბინადრობის ნებართვის გაცემით სახელმწიფოსა და უცხოელს შორის ჩამოყალიბებული სამართალურთიერთობის შედეგად, სახელმწიფო უცხოელის მიმართ გარკვეული ვალდებულებებით იტვირთება. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემა ხდება არა ერთეულ შემთხვევებში, არამედ ჯამურად მრავალ პირზე, შესაძლოა მოხდეს სახელმწიფოს დამატებითი ვალდებულებებით გადატვირთვა, რაც სახელმწიფოს შეზღუდული რესურსის მხედველობაში მიღებით არ იქნება საჯარო ინტერე-

სის შესაბამისი. ზემოაღნიშნულის გარდა მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვა არაერთი ინტერესი, რომლის დაცვასაც სახელმწიფოში უცხოელის ყოფნის რეგულირება ემსახურება. ქვეყანაში უცხოელთა შემოსვლისა და ყოფნის რეგულირება ხორციელდება არალეგალურ იმიგრაციასთან ბრძოლის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის, სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფისა და დანაშაულთან ბრძოლის მიზნით (19.01.2012წ. „Popov v. France“ (§137)). საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს, არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს („უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25.4 მუხ.). შესაბამისად, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემისას ყოველთვის არსებობს საჯარო ინტერესი, რომლის დაცვის საჭიროებაზე მითითებაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თუმცა რომელიმე საჯარო ინტერესზე აბსტრაქტული მითითება როგორც წესი არ ქმნის უცხოელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სათანადო, თვითკმარ დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად უთითებს ისეთ საჯარო ინტერესზე, როგორიცაა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, თუმცა არ დგინდება მოსარჩელის საქართველოში ყოფნის ნებართვის გაცემით აღნიშნული საჯარო ინტერესის რეალიზებისთვის საფრთხის შექმნა. სახელმწიფო უშიშროების საფრთხე ფარდობითი კატეგორიის ცნებაა, მას არ ახასიათებს აბსოლუტური განსაზღვრულობა, თუმცა იმისთვის, რომ მასზე მითითებით უცხოელს საქართველოში ყოფნაზე ეთქვას უარი, აუცილებელია მოსალოდნელობის გარკვეული ვარაუდი შეიქმნას, განსახილველ შემთხვევაში მსგავსი გონივრული ვარაუდის არსებობა არ დგინდება. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სასამართლოს სათანადო კონტროლის სფეროდან აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება არ გამოირიცხება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ დასაბუთებისას მან ტერმინი „სახელმწიფო უსაფრთხოება“ მოიშველია ან თავის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მიუთითა. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სასამართლოს სათანადო კონტროლი მხოლოდ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გაცნობას არ უკავშირდება. იგი ვრცელდება მის შეფასებაზე, იდენტიფიცირებადი კერძო და საჯარო ინტერესების შეპირისპირებასა და, დაუსაბუთებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს პოზიციის გაზიარებაზე უარის თქმაზეც. მიჩნეულია, რომ სა-

ხელმწიფო უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღებისას სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლები განსაკუთრებით ფართოა (26.03.1987წ. „Leander v. Sweden“), მაგრამ ეს არ გამორიცხავს აუცილებლობისა და პროპორციულობის საკითხების შეფასების, საჯარო და კერძო ინტერესის ურთიერთშეპირისპირების საჭიროებას. ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება (20.06.2002წ. „Al-Nashif v. Bulgaria“ (§123, 124), 15.11.1996წ. „Chahal v. The United Kingdom“ (§127, 145)). ამდენად, ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და რომ მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში საკითხზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძვლად არსებული საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა, შესწავლა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში განხილვა არ დასტურდება, თუმცა აღნიშნული ხარვეზი შესაძლებელია აღმოიფხვრილიყო სააგენტოს სადავო აქტის მართლზომიერებაზე სააპელაციო პალატის რეალური, ქმედითი კონტროლის განხორციელებით. სააპელაციო პალატას გააჩნდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე სრული კონტროლის განხორციელების კანონისმიერი კომპეტენცია: მან გამოითხოვა კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული საიდუმლო ინფორმაცია, გაეცნო მას და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის გაზიარების შესახებ. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სამართლებრივად უსწოროდ შეაფასა სადავო აქტის გამოცემის საფუძველი – კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა, რომლითაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა დაადასტურა თავდაპირველად გაცემული დასკვნის შინაარსი. უკვე აღინიშნა, რომ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, საკასაციო პალატამ გამოითხოვა სადავო აქტის გამოცემის საფუძვლად არსებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული ინფორმაცია და შეაფასა საქმეში დაცულ მტკიცებულებებთან, მხარეთა ახსნა-გან-

მარტებებთან ერთობლიობაში. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი სრულად დაცულია, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მინიჭებული დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად სასამართლოს მხრიდან განხორციელდა „ადეკვატური და ქმედითი“ პროცედურები საქმის „ეფექტიანი განხილვის“ მიზნით (08.06.2006წ. „Lupsa v. Romania“ (§34)). მართალია, უშუალოდ მხარე ვერ გაეცნო სადავო აქტის საფუძვლად არსებულ მონაცემებს, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შესწავლილი და შეფასებული იქნა საკასაციო პალატის მიერ. კერძო პირის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან დაშვება არ ხდება, თუმცა სადავო გადაწყვეტილებები დაექვემდებარა სრულ სასამართლო კონტროლს, რა დროსაც საკასაციო პალატამ მოახდინა საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირება. ასეთ დროს პირის მიერ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით სათანადო შესაგებლის წარდგენის შეუძლებლობის მიუხედავად, უცხო ქვეყნის მოქალაქის უფლება დაცვის გარეშე არ რჩება, რადგან სასამართლო აფასებს არა მხოლოდ საჯარო ინტერესს, არამედ კერძო პირის ინტერესებსაც, რის შემდეგაც იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, თუმცა ინფორმაციის საიდუმლოების ინტერესის გათვალისწინებით, სათანადო დასაბუთების ასახვა გადაწყვეტილების ტექსტში არ ხდება. საიდუმლოების დაცვა ილუზორული იქნებოდა, თუ საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია სასამართლოს გადაწყვეტილების ტექსტის გაცნობით გახდებოდა ცნობილი. კომპეტენტური დამოუკიდებელი ორგანო აღჭურვილი უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების მოსაზრებების უარყოფის შესაძლებლობით, თუ იგი ამ მოსაზრებებს დაუსაბუთებლად და თვითნებურად ჩათვლის (ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „Al-Nashif v. Bulgaria“, §132, 137). განსახილველ შემთხვევაში, ასეთი ორგანო სასამართლოა, იგი დამოუკიდებელია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, ამასთანავე, აღჭურვილია ქვეყანაში უცხოელის დაშვებასა და ყოფნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების საფუძვლად არსებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის და არასარწმუნოობისა თუ დაუსაბუთებლობის შემთხვევაში საიდუმლოდ მიჩნეულ ინფორმაციაში ასახული მონაცემების გაზიარებაზე უარის თქმის, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის უფლებამოსილებით, რის გამოც საკასაციო პალატა თვლის, რომ მოსარჩელემ ისარგებლა თავისი უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალებით. ის გარემოება, რომ კოტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საიდუმლო ინფორმაცია სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია, საკასაციო პალატას არ უზღუდავს აღნიშნული ინფორმაციის არსათანადოდ დასაბუთებულად

ჩათვლის შესაძლებლობას, რადგან საკასაციო პალატა, როგორც ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი უმაღლესი ინსტანციის სასამართლო, არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც არის შეამოწმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებების მართებულობა. მაშინ როდესაც დავა სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ წესრიგის ინტერესების დაცვას ეხება და ბინადრობის მაძიებელი პირი სადავო აქტის გამოცემის საფუძვლების გასაიდუმლოების გამო სადავო აქტის კანონიერებასა თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა დასაბუთებებთან მიმართებით ვერ ახდენს სრულყოფილი პრეტენზიის წარდგენას, სააპელაციო პალატის მოსაზრებები კონკრეტული მტკიცებულების, მათი თანამდევი სამართლებრივი შედეგების შესახებ არ ართმევს საკასაციო პალატას განსხვავებული შეფასების გაკეთების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საკასაციო წესით გასაჩივრება ფაქტობრივად აზრს დაკარგავდა. ამასთანავე, მართალია საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი საიდუმლო ინფორმაციის საფუძველზე პირისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის დასაბუთებულობის შეფასება არ არის მოცული ფაქტის დადგენის საკითხით.

მართალია, სააგენტოს არ გამოუთხოვია და შეუფასებია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძვლად არსებული დასკვნა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სადავო აქტის კანონიერებაზე კონტროლის განმახორციელებელმა მართლმსაჯულების უმაღლესმა საკასაციო ორგანომ – საკასაციო პალატამ სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე მოახდინა კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული საიდუმლო ინფორმაციის გამოთხოვა, გაცნობა და მისი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში შეფასება, რამაც ადმინისტრაციული წარმოებისას დაშვებული ხარვეზების თანამდევი შედეგების აღმოფხვრა უზრუნველყო. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის შეფასებები უსაფუძვლოა და არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი, რადგან სააგენტოს გასაჩივრებულ აქტზე სრული სასამართლო კონტროლის განხორციელების ფარგლებში საკასაციო პალატა გაეცნო მ. ბ-ოს მიმართ ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლად არსებულ საიდუმლო ინფორმაციას, რის შედეგადაც თვლის, რომ ალბათობის შესაბამისი ხარისხით არ დგინდება ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების არსებობა, რაც თავის მხრივ, სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგის არამართლზომიერებას ადასტურებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და მ. ბ-ოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი. რაც შეეხება მხარეთა შორის ხარჯების განაწილების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. მ. ბ-ოს მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 (ასი) ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე 300 (სამასი) ლარი უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 (ას ორმოცდაათი) ლარი უნდა დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. ბ-ოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2023წ. გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ბ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 23.11.2022წ. №1000838920 გადაწყვეტილება და დაევალოს მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელე – მ. ბ-ოსთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მ. ბ-ოს (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ სარჩელზე გადახდილი 100 (ასი) ლარის და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 150 (ას ორ-

მოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული აქტის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-814(კ-22) 15 აპრილი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. გოგიაშვილი,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ბინადრობის ნებართვის გაცემა და მოქმედების ვადის გაგრძელება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. რ-იმა 07.12.2020წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ, სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად, მოსარჩელემ მოითხოვა სააგენტოს 27.11.2020წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება (იხ. 16.07.2021წ. სხდომის ოქმი).

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც რამდენიმე წელია იმყოფება საქართველოში. მას საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი, რის გათვალისწინებითაც მის სახელზე ორჯერ იყო გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა. მოსარჩელე აკმაყოფილებს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის კანონმდებლობით დადგენილ წინაპირობებს. გაურკვეველია სადავო აქტის გამოცემის საფუძვლები, მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ადგილი ჰქონდა საქმის

ფაქტობრივ გარემოებათა სათანადო გამოკვლევის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.07.2021წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 27.11.2020წ. №1000726540 გადაწყვეტილება, სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. რ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად უფლებამოსილი იყო გამოეთხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეერჩია ყველაზე ხელსაყრელი გადაწყვეტილება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას შეუძლია ზემოქმედება იქონიოს მმართველობის ამ სფეროზე. თუმცა, არ არსებობს აბსოლუტური დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა. უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები. მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. სასამართლო მიუთითა, რომ იგი პრიორიტეტულად მიიჩნევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხებს, თუმცა მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო თანმიმდევრული, რაც გამორიცხავს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად, სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთო-

ხების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია. გადმოცემული ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის), ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა რ. რ-ისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.07.2021წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.2022წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.07.2021წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის მიხედვითაც, რ. რ-ი არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც რამდენიმე წელია იმყოფება საქართველოში, მას საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №.../...ის ქუჩა N...-ში მდებარე ბინა №..., ფართით 64.40 კვ.მ. (მშენებარე), სართული 12 (საკადასტრო კოდი ...). 16.12.2017წ. მდგომარეობით შედგენილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ანგარიშიდან (ხელმომწერი კ. ზ-ის მიერ) ირკვევა, რომ რ. რ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია 102 000 ლარით (შეფასების პერიოდში მოქმედი კურსით – 40 000 აშშ დოლარი). რ-ის სახელზე ორჯერ იყო გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.01.2018წ. №1000585653 გადაწყვეტილებით რ. რ-ის მიეცა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, 2018 წლის 17 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე. სააგენტოს 24.12.2019წ. №1000694357 გადაწყვეტილებით რ. რ-ის

გაუგრძელდა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა – 2020 წლის 25 დეკემბრამდე. 30.10.2020წ. რ. რ-იმა კვლავ მიმართა სააგენტოს №1000726540 განცხადებით საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 27.11.2020წ. №1000726540 სადავო გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონს მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით. სააგენტოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 26.11.2020წ. SSG 9 20 00146423 დასკვნა, რომლის მიხედვით კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული რ. რ-ის სახელზე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა. სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლზე, მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტზე, მე-16 მუხლის მე-4 პუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებზე, საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-3, მე-12^2 მუხლებზე, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე და აღნიშნა, რომ სააგენტოს სადავო აქტი მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივი საფუძველი – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 26.11.2020წ. წერილი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოს დასკვნაა. აღნიშნულ დოკუმენტს საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომელიც კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, დასკვნაში სრულად ვერ მიეთითებოდა. სააპელაციო პალატამ მიუთითა სზაკ-ის მე-6, მე-7 მუხლებზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მინიჭებული აქვს ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პირისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებით გადაწ-

ყვეტილების მიღებისას. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის გაცნობის შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდა მოსარჩელის მხრიდან ქვეყნის უშიშროებისთვის საფრთხის შექმნის თაობაზე საფუძვლიან ვარაუდს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილია მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. თავის მხრივ, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავს იმ შინაარსის ინფორმაციას, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. ასევე არ დასტურდებოდა მოსარჩელის მიერ იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი მართებულად დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.2022წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. სააგენტომ ყურადღება გაამახვილა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების სამართლებრივ მნიშვნელობაზე, თანამდევ შედეგებზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამ-

დენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის მიხედვით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება, სააგენტო არ არის უფლებამოსილი კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას გაუწიოს რევიზია. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის პირობებში სააგენტო მოკლებულია დადებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სადავო აქტი გამოიცა ნორმატიულად დადგენილი წესების დაცვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ რ. რ-ი არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც რამდენიმე წელია იმყოფება საქართველოში. მას საკუთრებაში ერიცხება საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში, ...ის ქუჩა №.../...ის ქუჩა №...-ში მდებარე ბინა №..., ფართით 64.40 კვ.მ. (მშენებარე), სართული 12 (საკადასტრო კოდი ...). 16.12.2017წ. მდგომარეობით შედგენილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ ანგარიშიდან (ხელმომწერი კ. ზ-ის მიერ) ირკვევა, რომ რ. რ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია 102 000 ლარით (შეფასების პერიოდში მოქმედი კურსით – 40 000 აშშ დოლარი). დადგენილია აგრეთვე, რომ რ. რ-ის სახელზე ორჯერ იყო გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, კერძოდ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 16.01.2018წ. №1000585653 გადაწყვეტილებით რ. რ-ის მიეცა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2018 წლის 17 იანვრიდან 2019 წლის 17 იანვრამდე, სააგენტოს 24.12.2019წ. №1000694357 გადაწყვეტილებით რ. რ-ის გაუგრძელდა საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა – 2020 წლის 25 დეკემბრამდე. 30.10.2020წ. რ. რ-იმა კვლავ მიმართა სააგენტოს №1000726540 განცხადებით მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების მიზნით, თუმცა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 27.11.2020წ. №1000726540 სადავო გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონს მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე მითითებით. სადავო აქტით მოსარჩელეს უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. სააგენტოს გადაწყვეტილებას

საფუძვლად დაედო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 26.11.2020წ. SSG 9 20 00146423 დასკვნა, რომლის მიხედვითაც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული რ. რ-ის სახელზე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

განცხადების დასაშვებობის წინაპირობების ოფიციალური შემოწმება არის წარმოების წინამძღვარი, რომელიც საჯარო ინტერესს გამოხატავს, საჯარო ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ განცხადებას მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰყვეს შედეგი, როდესაც ყველა საპროცესო წანამძღვრები სახეზეა. ორგანო ვალდებულია შეამოწმოს განცხადების დასაშვებობა, ვინაიდან უწყებრივად ქვემდებარე ყველა განცხადება როდია დასაშვები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურა, კერძოდ, სააგენტოში წარდგენილი განცხადების საფუძვლიანობის შემოწმება შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს. პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონით განსაზღვრულ ფორმალურ მოთხოვნათა დაცულობა, როგორებიცაა: უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენა, სააგენტოში განცხადების კანონით დადგენილი ფორმით შეტანა, ასევე ბინადრობის ნებართვის კონკრეტული სახის გაცემისთვის საჭირო კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენა. უკეთუ აღნიშნული წინაპირობები სახეზეა და არ არსებობს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ფორმალური საფუძვლები, მეორე ეტაპზე მოწმდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. თუ სააგენტოში წარდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს ნორმატიულად დადგენილ ფორმალურ წინაპირობებს, აღნიშნული დამოუკიდებლად ქმნის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს (კანონის 18.1 მუხ. „ი" ქვ.პ.) ისე, რომ შემოწმებას აღარ საჭიროებს განცხადების შინაარსობრივი მხარე, კონკრეტულ პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობა, ბინადრობის ნებართვის გაცემის გავლენა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა თუ წესრიგის დაცვაზე.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 27.11.2020წ. №1000726540 სადავო გადაწყვეტილება გამოიკვლიეს მხოლოდ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საკანონმდებლო მოწესრიგების შუქზე (უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა საზოგა-

დოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით განცხადების ავტორის საქართველოში დარჩენის მიზანშეუწონლობის შესახებ). სააგენტოს სადავო გადაწყვეტილება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად ასახელებდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს, სადავო აქტი უარის თქმის საფუძვლად არ უთითებდა ამავე მუხლის „ი“ ქვეპუნქტზე. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სააგენტოს 27.11.2020წ. №1000726540 სადავო გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 16.07.2021წ. გადაწყვეტილებასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 24.03.2022წ. განჩინებაში მოხმობილი სამართლებრივი დასაბუთება დაეფუძნა მოსარჩელეზე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 26.11.2020წ. SSG 9 20 00146423 წერილში ასახულ დასკვნას. ამდენად, მოპასუხე სახლმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი გახდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, ხოლო სამართლებრივი შედეგი განმცხადებლისათვის წარმოშვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო გადაწყვეტილებამ, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა გამოითხოვეს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან ინფორმაცია მოსარჩელისათვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში გაკეთებული მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, არ არის დასაბუთებული. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების კონტრდაზვერვის დეპარტამენტის შესაბამისი ნეგატიური დასკვნის ფაქტობრივი საფუძვლების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით გამოთხოვილი საიდუმლო ინფორმაციით გათვალისწინებულ გამოწვევებზე რეაგირება საჭიროებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შემოწმებას, რათა შემოწმდეს შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განცხადებისათვის განსაზღვრული საკვანძო ფორმალური წინაპირობების დაცულობის საკითხი. სამართლებ-

რივი ნორმების ყოველდღიურ სინამდვილეში მოქმედება და შესაბამისი პრაქტიკული ფაქტორებით წარმოშობილი გამოწვევები ამართლებს სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის დინამიური ბუნების არსს, რომელიც ქმნის მათი ნამდვილი სამართლებრივი შინაარსისა და იმანენტური სამართლებრივი ბუნების ნათელყოფის ჰერმენევტიკულ აუცილებლობას.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არ არის დაცული შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გაცემისათვის ამ კანონის მე-15 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილია ბინადრობის ნებართვის კონკრეტული სახეები, რომელიც გაიცემა საქართველოში. ამავე მუხლის „კ" ქვეპუნქტი განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის მოკლევადიან სახეს, რომელიც ასეთი სახის ბინადრობის ნებართვის უცხოელზე გაცემას უკავშირებს კონკრეტული ღირებულების მქონე უძრავი ქონების უცხოელის საკუთრებაში არსებობას. აღნიშნული ნორმის სხვადასხვა პერიოდში მოქმედი რედაქცია მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ წინაპირობად უცხოელის საკუთრებაში მყოფი უძრავი ნივთის სხვადასხვა ღირებულებაზე უთითებდა. უკვე აღინიშნა, რომ რ. რ-ის სახელზე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა თავდაპირველად გაიცა სააგენტოს 16.01.2018წ. №1000585653 გადაწყვეტილებით. ამ პერიოდში მოქმედი კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის შესაბამისი რედაქციის მიხედვით, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, გაიცემოდა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჰქონდა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. შეფასების დასკვნის მიხედვით, რ. რ-ის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება განსაზღვრულია 102 000 ლარით (შეფასების პერიოდში მოქმედი კურსით – 40 000 აშშ დოლარი), ამდენად, სააგენტოს 16.01.2018წ. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის ნორმატიულად დადგენილი ფორმალური წინაპირობების გათვალისწინებით. ამის შემდგომ, ვინაიდან თავდაპირველად გაცემული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა 2019 წლის 17 იანვრამდე მოქმედებდა, რ. რ-იმა 25.11.2019წ. კვლავ მიმართა სააგენტოს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით, რომლის 24.12.2019წ. №1000694357 გადაწყვეტილებით რ.

რ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და მას გაუგრძელდა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, 2020 წლის 25 დეკემბრამდე. რ. რ-ის მიერ სააგენტოში 25.11.2019წ. განცხადების წარდგენისას, ასევე სააგენტოს მიერ ბინადრობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ 24.12.2019წ. გადაწყვეტილების გამოცემისას მოქმედებდა კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის უკვე ახალი რედაქცია, რომლის მიხედვითაც მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემოდა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჰქონდა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. კანონში აღნიშნული ცვლილება შეტანილ იქნა 30.05.2019წ. №4741 კანონის საფუძველზე, რომელიც ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 31-ე დღეს, ხოლო მისი ოფიციალური წესით გამოქვეყნებას ადგილი ჰქონდა 05.06.2019წ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე. ბინადრობის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ 24.12.2019წ. გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტომ იხელმძღვანელა კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის ძველი რედაქციით, რომელიც, როგორც აღინიშნა, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის საფუძვლით მოპოვებას უკავშირებდა თავად უძრავი ქონების 35 000 აშშ დოლარიან ქვედა ზღვარს. სააგენტოს აღნიშნული მიდგომა განპირობებული იყო უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის საფუძვლით მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაგრძელების შესახებ ხსენებული გადაწყვეტილების გამოცემის დროს მოქმედი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის დებულებით (ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-16 მუხ. მე-3 პ.), რომლის მიხედვით დროებითი ბინადრობის ნებართვისა და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვები გაიცა. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ბინადრობის ნებართვის გაგრძელების პერიოდში მოქმედი საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის" მე-15 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, საქართველოში დროებითი, ასევე მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც

გაიცა იგი. სააგენტოს იგივე მიდგომას ჰქონდა საქართველოში მოკლე-ვადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების თაობაზე რ. რ-ის №1000726540 30.10.2020წ. მესამე განცხადების განხილვისას, თუმცა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 27.11.2020წ. №1000726540 სადავო გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილ-და. სააგენტოს მიერ ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ 27.11.2020წ. გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო შემოი-ფარგლა მხოლოდ კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით, კერ-ძოდ, სააგენტომ სადავო გადაწყვეტილებაში მიუთითა მხოლოდ კანო-ნის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზ-ღვრულ ე.წ. „მიზანშეწონილობის" კომპონენტზე, თუმცა, შეფასების მიღმა დატოვა ამავე კანონის „ი" ქვეპუნქტით განსაზღვრული ფორმა-ლური კრიტერიუმი და შესაბამისად, წარმოდგენილი განცხადების ამა-ვე კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის უშუალოდ სადავო პერიოდ-ში მოქმედი რედაქციის მოთხოვნები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნ-ქტი, რომელიც მოქმედებდა სადავო აქტის გამოცემის დროს (27.11.2020წ.) ითვალისწინებს უძრავი ქონების ღირებულების 100 000 აშშ დოლარიანი ქვედა ზღვარს. საქმის მასალების მიხედვით, ერთმნიშ-ვნელოვნად ვერ ხერხდება 30.10.2020წ. განცხადების იდენტიფიცირე-ბა, კერძოდ იმის დადგენა თუ რას ითხოვდა განცხადების ავტორი, უშუ-ალოდ მოკლევადიანი ნებართვის მოპოვებას თუ უკვე მოპოვებული ნე-ბართვის გაგრძელებას. სააგენტოში განცხადება წარდგენილია ფორ-მულარის შევსების გზით. მასში მონიშნულია განმცხადებლის დაინტე-რესებაში მყოფი ბინადრობის ნებართვის სახე, თუმცა არაა აღნიშნუ-ლი ბინადრობის ნებართვის ამ სახესთან მიმართებით განმცხადებლის მოთხოვნა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნებისმიერ შესაძლო შემ-თხვევაში, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სააგენტოსთვის ნათელი იყო, რომ სააგენტოსთვის მიმართვის საკვანძო სუბიექტური მიზანი, რომელიც ამოძრავებდა განმცხადებელს იყო მოკლევადიანი ბინადრო-ბის ნებართვის იურიდიულად ვარგისი საფუძვლით საქართველოში ყოფნის გახანგრძლივება. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმაც, სააგენტოს მსგავსად, იმსჯელეს სადავო გადაწყვეტილებაში მითითე-ბული კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ე.წ. „მიზანშეწონილობის" კომპონენტზე, თუმცაღა, შე-ფასების გარეშე დატოვეს ამავე კანონის „ი" ქვეპუნქტით განსაზღვრუ-ლი ფორმალური კრიტერიუმი, შესაბამისად, შეფასების მიღმა დარჩა ამავე კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მოთხოვნებთან 30.10.2020წ. განცხადების შესაბამისობა. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა ბინადრობის ნებარ-

თვის გაცემის მოთხოვნის წარდგენისას მოქმედ ნორმატიულ მოწესრიგებაზე, თუმცა მოახდინა კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის 30.10.2020წ. განცხადების წარდგენისას მოქმედი რედაქციის ციტირება, რომელიც უცხოელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მინიმალურ ფასად 100 000 აშშ დოლარს და არა 35 000 აშშ დოლარს (ეკვივალენტი ლარში) ასახელებდა. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას ბინის 40 000 აშშ დოლარად შეფასების თაობაზე. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს (ბინის ღირებულება – 40 000 აშშ დოლარი) შეუფარდა ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგება (კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვ.პ. ამჟამად მოქმედი რედაქცია), რომელთა ერთობლივი შეფასებაც გადაწყვეტილებით დამდგარ სამართლებრივ შედეგს – სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავდა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სამართლებრივ შედეგს არ ცვლის ის თუ რას ითხოვდა ზუსტად რ. რ-ი: უძრავი ნივთის საკუთრებაში ყოფნის საფუძვლით ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელებას, თუ თავად მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მიღებას. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თვით განცხადების ფორმალურ-იურიდიული გამართულობის კუთხით, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ფართის საბაზრო ღირებულება უნდა ყოფილიყო 100 000 აშშ დოლარზე მეტი. თუმცა, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება და გამოიყენა სააგენტოს მიერ თავდაპირველი გადაწყვეტილების (16.01.2018წ. № 1000585653) მიღების დროს მოქმედი კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის იმჟამინდელი რედაქციით გათვალისწინებული ქონების საბაზრო ღირებულების (არანაკლებ 35 000 აშშ დოლარი) კრიტერიუმი. სადავო განჩინებაში ასახული სააპელაციო პალატის იურიდიული სუბსუმფცია დაეფუძნა კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული სამართლებრივი მოწესრიგების შესაძლო განმარტებას. ამ განმარტების მიხედვით, რ. რ-ის მიერ 30.10.2020წ. განცხადების წარდგენისას 30.05.2019წ. №4741 კანონის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც ქონების საბაზრო ღირებულება არანაკლებ 100 000 აშშ დოლარით განისაზღვრა, ზეგავლენას ვერ მოახდენდა განმცხადებლის მოთხოვნის ფორმალურ გამართულობაზე. ამ სამართლებრივ დასკვნას საფუძვლად უდევს სააპელაციო პალატის ინტერპრეტაციული დაშვება (ვარაუდი), რომელიც ეყრდნობა კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესს, რომ „მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვები გაიცა.“ შესაბამისად, ციტირებული კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში გადმოცემული სიტყვასიტყვითი აზრის მიხედვით, მოკლევადიანი ბინადრობის

ნებართვის მოქმედების ვადა უნდა გაგრძელებულიყო ასეთი ნებართვის თავდაპირველად გაცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების დროს მოქმედი და ძალაში მყოფი ამჟამინდელი კანონმდებლობით, უძრავი ქონების მინიმალური საფასური არანაკლებ 100 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვასიტყვითი აზრით გამოირიცხებოდა ახალი ნორმატიული სინამდვილის წარსულში დაწყებულ, თუმცა აწმყოში გაგრძელებულ, მიმდინარე ურთიერთობაზე მოქმედება. შესაბამისად, საკასაციო პალატის შეფასებით, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების გაგრძელების თაობაზე განცხადების ავტორის მიერ დაყენებული მოთხოვნის ფორმალური საფუძვლიანობა უნდა შეფასებულიყო ბინადრობის ნებართვის თავდაპირველად გაცემის დროს (16.01.2018წ.) მოქმედი საკანონმდებლო პირობების მიხედვით. საკასაციო პალატა არ იზიარებს აღნიშნულ განმარტებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მიგრაციის სფერო სახელმწიფოს სუვერენული პოლიტიკის არსებითი ელემენტია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზღვრების კონტროლთან. „სახელმწიფოს უფლებების და პასუხისმგებლობების შესახებ“ მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფოს როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს აქვს განსაზღვრული ტერიტორია. საქართველოს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ კონვენციის I კარით განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ მუხლის ნორმატიული მიზნებისთვის „იურისდიქციის“ სამართლებრივი ცნება ასახავს საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ იურისდიქციის მნიშვნელობას, რომლის შესაბამისადაც, სახელმწიფოს იურისდიქციული კომპეტენცია პირველ რიგში ტერიტორიული ხასიათისაა (ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საქმეზე M.N. and Others v. Belgium, App. No. 3599/18, 05.03.2020წ. §98). იურისდიქციულ კომპეტენციაში მოაზრებულია სუვერენული ტერიტორიული უფლებები საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო კომპეტენციების სახით. მიჩნეულია, რომ იურისდიქციული კომპეტენცია ჩვეულებრივად ხორციელდება სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის მასშტაბით (ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე Assanidze v. Georgia, App. No. 71503/01, 08.04.2004წ. §139).

საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ უფლება აკონტროლონ თავიანთ ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები (ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Mirzoyan v. the Czech Republic, App. Nos. 15117/21 და 15689/21, 16.08.2024წ. §76). საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, ბინადრობის და გაძევების საკითხები განეკუთვნება სახელმწიფოს თვითმყოფად, ექსკლუზიურ და სუვერენულ პრეროგატივას მიგრაციის სფეროში, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივი საფუძვლები და მექანიზმები მოწესრიგებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით და მის შესაბამისად მიღებული სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოში ყოფნის ვადა არის საქართველოს ვიზაში ან საქართველოში ბინადრობის ნებართვაში აღნიშნული, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიც უცხოელს აქვს საქართველოში ყოფნის უფლება. ამასთან, საქართველოში ყოფნის ვადა აითვლება უცხოელის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პირველად გადმოკვეთის დღიდან. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის საფუძველია საქართველოში ბინადრობის ნებართვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკანონმდებლო ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკის საკვანძო ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ მიზნებს. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის 25-ე მუხლის თანახმად, კანონითვე დადგენილი გამონაკლისის გარდა საქართველოში უცხოელს აქვს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს (1-ლი პ.), საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს (მე-3 პ.). ამდენად, ბინადრობის ნებართვის გაცემით სახელმწიფოსა

და უცხოელს შორის ჩამოყალიბებული სამართალურთიერთობის შედეგად, სახელმწიფო უცხოელის მიმართ გარკვეული ვალდებულებებით იტვირთება. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემა ხდება არა ერთეულ შემთხვევებში, არამედ ჯამურად მრავალ პირზე, შესაძლოა მოხდეს სახელმწიფოს დამატებითი ვალდებულებებით გადატვირთვა, რაც სახელმწიფოს შეზღუდული რესურსის მხედველობაში მიღებით არ იქნება საჯარო ინტერესის შესაბამისი. ზემოაღნიშნულის გარდა მხედველობაშია მისაღები აგრეთვე სხვა არაერთი მიზანი რომლის დაცვასაც სახელმწიფოში უცხოელის ყოფნის რეგულირება ემსახურება (იხ., სუსგ. საქმე №ბს-631-(კ-21), 06.05.2023წ.). ასეთ მიზნებში შესაძლებელია შედიოდეს სახელმწიფოში შრომის ბაზრის სტიმულირება, ეკონომიკური ზრდის წახალისება, ინვესტიციებისა და კაპიტალის მოზიდვა, ფისკალური და საგადასახადო კონტრიბუციების გეგმაზომიერი აკუმულირება, ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობა, სოციალური სოლიდარობის უზრუნველყოფა ან/და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ნაკისრი შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების შესრულება. შესაბამისად, ბინადრობის ნებართვის გაცემა კომპლექსური პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესია, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიანი და დაბალანსებული საიმიგრაციო პოლიტიკის განხორციელებას, რაც ნიშნავს იმას, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ორმხრივი ინტერესის გათვალისწინებით (სუსგ., საქმე №ბს-810(კ-24) 27.09.2024წ.). ფორმალური თვალსაზრისით, ბინადრობის ნებართვა არის გარკვეული პირობების ნორმატიულად განსაზღვრული ერთობლიობა, რომელთა სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფიზიკურ პირს ენიჭება საქართველოში ცხოვრების ნებართვა. ეს პირობები უკავშირდება სახელმწიფოს საიმიგრაციო პოლიტიკის სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ან/და ჰუმანიტარულ მიზნებს, ხოლო ბინადრობის ნებართვის ცალკეული სახე ამ განსხვავებული მიზნების ალტერნატიულ ან კუმულატიურ გამოვლინებას წარმოადგენს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბინადრობა არის ნებართვის შინაარსის და არა ადამიანის უნივერსალური უფლების ნორმატიული კატეგორია, ამდენად, ევროკონვენცია არ უზრუნველყოფს უცხოელის უფლებას კონკრეტულ ქვეყანაში შესვლაზე ან მასში ბინადრობაზე, იგი არც სახელმწიფოს აკისრებს რაიმე ზოგად ვალდებულებას საკუთარ ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე (ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Mirzoyan v. the Czech Republic, App. Nos. 15117/21 და 15689/21, 16.08.2024წ. §76). კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი უკავშირდება მოკლევადიანი ხან-

გრძლივობით პირის ბინადრობას, რომლის მისაღებადაც საჭიროა კანონით გათვალისწინებული ღირებულების მქონე უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ამ კატეგორიის ბინადრობის ნებართვა ემსახურება სხვადასხვა მიზანს, მათ შორის: მცირე უცხოური კაპიტალის მოზიდვას, უძრავი ქონების ბაზრის სტიმულირებას და მისი ლიკვიდურობის ზრდას, შესაბამისი შემოსავლის მქონე ინდივიდებისთვის სახელმწიფოში ეკონომიკურად მიმზიდველი საცხოვრებელი გარემოს შეთავაზებას.

განსახილველი დავის მართებულად გადაწყვეტის მიზნებისთვის, საკასაციო პალატა საჭიროდ თვლის მიუთითოს კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის არსზე. კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მიხედვით, ამ კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა უცხოელზე შეიძლება გაიცეს 1 წლის ვადით (16.3[1] მუხ.). კანონის ამჟამინდელი რედაქციის მიხედვით, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა უცხოელზე შეიძლება გაიცეს და მისი მოქმედების ვადა თითოეულ ჯერზე გაგრძელდეს 1 წლით (16.1. მუხ. „ვ" ქვ.პ.). სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი კატეგორიის ნებართვა გასცეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული კონკრეტული ღირებულების მქონე უძრავი ნივთის მესაკუთრეზე. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება, თუ უცხოელს შეუწყდება შესაბამის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება (აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის 16.3[1] მუხ; ამჟამინდელი რედაქციის 16.1. მუხ. „ვ" ქვ.პ.). ამდენად, სახელმწიფო ბინადრობის ნებართვის ამ კატეგორიის მინიჭებას მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული ღირებულების მქონე უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობას უკავშირებს. უძრავი ნივთის მესაკუთრის შეცვლის შემთხვევაში, სახელმწიფოს უკვე აღარ აქვს რელევანტური თანმხვედრი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესი დაუშვას უცხოელის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბინადრობა. ამდენად, საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის" სადღეისოდ მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საჯარო რეესტრი ვალდებულია, სააგენტოს შეატყობინოს იმ უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ, რომლის საკუთრებაში ქონის საფუძველზეც გაიცა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, (ასეთი შეტყობინება უნდა განხორციელდეს აღნიშნულ უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტიდან 02 კვირის ვადაში.). ხსენებული ცხადყოფს კანონმდებლის ერთმნიშვნელოვან განზრახვას მოკლევადიანი ხანგრძლივობის ბინადრობის ნებარ-

თვა უძრავი ნივთის საკუთრებაში ქონის იურიდიული კრიტერიუმით გასცეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს კონკრეტული ღირებულების მქონე უძრავ ნივთთან დაკავშირებით.

უკვე აღინიშნა, რომ უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებასთან დაკავშირებით ხსენებულ კანონში ცვლილება შეტანილ იქნა 30.05.2019წ. №4741 კანონის საფუძველზე, რომლითაც 35 000 აშშ დოლარის ნაცვლად, განისაზღვრა უძრავი ქონების 100 000 აშშ დოლარიანი ქვედა ზღვარი. ნორმის განმარტება საჭიროებს გამოსაყენებელი ნორმის ნამდვილი არსის გარკვევას და კანონმდებლის კონკრეტული მიზნის დადგენას (იხ. სუსგ., №ბს-520-515(კ-11), 15.09.2012წ.). კანონმდებლის განზრახვის დადგენის მიზნით, საკასაციო პალატა მოიხმობს შესაბამის ამონარიდებს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათიდან, რომელშიც საკანონმდებლო ნოვაციის მიზეზად სახელდება საქართველოს ფაქტობრივი სინამდვილე, კერძოდ ის, რომ ბინადრობის მოწმობის მისაღებად კანონი საკმაოდ დაბალ თანხობრივ ცენზს აწესებს. განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დღევანდელი რეალობისა და მიგრაციის არსებული დონის გათვალისწინებით, ცენზი რაციონალურ მინიმალურ ზღვარზე უფრო დაბალია. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს არა იმდენად ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, არამედ მასიურ მიგრირებას. განმარტებით ბარათში აღნიშნულია აგრეთვე, რომ კანონის დღეს არსებული რედაქცია ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემას პირისათვის საქართველოს ტეროიტორიაზე იმ უძრავი ქონების საკუთრებაში ქონის შემთხვევაში, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში (მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა და D5 კატეგორიის ვიზა). ოჯახის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ერთი ადამიანისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება ავტომატურად გულისხმობს მისი ოჯახის წევრების ბინადრობის ნებართვით აღჭურვას. ამდენად, ბინადრობის ნებართვისა და D5 კატეგორიის ვიზის მიღება შეუძლია არამხოლოდ ინვესტორს ან უძრავი ქონების მესაკუთრეს, არამედ ბინადრობის ნებართვის ან D5 კატეგორიის ვიზის მქონე პირის ოჯახის წევრებსაც. შესაბამისად, 35 000 აშშ დოლარზე მეტი ღირებულების უძრავი ქონების ფლობის შედეგად ბინადრობის ნებართვა ან D5 კატეგორიის ვიზა შესაძლოა მიენიჭოს საშუალოდ 5 უცხო ქვეყნის მოქალაქეს (5 წევრიანი ოჯახის შემთხვევაში), რაც ქმნის ვითარებას, რომლის საფუძველზეც, ბინადრობის ნებართვა ან D5 კატეგორიის ვიზა გაიცემა პირზე, თუ ის ფლობს დაახლოებით 7 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ღირებულების ქონებას. ბარათში მიეთითა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით იზრდება მოკლევადიანი ბინადრობის ნებარ-

თვისა და D5 კატეგორიის ვიზის მისაღებად დაწესებული ქონების საბაზრო ღირებულების მინიმალური ზღვარი – იგი უნდა აღემატებოდეს 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, აღნიშნული, ერთი მხრივ, იქნება პრევენციის ღონისძიების მატარებელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი მიგრაცია, მეორე მხრივ კი, გაიზრდება უძრავ ქონებაში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ღირებულების უძრავი ქონების გაყიდვებს(განმარტებითი ბარათი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში შეტანილი 30.05.2019წ. №4741 ცვლილებების თაობაზე, გვ.1-5, ბმული ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186446). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკეთუ ციტირებული ამონარიდები ცხადყოფს კანონმდებლის ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც თანხვედრაში მოდის საიმიგრაციო კანონმდებლობის სახელმწიფოებრივ ამოცანებთან, აღნიშნული ცვლილება, საკუთარი იურიდიული შინაარსის შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიაზე უცხოელთა ბინადრობის საკითხების კონტროლის სფეროში განხორციელებულ ექსკლუზიურ საკანონმდებლო პრეროგატივას (შდრ., ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Mirzoyan v. the Czech Republic, App. Nos. 15117/21 და 15689/21, 16.08.2024წ. §76, იხ. აგრეთვე, ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 24.05.2016წ. გადაწყვეტილება საქმეზე Case of Biao v. Denmark, App. No. 38590/10, §117.).

საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ სამართლებრივ საკითხზე, რომ საკანონმდებლო ჩანაწერი როგორიცაა – გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა – სიტყვასიტყვით არის აღნიშნული კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტსა და „წესის“ მე-15 მუხლის მე-7 პუნქტში. ამასთანავე, კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტსა და „წესის“ ამჟამად მოქმედი რედაქციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 12 წლამდე, უცხოელის საქართველოში სავარაუდო ყოფნის ვადით, იმავე პირობების შესაბამისად, რა პირობებითაც მოხდა იმ ნებართვის გაცემა, რომლის ვადის გაგრძელებასაც ითხოვს უცხოელი. მოქმედ რედაქციაში მითითებული ტერმინოლოგია „შეიძლება გაგრძელდეს ... იმავე პირობებით, რომლითაც გაიცა ის ნებართვა, რომლის ვადის გაგრძელებასაც ითხოვს უცხოელი,“ შინაარსობრივად იდენტურია კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედ რედაქციაში ჩართული წინადადებისა „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა.“ ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს მოკლევადიანი ბინადრობის ნე-

ბართვის გაგრძელების მოთხოვნის შემთხვევაში სადავო იურიდიული კონსტრუქციის – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – განმარტებას, კერძოდ იმის გარკვევას, თუ რამდენად მოიაზრებს აღნიშნული დებულება ბინადრობის ნებართვის თავდაპირველად გაცემის დროს მოქმედი საკანონმდებლო დანაწესის გამოყენებას უძრავი ქონების ღირებულების არანაკლებ 35 000 აშშ დოლარით განსაზღვრის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების ძირითადი არსი როგორც თავდაპირველი გაცემის, ასევე განახლების ეტაპზე, ფუნდამენტურად იდენტურია. ბინადრობის ნებართვის გაცემის შემდეგ, მყარდება სამართლებრივი კავშირი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც ინდივიდისგან და სახელმწიფოსგან საჭიროებს ორმხრივად მავალდებულებელი უფლებებისა და პასუხისმგებლობების აღებას. ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება წარმოადგენს არა განყენებულ, იზოლირებულ და არსებითად განსხვავებულ პროცესს, არამედ იგივე სამართლებრივი სტატუსის გაგრძელებას, იმ პირობით, რომ განმცხადებელი კვლავ აკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ შესაბამის კრიტერიუმებს. ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების ადმინისტრაციულ პრაქტიკაში ასეთი განცხადებები ეფუძნება უწყვეტობის („კონტინუიტეტის“) პრეზუმფციას, რაც იმას მიანიშნებს, რომ მოქმედების ვადის გაგრძელება, ე.წ. განახლების პრაქტიკა, წარმოადგენს იმავე სამართლებრივი სტატუსის გაგრძელებას და არა სრულიად ახალი და დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსის შექმნას. თუ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის თავდაპირველად გაცემისას, ფორმალური საკვანძო მიზანი არის პირველადი გადამოწმებით, განმცხადებლის კანონით დადგენილი პირობებისადმი შესაბამისობის შემოწმება, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების შეფასების პროცესში შემოწმებას ძირითადად ექვემდებარება საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად ინარჩუნებს პირის სამართლებრივი მდგომარეობა კანონით განსაზღვრულ პირობებს. შეფასების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბუნება უცვლელია და ემსახურება იდენტურ მიზანს: განმცხადებლის საცხოვრებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილების დადგენას. ამდენად, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების და მისი მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მოწმდება საკვანძო ფორმალური წინაპირობა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების არსებობა, რომლის ღირებულება აღემატება განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს. თუ განმცხადებელი თავდაპირველ ეტაპზე აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას, მოქმედების ვადის გაგრძელება (ე.წ. „გა-

ნახლება“) მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა უცვლელია, შესაბამისად, განახლების პროცესი წარმოშობს არა ახალ სამართლებრივ მიზანს, არამედ ის ადასტურებს იმ პირობების ფაქტობრივად გაგრძელებას, რომლებმაც თავდაპირველი ნებართვის გაცემას ჩაუყარა საფუძველი. შესაბამისად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოპოვების და მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების ძირითადი არსი ფუნდამენტურად იდენტურია. იურიდიული კონსტრუქცია – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ (კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის 16.4. მუხ. და ამჟამად მოქმედი რედაქციის 16.3. მუხ.) – მიუთითებს იმაზე, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს გაგრძელების მოთხოვნისას მოქმედი ახალი კანონის საფუძველზე – 100 000 აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) ოდენობით დადგენილი უძრავი ქონების პირის საკუთრებაში ფლობის კრიტერიუმის დაკმაყოფილების მიხედვით. საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ ცალკე აღებული მხოლოდ ინსტიტუტების იდენტობაზე მითითება შესაძლებელია არ აფუძნებდეს მოხმობილი იურიდიული კონსტრუქციის („გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“) საკანონმდებლო ნოვაციის (არანაკლებ 100 000 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარში) სასარგებლოდ განმარტების თვითკმარ იურიდიულ არგუმენტს. სააპელაციო პალატის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია, მართალია ზედაპირულად, თუმცაღა მაინც ინარჩუნებს ტერმინის – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის 16.4. მუხ. და კანონის სადღეისოდ მოქმედი რედაქციის 16.3. მუხ.) – სემანტიკურ მთლიანობას. მართალია, ამ ნორმის საკასაციო სასმართლოს მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია არ სცდება თვით ამ ნორმის ტექსტის მნიშვნელობის ინტერპრეტაციის დასაშვებ ნორმატიულ ფარგლებს ან/და მასშტაბს, ინტერპრეტაციული არგუმენტი, რომელიც შესაძლოა ზედაპირულად მაინც სცდებოდეს ტექსტის ჩვეულებრივ, ორდინალურ გაგებას, ცხადია საჭიროებს საკმაოდ წონად დასაბუთებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც ნებართვის გაგრძელების მოთხოვნის მომენტში, საკანონმდებლო ნოვაციის შედეგად, მოქმედებს გაზრდილი ქონებრივი ცენზი, ნებართვის თავდაპირველი მოპოვების დროს მოქმედი კანონით განსაზღვრული ღირებულების (არანაკლებ 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) გამოყენება დასაშვებია, თუ აღნიშნული ნორმა თავისი იურიდიული ფორმით ან/და შინაარსით, ექცევა გარდამავალი დებულებების ნორმატიულ კატეგორიაში. საკასაციო პალატის შეფასებით, კანონის სადავო აქ-

ტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის არც მე-16 მუხლის მე-4 პუნ-ქტის 1-ელ წინადადებაში და არც დღეს მოქმედი რედაქციის მე-16 მუხ-ლის მე-3 პუნქტში ჩართული ხსენებული იურიდიული კონსტრუქცია ვერ შეფასდება გარდამავალ დებულებად. „ნორმატიული აქტების შე-სახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ნორმატიული აქტი შეიძლება შეიცავდეს გარდამავალ დებულებებს, თუ განსაზღვრული ვადით დგინდება ძირითადისგან განსხვავებული ნორმები ან თუ ამ ნორმატიული აქტის სრულად ასამოქმედებლად გარ-კვეული პირობები და დროა საჭირო. საკასაციო პალატა თვლის, რომ ასეთი შინაარსის მქონე ნორმას არ შეიცავს „უცხოელთა და მოქალაქე-ობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანო-ნის არც სადავო აქტის გამოცემის დროს და არც ამჟამად მოქმედი რე-დაქციის 72-ე მუხლი, რომელშიც ჩამოთვლილია კანონის გარდამავალი დებულებები. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გარდამავალი დე-ბულებების იურიდიული თავისებურების არსი ვლინდება სწორედ იმა-ში, რომ ძველი კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების მიუხედავად, ახალი კანონის მიხედვით დადგენილი ნორმატიული სინამდვილე ქრო-ნოლოგიური კრიტერიუმის გამოყენების მეშვეობით, მოსაწესრიგებელ ურთიერთობას კვლავ ძველ კანონს უქვემდებარებს და ამით მას დრო-ებით ანიჭებს იურიდიულ სიცოცხლისუნარიანობას (იხ., სუსგ., საქმე №ბს-124(კ-24), 14.02.2025წ.). ამასთან, გარდამავალი დებულებების ნორმატიული კატეგორიის შემცველი ნორმების კანონში ჩართვის იუ-რიდიული ძალმოსილებით აღჭურვილია საკანონმდებლო ორგანო. თუმ-ცა, სამართალში ფორმას არ აქვს დამოუკიდებელი დატვირთვა და ამ-დენად, ფორმა არ არსებობს ფორმისათვის, ნებისმიერი ფორმის უკან დგას კონკრეტული შინაარსი და მართლწესრიგისათვის სწორედ ეს ში-ნაარსია გადამწყვეტი. როცა შინაარსი სინამდვილედ იქცევა ფორმის გარეშე, ის, ცხადია, ვერ იქნება მოკლებული შეფასებაუნარიანობას (სა-ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 13.07.2006წ. გადაწყვეტი-ლება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვ. გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №1/2/378, გვ.15.). იურიდიული ფორმის მი-ხედვით, იურიდიული კონსტრუქცია – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – არ არის გარდამავალი დებულებე-ბის ნორმატიული ფორმის შემცველი, თუმცა, იგი ვერც თავისი შინაარ-სით დაკვალიფიცირდება ამ იურიდიულ კატეგორიაში შემავალ ნორ-მად. განსახილველ შემთხვევაში, 30.05.2019წ. №4741 კანონით შეტანი-ლი ცვლილებების შედეგად, მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ნორმატიუ-ლი რედაქცია შეიცვალა და ქონებრივი ცენზის მინიმალური ზღვარი 100 000 აშშ დოლარით განისაზღვრა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მი-

ხედვით, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს. ამრიგად, თვალნათელია, რომ მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ძველი ნორმატიული რედაქცია ძალადაკარგულად გამოცხადდა ამ მუხლის ახალი რედაქციის მიღების შედეგად. ამასთან, 30.05.2019წ. №4741 კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, იგი ამოქმედდა გამოქვეყნებიდან 31-ე დღეს, ხოლო მისი ოფიციალური წესით გამოქვეყნებას ადგილი ჰქონდა 05.06.2019წ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტის ამოქმედების ვადის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ამ ვადის დადგომამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო აქტში ნორმატიული აქტის ან/და მისი ნაწილის ამოქმედების „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილი ვადისაგან განსხვავებული ვადის განსაზღვრა, წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. იგი ერთგვარი გზავნილია ახალი ნორმატიული სინამდვილისთვის დაქვემდებარებული ყველა პოტენციური სუბიექტისთვის, რომ საკანონმდებლო ნოვაციის შედეგად შექმნილ ახალ ნორმატიულ სინამდვილესთან ადაპტირების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა კანონის ამოქმედების დადგენილისაგან განსხვავებული ვადის განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია შესაბამისი დათქმის შემცველი გარდამავალი დებულების ფორმულირებას, ამავდროულად კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით ექსპლიციტურად განისაზღვრა უძრავი ქონების ქვედა ზღვარი (არანაკლებ 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ოდენობით), რომლითაც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი ამ ნორმის წარსულში მოქმედი რედაქცია (არანაკლებ 35 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ოდენობით). შესაბამისად, იურიდიული კონსტრუქცია – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – ვერ ჩაითვლება ადრინდელ საკანონმდებლო მოწესრიგებაზე მიმთითებელ ნორმად, აწმყოში ძალაში მყოფი და მოქმედი კანონით სადავო სამართალურთიერთობა ვერ მოწესრიგდება უკვე ძალადაკარგული კანონით განსაზღვრული პირობების მიხედვით. ციტირებული დებულების ისეთი შინაარსით განმარტება, რომელიც ხსენებული სამართალურთიერთობის მოწესრიგებას ძალადაკარგული კანონით დადგენილ პირობებს უქვემდებარებს ურთიერთგამომრიცხავია და არ ასახავს კანონმდებლის ნებას. ნორმატიული აქტის ნაწილის საკანონმდებლო ცვლილებას, რომელსაც თან სდევს ამავე ნორმატიული აქტის ადრე მოქმედი რედაქციის ძალადაკარგულად გამოცხადება, საფუძვლად უდევს ნორმატიული პრეზუმფცია, რომ ადრე მოქმედი კანონი უკვე ვეღარ პასუხობს მის წინაშე არსებულ გამოწვევებს,

რომელმაც განაპირობა კიდეც ახალი ნორმის შემოღება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო იურიდიული კონსტრუქცია – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – არ ემსახურება ძველი (უკვე ძალადაკარგული) კანონით განსაზღვრულ პირობებზე მითითების ფუნქციას. იგი ემსახურება სრულიად განსხვავებულ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც ამართლებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონში მისი ჩართვის არსს. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმავე პირობებით გაგრძელება უკავშირდება მოქმედი საკანონმდებლო ვითარების უცვლელობის დროს აღნიშნული კატეგორიის ბინადრობის მოქმედების ვადის იმავე ფაქტობრივი პირობების შესაბამისად გაგრძელების საკითხს. აღნიშნული ნორმა არ უკავშირდება საკანონმდებლო მოთხოვნათა ცვლილების შემთხვევაში იმ პირობებით ბინადრობის მოქმედების ვადის გაგრძელებას, რომელიც არსებობდა ნოვაციის შეტანამდე მოქმედი კანონმდებლობით მისი თავდაპირველად გაცემის დროს. უკვე აღინიშნა, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის და მისი მოქმედების ვადის გაგრძელების ინსტიტუტები ერთი მთლიანი ადმინისტრაციული ჯაჭვის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საკანონმდებლო სინამდვილის უცვლელობის და შესაბამისად, საკანონმდებლო ნოვაციის არ არსებობის პირობებში, თავდაპირველად გაცემული ნებართვის დროს მოქმედი ნორმით უცხოელის განცხადების განხილვა უკავშირდება იმ გარემოებების ნათლად გამორკვევას, თუ რამდენად აკმაყოფილებს განმცხადებელი საწყის ეტაპზე ბინადრობის ასეთი კატეგორიის ნებართვის გაცემისათვის კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხოლო მოქმედების ვადის გაგრძელება (ე.წ. „განახლება“) უკავშირდება მხოლოდ იმის დადასტურებას თუ რამდენად ჰქონდა ადგილი ფაქტობრივი მდგომარეობის ცვლილებას, ანუ შემოწმებას ექვემდებარება იმ პირობების ფაქტობრივად გაგრძელების საკითხი, რომლებმაც თავდაპირველი ნებართვის გაცემას ჩაუყარა საფუძველი. შესაბამისად, შემოწმებას საჭიროებს საკვანძო ფორმალური წინაპირობა, რომ განმცხადებელს ჰქონდეს მოპოვებული და შემდგომ უკვე შენარჩუნებული საკუთრების უფლება ისეთ უძრავ ქონებაზე, რომლის ღირებულება აღემატება კანონით დადგენილ მინიმალურ თანხობრივ ზღვარს. სამართლებრივი დასკვნა, რომ იმავე პირობებით გაგრძელება მოიაზრებს საკანონმდებლო ვითარების უცვლელობის პირობებში იგივე ფაქტობრივი მდგომარეობის შენარჩუნების საკითხის შემოწმებას, დასტურდება აგრეთვე კანონის სისტემური ანალიზით. კანონის სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადების მიხედვით, თუ უცხოელი ინარჩუნებს საკუთრების უფლებას იმ უძრავ

ნივთზე, რომლის საფუძველზედაც მასზე გაიცა ამ კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, იგი თავისუფლდება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ხელახალი შეფასების წარდგენის ვალდებულებისგან. იგივე საკანონმდებლო დათქმას შეიცავს კანონის დღეს მოქმედი რედაქციის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი. ამდენად, თუ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვასთან დაკავშირებული საკვანძო სამართალურთიერთობა (განსაზღვრული ღირებულების უძრავი ქონების საკუთრებაში ქონა) ფაქტობრივად ისევ გრძელდება, მაშინ არ არსებობს უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ხელახალი შეფასების წარდგენის ვალდებულება. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფაქტობრივი ვითარების ცვლილებისას, როდესაც პირს უწყდება საკუთრების უფლება შესაბამის უძრავ ქონებაზე, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადაც წყდება. აღნიშნული სამართლებრივი დასკვნა, აგრეთვე, სისტემურად გამომდინარეობს კანონის სადავო (16.3[1] მუხ.) და დღევანდელ პერიოდში (16.1. მუხ. „ვ“ ქვ.პ.) მოქმედი რედაქციების საკანონმდებლო დათქმებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის უცხოელზე გაცემასა და მისი მოქმედების ვადის თითოეულ ჯერზე 1 წლით გაგრძელებას. იმ პირობებში, როდესაც მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა ექვემდებარება ე.წ. „განახლების“ პროცესს ყოველ მომდევნო 01 წელიწადში, იურიდიულ კონსტრუქციაში – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – მოიაზრება ფაქტობრივი თვალსაზრისით იგივე პირობებით და არა საკანონმდებლო ცვლილებისას იგივე პირობებით გაგრძელება. ბინადრობის ამ კატეგორიის ნებართვა იმიტომაა მოკლევადიანი, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სამართლებრივი მდგომარეობა ყოველთვის შეიძლება მარტივად შეიცვალოს. „წესის“ 12[2] მუხლით გათვალისწინებული სანებართვო პირობების ყოველ 01 წელიწადში გადამოწმების ინსტიტუციური მოთხოვნა, თავად გადამოწმების მოკლე ვადის კანონმდებლობაში ჩართვის არსის გათვალისწინებით, ასაბუთებს იმ სამართლებრივ პრეზუმფციას, რომ აღნიშნული უკავშირდება საკანონმდებლო მდგომარეობის უწყვეტობის (კანონისმიერი მოთხოვნების შეუცვლელობის) და არა კანონის ცვლილების პირობებში ნებართვის კანონში ნოვაციის შეტანამდე არსებული იმავე ფაქტიური სანებართვო პირობების მიხედვით გაგრძელებას. საქართველოში ბინადრობის ნებართვა ავტომატურად უქმდება მისი მოქმედების ვადის ამოწურვისას (წესის 15.1. მუხ.). უცხოელი უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით (წესის 3.1. მუხ.). მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა უცხოელზე შეიძლება გაიცეს და მისი მოქმედების ვადა თითოეულ ჯერზე გაგრძელდეს 1 წლით,

აღნიშნული მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება, თუ უცხოელს შეუწყდება შესაბამის უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება. კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო რეესტრს ევალება სააგენტოს შეატყობინოს იმ უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტის შესახებ, რომლის საკუთრებაში ქონის საფუძველზეც გაიცა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა. აღნიშნული შეტყობინება უნდა განხორციელდეს ხსნებულ უძრავ ნივთზე უცხოელის საკუთრების უფლების შეწყვეტიდან 02 კვირის ვადაში. შესაბამისად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების სამართლებრივი მდგომარეობის მოკლე ვადაში – ერთ წელიწადში – გადამოწმება ამართლებს სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესს – უცხოელს ბინადრობის ნებართვა გაუგრძელოს იმავე ფაქტობრივი პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა თავდაპირველად გაიცა თუ შენარჩუნებული იქნება საკუთრების უფლება შესაბამის უძრავ ნივთზე, მხოლოდ საკანონმდებლო მოთხოვნათა უცვლელობის პირობით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების იურიდიული ლოგიკა, თანმიმდევრობა და სისტემატიკა იძლევა იმ დაშვების საფუძველს, რომ კანონმდებლის ნება არ იყო სადავო იურიდიული კონსტრუქციისთვის იმგვარი ნორმატიული შინაარსის მინიჭება, რომ საკანონმდებლო ნოვაციის გაუთვალისწინებლად ადრინდელი ფაქტობრივი სანებართვო პირობებით მომხდარიყო მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება. ამ სამართლებრივ დასკვნას ამყარებს ამავე კანონით გათვალისწინებული D5 კატეგორიის ვიზის გაცემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებებიც, რომელიც თავისი ფორმალური შინაარსით ყველაზე უფრო ახლოს დგას მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის იურიდიულ ლოგიკასთან. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ადრინდელი რედაქციის მიხედვით, D კატეგორიის ვიზა არის საიმიგრაციო კატეგორიის ვიზა, საიმიგრაციო ვიზა გაიცემოდა D5 კატეგორიის პირზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჰქონდა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატებოდა 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გასაცემად უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებას ადგენდა აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანოს სერტიფიცირებული შემფასებელი. 30.05.2019წ. №4741 კანონით შეტანილი ცვლილებებით და განმარტებითი ბარათით დგინდება, რომ იგივე სამართლებრივი მოტივაციით, ერთდროულად ცვლილებები შეტანილ იქნა როგორც კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტში, ისე კანონის მე-

7 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც, უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება არანაკლებ 100 000 აშშ დოლარით (ეკვივალენტი ლარში) განისაზღვრა. კანონის მე-9 მუხლით მოწესრიგებულია საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელება, ამ მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, საქართველოში მყოფი უცხოელი უფლებამოსილია მოითხოვოს D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელება, თუ იგი შესაბამისი ვიზის გაცემის პირობებს აკმაყოფილებს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ „შესაბამისი ვიზის გაცემის პირობებში“ ნაგულისხმევია ვიზის გაცემის დროისთვის ძალაში მყოფი კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით გაგრძელება. კანონმდებლის ნება არ შეიძლება იყოს სამართლის სისტემურ მთლიანობასთან შეუსაბამო. ორი სტრუქტურულად მსგავსი სამართლებრივი ინსტიტუტის თანაარსებობის შემთხვევაში, რთულად წარმოსადგენია D5 კატეგორიის ვიზის მოქმედების გაგრძელება საჭიროებდეს ძალაში მყოფი, მოქმედი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას, ხოლო მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება საჭიროებდეს ძალადაკარგული კანონით გათვალისწინებული პირობების დაცვას.

ახალ ნორმაში ახალი მოწესრიგების სიტყვასიტყვით მიუთითებლობა არ ადასტურებს ურთიერთობის ძველი ნორმით მოწესრიგებას. ცვლილებების შემომღები ნორმა სიტყვასიტყვით, პირდაპირ არც ძველი კანონის გამოყენებაზე მიუთითებს. შესაბამისად, ხსენებული „სემანტიკური“ ხერხით კანონმდებლის ნების დადგენა ზედაპირულია და არ ასახავს კანონმდებლის ნამდვილ ნებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ კანონმდებლის ნება შეიძლება დადგინდეს ამ სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობის აბსტრაქტული და კონკრეტული მიზნების მხედველობაში მიღებით. პრეზუმირებულია, რომ საკანონმდებლო პროცესი ეფუძნება კანონის ნამდვილ მიზნებს. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ისეთ კომპლექსურ საჯარო-სამართლებრივ კონტექსტში, როგორიც იმიგრაციის სფეროა, რომლისთვისაც იმანენტურია მომეტებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, იურიდიული კონსტრუქცია – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – გააზრებული უნდა იყოს საჯარო სამართალში კანონის დროში მოქმედების თავისებურებების მიხედვით. კანონი, როგორც წესი, მოქმედებს პროსპექტიულად და იგი ვრცელდება კანონის ძალაში შესვლის შემდგომ წარმოშობილ ურთიერთობებსა და მოვლენებზე. საჯარო-სამართლებრივ წესრიგთან შესაბამისია კანონის პირდაპირი მოქმედებაც, რომელიც ისეთ შემთხვევებს ეხება, როდესაც კანონი მისი ძალაში შესვლის მომენტიდანვე ვრცელდება ყველა მიმდინარე ურთიერთობაზე მათი წარმოშობის დროის მიუხედავად და მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ ეს ურთიერთობები ძველი და უკვე გაუქ-

მებული კანონის პირობებში იყო ინიცირებული. მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახალი კანონი არ მოქმედებს ძველი კანონის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებზე, რომლებიც არ დასრულებულა და კვლავ გრძელდება, არ ვრცელდება საჯარო სამართლის სფეროზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 21.06.2007წ. №ბს-21-21(კ-07) გადაწყვეტილება). როდესაც ნორმა პირდაპირ შეეხება ამჟამინდელ, მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებს, იგულისხმება, რომ განხორციელებულ ცვლილებებს გარკვეული სამართალურთიერთობის მიმართ, აქვს არაპირდაპირი, არანამდვილი უკუძალა (იხ., სუსგ., №ბს-1128(კ-19), 13.09.2021წ.). კანონის არანამდვილი უკუძალა ნიშნავს ახალი კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ ურთიერთობები არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც (იხ., mutatis mutandis, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.06.2012წ. გადაწყვეტილება საქმეზე Khoniakina v. Georgia, App. No. 17767/08, §74). კანონის არანამდვილი უკუძალა არ იწვევს ახალი კანონის ამოქმედებამდე წარმოშობილი და დასრულებული სამართლებრივი შედეგების შეცვლას (იხ. სუსგ., №ბს-777(კ-22), 06.02.2024წ. იხ. აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 13.05.2009წ. №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება), არანამდვილი უკუძალა კანონთა დროში მოქმედების ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა. ასეთი უკუძალა სინამდვილეში არცაა უკუძალა და მხოლოდ იმის აღიარებაა, რომ ის ურთიერთობები, რომლებიც ადრე წარმოიშვა, მთლიანად ექცევა ახალი კანონის ზემოქმედების ქვეშ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო იურიდიული კონსტრუქცია დასახელებული მიზეზების გათვალისწინებით, უკავშირდება საკანონმდებლო უწყვეტობის დროს ფაქტის საკითხის გადამოწმებას და არა კანონის ცვლილების შედეგად ძალადაკარგული საკანონმდებლო მოწესრიგების მიხედვით დადგენილი სანებართვო პირობების გამოყენებას, შესაბამისად, ზემოხსენებულ მიზეზთა გამო ვერც კანონმდებლის ნება იქნება სხვაგვარი. მოცემულ შემთხვევაში უნდა შეაფასდეს თუ როგორ მოექცევა სადავო იურიდიული კონსტრუქცია – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – ახალი ნორმის ზემოქმედების ქვეშ, ამასთან, შესაფასებელია ასეთი ზემოქმედების სამართლებრივ ეფექტი რ. რ-ის უფლებებზე და ის უფლებრივი ბალანსი, რომელიც ამ ეფექტიდან მომდინარეობს.

სამართალი მოქმედებს განსაზღვრულ დროსა და სივრცეში. სამართლის ნორმა სამართლის ყოფიერების ნაწილი და მისი იურიდიული გამოვლინებაა. სამართლის ზოგადი სოციალური ფენომენისთვის დამახასიათებელი თავისებურებები აისახება სამართლის კონკრეტულ ნორმებში, რომლითაც ფუნქციონირებს სამართლის სისტემა. სამართლის

სისტემა ცდილობს წონასწორობის მიღწევას მის სტატიკურ და დინამიურ ელემენტებს შორის, სტაბილურობის (სტატიკურობა) შენარჩუნებასა და პროგრესის (დინამიურობა) უზრუნველყოფას შორის. სამართლის სტატიკური ელემენტის მიზანია სამართლის ნორმების მეშვეობით თანმიმდევრულობის, სტაბილურობის, განჭვრეტადობის და ამდენად, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სამართლის დინამიური ელემენტი ასახავს საზოგადოების განვითარებად ბუნებას, რომელიც აღიარებს იმას, რომ სამართალი ცოცხალი ფენომენია და შეუძლია ადეკვატური რეაგირება ცვალებად ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებზე. სამართლის ზოგიერთი ნორმა დინამიურია, ზოგი სტატიკური, ხოლო ზოგიერთი ერთდროულად შეიცავს სტატიკურ და დინამიურ ელემენტებს. კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის მიხედვით, მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა გაიცემა უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 100 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხმობილი ნორმა არის სტატიკური და დინამიური ელემენტების შემცველი ნორმის მაგალითი. კანონის მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულია ბინადრობის მოკლევადიანი ნებართვის კატეგორია, დაკავშირებული უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებასთან და ასეთი ქონების ღირებულების შესაბამის ფინანსურ ზღვართან, რომელიც მოიცავს სტატიკური და დინამიკური ელემენტების კომბინაციას. ამ ნორმის სტატიკური ელემენტი – საქართველოში მდებარე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება – არის ასეთი კატეგორიის ნებართვის გაცემის ძირითადი იურიდიული პრინციპი, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევაში სტაბილური და მდგრადი ბუნებისაა. ამ ნორმის დინამიური ელემენტი – ქონების კონკრეტული ღირებულების მიმართ დადგენილი ფინანსური ზღვარი – მიანიშნებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ სინამდვილესთან ადაპტირების საჭიროებაზე. ნორმის სტატიკური ელემენტი (უცხოელს საკუთრებაში უნდა ერიცხებოდეს საქართველოში მდებარე უძრავი ქონება) სტაბილური პირობაა, ამ ნორმის დინამიური ბუნება ეფუძნება იმ დაშვებას, რომ ეკონომიკური სინამდვილე მუდმივ ცვლილებებს განიცდის, ამ უძრავი ქონების ფინანსური ღირებულება ან ზღვარი, რომელიც ასეთ ღირებულებას ადგენს, დინამიური პირობაა, იგი განიცდის ცვლილებებს ეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით. უკვე აღინიშნა, რომ 30.05.2019წ. №4741 კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ძალადაკარგული კანონით განსაზღვრული 35 000 აშშ დოლარის ოდენობით უძრავი ქონების ღირებულების შენარჩუნების ეკონომიკური და სამარ-

თლებრივი მიზანშეწონილობა, ადეკვატურობა აღარ არსებობს, იგი ვერ მოდის შესაბამისობაში არსებულ ეკონომიკურ სინამდვილესთან. კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის დინამიური ელემენტის – 100 000 აშშ დოლარის ოდენობით უძრავი ქონების ქვედა ზღვრის ცვლილება იმიგრაციის სფეროში სამართლის საზოგადოებრივი ფუნქციის ბუნებრივი ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემის პირობები იყოს სამართლიანი და გეგმაზომიერი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო იურიდიული კონსტრუქციის – „გრძელდება იმავე პირობებით, რომლებითაც ეს ნებართვა გაიცა“ – ნორმატიული შინაარსი უნდა დაზუსტდეს კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ობიექტური მიზნის (télos) შუქზე, კანონის ცვლილების კონტექსტში, იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, თუმცა არსებობას აგრძელებენ მისი მოქმედების პერიოდშიც. საკასაციო პალატა თვლის, რომ იურიდიული კონსტრუქცია – „იგივე პირობები“ – უკავშირდება საკანონმდებლო მოთხოვნის სახეობას (მაგალითად, გარკვეული ღირებულების მქონე უძრავი ქონების ფლობას) და არა კონკრეტულ რიცხვით მნიშვნელობას, რომელიც სახელმწიფოში არსებული სოციალური კონტექსტის შეგრძნების გარეშე, ფინანსურ ზღვარს მუდმივად უძრავ მდგომარეობაში დატოვებდა. იურიდიული ტერმინი – „ნებართვის გაცემის პერიოდში მოქმედი“ – არ ნიშნავს, რომ ნორმის ფინანსურ ზღვართან დაკავშირებით არსებული მოთხოვნა, რომელიც თავისი შინაარსით ერთმნიშვნელოვნად დინამიურია, შეუცვლელად სტატიკური დარჩება. პირიქით, კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიმართება სადავო იურიდიულ კონსტრუქციასთან მიანიშნებს იმაზე, რომ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება კვლავ ემორჩილება იგივე იურიდიულ კანონზომიერებას, იმავე სამართლებრივ სტრუქტურას, ქონების ფლობის მოთხოვნა კვლავ საკანონმდებლო კრიტერიუმად რჩება, თუმცა, ამ უძრავი ქონების გამოსადეგობას, სანებართვო პირობების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ნორმა განსაზღვრავს ამ უძრავი ქონების კონკრეტული ღირებულებით, რომელიც მისი დინამიური და სოციალურ-ეკონომიკური სინამდვილესთან ადაპტირებადი ბუნების გათვალისწინებით, შეფასებას ექვემდებარება სწორედ ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების მომენტში მოქმედი კანონით დადგენილი წესით. შესაბამისად, კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის სტატიკური და დინამიური ელემენტების კომბინაცია ახალი კანონის მიღებამდე დაწყებულ, თუმცა, მისი მიღების შემდეგ გაგრძელებულ ურთიერთობებზე ახდენს იმ სახის ზეგავლენას, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ფლობის კრიტერიუმი მაშინ

არის იურიდიულად ვარგისი სანებართვო პირობების დაკმაყოფილების მიზნებისთვის, თუ მისი ღირებულება შეესაბამება ახალი კანონით განსაზღვრულ ეკონომიკურ კრიტერიუმს. ხსენებული სამართლებრივი დასკვნა ემყარება კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ფუნქციურ დანიშნულებას და კანონში შეტანილი ცვლილების საკვანძო მიზანს. საკასაციო პალატის შეფასებით, კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, ტელეოლოგიური (მიზანზე ორიენტირებული) სისტემა და სტრუქტურა წარმოადგენს ქონებაზე დაფუძნებული ბინადრობის ნებართვების თანამედროვე ეკონომიკური სინამდვილის გამოვლინების ასახვის იმპერატივს. უკეთუ ქონებაზე დაფუძნებული ბინადრობის ნებართვების მიზანია, რომ უცხოელმა სახელმწიფოს ეკონომიკაში სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ფინანსური წვლილი შეიტანოს, მოძველებული სტანდარტების გამოყენება ამ ინსტიტუტის მიზნობრივ დანიშნულებას აცლის საფუძველს, კერძოდ იმას, რომ ქონებაზე დაფუძნებული ნებართვები კვლავ ასოცირდებოდეს ფინანსურად მნიშვნელოვან ინვესტიციებთან. მოცემულისაგან საპირისპიროს გაზიარების შემთხვევაში, შეფერხდება სამართლის სოციალურ სინამდვილესთან ადაპტაციის პროცესი, სახელმწიფო ვეღარ შეძლებს ქმედითი საიმიგრაციო სისტემის უზრუნველყოფას, ინსტიტუციის მიზნობრივ დანიშნულებას გამოეცლება საფუძველი. ამასთანავე, საპირისპირო სამართლებრივმა ინტერპრეტაციამ შესაძლოა ხელი შეუწყოს არაპრაქტიკული და არაეფექტიანი სისტემის შექმნას, რომლის შესახებაც მიეთითა კანონის განმარტებით ბარათში. საკანონმდებლო ცვლილება არანამდვილი უკუძალით მოქმედებს, მათ შორის სადავო შემთხვევაში.

რაც შეეხება საკასაციო პალატის ზემოხსენებული განმარტების სამართლებრივ ეფექტს რ. რ-ის ბინადრობის უფლებებზე და იმ უფლებრივ ბალანსს, რომელიც ამ ეფექტიდან მომდინარეობს, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი არ ვრცელდება უცხოელის ბინადრობის კანონიერებასთან დაკავშირებულ პროცესებზე, რამეთუ აღნიშნული ექსკლუზიურად საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება, ის ფაქტი, რომ ასეთ პროცესებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა პირის პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე ან მისი დასაქმების/საქმიანობის პერსპექტივებზე, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ეს პროცესები მოექცეს ევროკონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცული სამოქალაქო უფლებების სფეროში (იხ., ევროპული სასამართლოს 10.01.2012 წ. გადაწყვეტილება საქმეზე G.R. v. the Netherlands, App. No. 22251/07, §48). თუმცაღა, იმ უცხოელებთან მიმართებით („settled migrants“), რომლებსაც უკვე ოფიციალურად ჰქონდათ მინიჭებული ბინადრობის ნებართვა, აღნიშნული უფლებების შემდგომი გაუქმება წარმოადგენს ჩარევას ევროკონვენციის მე-8 მუხლით გათ-

ვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში (ევროპული სასამართლოს 16.08.2024წ. გადაწყვეტილება საქმეზე, Mirzoyan v. the Czech Republic, App. Nos. 15117/21 და 15689/21, §76). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. რ-ის ევროკონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა გამართლებული და პროპორციულია, ევროკონვენცია არ უზრუნველყოფს უცხოელისთვის კონკრეტული ტიპის ბინადრობის ნებართვის გაცემის უფლებას (ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 16.08.2024წ. საქმეზე, Mirzoyan v. the Czech Republic, App. Nos. 15117/21 და 15689/21, §76.). საიმიგრაციო კონტროლი სახელმწიფოს ეკონომიკური კეთილდღეობის ზოგად ინტერესებს უკავშირდება და წარმოადგენს ევროკონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს (ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 24.05.2016წ. გადაწყვეტილება საქმეზე Case of Biao v. Denmark, App. No. 38590/10, §117.). ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, ადგილი აქვს არა ბინადრობის ნებართვის უფლების გაუქმებას, არამედ სანებართვო პირობების ფაქტობრივი თვალსაზრისით არსებობის საკითხის გადამოწმებას. საკასაციო პალატა თვლის, რომ რ. რ-ის არ მინიჭებია დროში განუსაზღვრელი უფლება მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხის ცვლილებამდელი ნორმის მიხედვით გადაწყვეტაზე. შესაბამისად, ამ კატეგორიის ნებართვის მოქმედების ვადა არ გრძელდება ავტომატურ რეჟიმში, კანონის მე-15 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის ძალაში მყოფი რედაქცია მოქმედებს მხოლოდ არანამდვილი უკუძალით და არა რეტროაქტიურად (ნამდვილი უკუძალა), იგი არ ცვლის უკვე გაცემული ნებართვების სამართლებრივ მდგომარეობას. საკითხი განახლდება თუ არა მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად აკმაყოფილებს განმცხადებელი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. მოცემული განმარტება არ აუარესებს რ. რ-ის სამართლებრივ მდგომარეობას ან არ აუქმებს მის ლეგიტიმურ მოლოდინს, ვინაიდან არცერთი სამართლებრივი ინსტიტუტი არ აფუძნებს აბსოლუტურ ან/და შეუზღუდავ უფლებას უცვლელი საიმიგრაციო პირობების მქონე კანონმდებლობაზე. სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებად ვერ განიმარტება საჯარო სამართლის სფეროში განხორციელებული ყოველი ცვლილება, საწინააღმდეგო შემთხვევაში საერთოდ აზრი დაეკარგებოდა საჯარო-სამართლებრივ რეგულირებას. ამასთან აღიარებულია, რომ საჯარო სამართლებრივი ცვლილებით, ზოგჯერ პირი შესაძლებელია არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გამორიცხავს აუცილებელ საკანონმდებლო ღონისძიებათა განხორციელების მართლზომიერებას (შდრ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 14.02.2012წ. გადაწყვე-

ტილება საქმეზე Arras and Others v. Italy, App. no. 17972/07, §42). საკასაციო პალატამ მხოლოდ დააზუსტა სადავო ნორმების მნიშვნელობა და მათთვის ისეთი შინაარსი არ მიუკუთვნებია, რომელიც მათ ისედაც არ გააჩნდათ. ამასთანავე, მითითებული ცვლილება უკვე ძალაში იყო რ. რ-ის მიერ მოკლევადიანი ბინადრობის გაგრძელების მოთხოვნით სააგენტოში განცხადების წარდგენის პერიოდში. საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში დაცულია ევროკონვენციის მე-8 მუხლით მოთხოვნილი უფლებრივი წონასწორობა საზოგადოებრივ საჭიროებებსა და რ. რ-ის უფლებებს შორის. სახელმწიფო ფლობს ესკლუზიურ სუვერენულ პრეროგატივას აკონტროლოს სახელმწიფოში მიგრაცია საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მე-15 მუხლის „კ" ქვეპუნქტის ახალი რედაქციით გაიზარდა შესაბამისი უძრავი ქონების ღირებულება, არ ქმნის რ. რ-ის უფლებებში მომეტებული ჩარევის ეფექტს, საპირისპირო დასკვნა გამოიწვევს მიგრაციის საკვანძო სფეროში სახელმწიფოს ლეგიტიმური სოციალური და ეკონომიკური ამოცანების შესრულების საგრძნობლად გართულებას. მიგრაციის კონტროლის საკითხებში სახელმწიფოს ფართო დისკრეციის გათვალისწინებით, კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფეროს იმგვარი განმარტება, რომელიც ასეთ შემთხვევებში უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების გაზრდას გამორიცხავს, თავისი შინაარსით უთანაბრდება უცხოელისთვის კონკრეტული ტიპის ბინადრობის ნებართვის სახელმწიფოს მიერ გაცემის ვალდებულებას, იმ ნებართვის, რომლის გაცემაზეც უფლებას ევროკონვენცია არ უზრუნველყოფს. სახეზე არ არის მოსარჩელის ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მისი ფაქტობრივი სიტუაციის მომწესრიგებელი საიმიგრაციო კანონმდებლობა არ შეიცვლებოდა, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საიმიგრაციო სფერო ხშირად რეაგირებს ცვალებადი სამყაროს გამოწვევებზე. რ. რ-ისთვის მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელების საკითხი დამოკიდებულია მხოლოდ მოქმედი კანონით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ რ. რ-ის ევროკონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების უფლებაში განხორციელებული ჩარევა პროპორციულია და ასახავს გონივრულ წონასწორობას სადავო ინტერესებს შორის.

საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების ფაქტობრივ-სამართლებრივ შეფასებებს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 26.11.2020წ. SSG 9 20 00146423 წერილთან დაკავშირებით, რომლითაც სააგენტოს ეცნობა, რომ რ. რ-ისათვის საქართველოში მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონელი იყო. სზაკ-ის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორ-

განოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ამავე კოდექსის 60[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული წესისაგან საწინააღმდეგოდ, შეფასების მიღმა დატოვა საკვანძო საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პასუხობს საქართველოს ტერიტორიაზე რ. რ-ის სახელზე რეგისტრირებული საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე კანონმდებლობით დადგენილი საბაზრო ღირებულების მინიმალურ ზღვარს (კანონის 15 მუხ., „კ“ ქვ.პ.).

ამდენად, სააგენტოს მიერ მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რაც ქმნის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის ამ გარემოებათა გამოკვლევისა და სათანადოდ შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძვლებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

რაც შეეხება მხარეთა შორის ხარჯების განაწილების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები ადმინისტრაციული დავის განხილვისას გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სასკ-ის 1.2 მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია სპეციალური ნორმატიული მოწესრიგება, რომლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზ-

ღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. მოცემული საქმის განხილვისას დადგინდა, რომ აქტის გამოცემა მოხდა საქმის გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის გარეშე, რაც სასკ-ის 10.2 მუხლის შესაბამისად პროცესის ხარჯების ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრების საფუძველს ქმნის. საქმის მასალებით დგინდება, რომ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გადახდილია სახელმწიფო ბაჟი, რომელიც უნდა დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად, ხოლო სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ანაზღაურება სააგენტოს უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.03.2022წ. განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. რ. რ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის უფროსის მოვალეობათა შემსრულებლის 27.11.2020წ. №1000726540 გადაწყვეტილება და დაევალოს ადმინისტრაციულ ორგანოს გარემოებათა გამოკვლევისა და სათანადოდ შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა;

4. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ს. შ-ეის (პ/ნ ...) სასარგებლოდ დაეკისროს მის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. მუდმივი ბინადრობა

მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-511(კ-23) 14 დეკემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2022 წლის 1 ნოემბერს ს. ჰ-იმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის მითითებით, იგი 2019 წლის 26 დეკემბრიდან ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან – ჯ. მ-ითან და ჰყავთ საერთო შვილი, საქართველოს მოქალაქე – ე. ჰ-ი, რომელიც დაიბადა ... წლის ...ს. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ მას თავდაპირველად სააგენტოს 2020 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე, რომლის გასაჩივრების შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 30 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ადმინისტრაციულ ორგანოს.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში საქმის განხილვისას, სააგენტომ 2021 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით, კვლავ უარი უთხრა საქართველოში

მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. 2022 წლის 22 სექტემბერს, მოსარჩელემ კიდევ ერთხელ მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მოთხოვნით, თუმცა სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1000826514 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1000826514 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ს. ჰ-ის მიმართ საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ს. ჰ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1000826514 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა ს. ჰ-ის მიმართ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. ჰ-ი (დაბადებული: ...წ.) წარმოადგენდა ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქეს, რომელიც 2019 წლის 26 დეკემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქე ჯ. მ-ითან და ჰყავდა ერთი შვილი – ე. ჰ-ი (დაბადებული: ...წ.).

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს 2022 წლის 3 ოქტომბრის ცნობის თანახმად, ს. ჰ-ი არ იყო ნასამართლევი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტს 2022 წლის 23 სექტემბრის მდგომარეობით ს. ჰ-ის შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებოდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2020 წლის 14 აგვისტოს ს. ჰ-იმა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელმაც 2020 წლის 17 აგვისტოს №1000717750/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლების არსებობა/არ არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით. საქართველოს სახელმწი-

ფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 18 აგვისტოს №SSG22000101830 წერილის თანახმად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების გათვალისწინებით. შედეგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 14 სექტემბრის №1000717750 გადაწყვეტილებით ს. ჰ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 14 სექტემბრის №1000717750 გადაწყვეტილება ს. ჰ-იმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომლის 2020 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ს. ჰ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 14 სექტემბრის №1000717750 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ს. ჰ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, რომლის 2021 წლის 19 მაისის განჩინებით №3ბ/550-21 სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნულის შემდგომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 2 დეკემბრის №1000717750 გადაწყვეტილებით ს. ჰ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნ-

ქტების საფუძველზე, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2022 წლის 22 სექტემბერს ს. ჰ-იმა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელმაც 2022 წლის 23 სექტემბერს №1000826514/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლების არსებობა/არ არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 19 ოქტომბრის №SSG12200197463 წერილის თანახმად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების გათვალისწინებით. შედეგად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1000826514 გადაწყვეტილებით, ს. ჰ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამოწმა წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ამასთან, სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ" ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის მე-6-მე-7 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელისთვის მუდმივი ცხოვრების მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორ-

მაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იგი იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის № 1000826514 გადაწყვეტილებას. აღნიშნული საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის შედეგად კი, სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა კერძო ინტერესს – ს. ჰ-ის საქართველოში მუდმივი ცხოვრების უფლებას. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებშიც მოპასუხეს შეეძლო გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ბინადრობის მაძიებელი პირი – ს. ჰ-ი 2019 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა საქართველოს მოქალაქესთან და მათ ჰყავდათ საერთო შვილი.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებები ადასტურებდნენ გასაჩივრებული აქტის მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გამოცემას, ვინაიდან იგი იყო დაუსაბუთებელი ფაქტობრივი თვალსაზრისით და არ ეფუძნებოდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. აღნიშნული კი ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილების საკანონმდებლო საფუძველს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვი-

სების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებები. გადაწყვეტილების დასაბუთების თვალსაზრისით სააპელაციო პალატა შემოიფარგლა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილზე მითითებით და მოსარჩელის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან 2023 წლის 22 თებერვლის განჩინებით გამოთხოვილი ინფორმაციის გათვალისწინებით და აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო კანონიერი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავდა ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდებოდა მისი მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს 2022 წლის 3 ოქტომბრის ცნობის თანახმად, ს. ჰ-ი არ იყო ნასამართლევი, ხოლო მისი მეუღლე – ჯ. მ-იი იყო საქართველოს მოქალაქე. ამდენად, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მართალია, აღნიშნული გარემოებები არ გულისხმობდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის ვალდებულებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე მითითება, მისი შინაარსის გათვალისწინებით, არ ქმნიდა სადავო აქტის საკმარის დასაბუთებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა –

იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

კასატორი მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტსა და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, გაითვალისწინა კერძო და საჯარო ინტერესები და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

სააგენტომ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 19 ოქტომბრის № SSG 1 22 00197463 წერილი. სააგენტოს მითითებით, მან უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 25 მაისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრა-

ციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 26 სექტემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ჰ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ს. ჰ-ი 2019 წლის 26 დეკემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ჯ. მ-ითან და მათ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი ე. ჰ-ი (დაბადებული: ...წ.).

2022 წლის 22 სექტემბერს ს. ჰ-იმა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელმაც 2022 წლის 23 სექტემბერს №1000826514/1 წერილით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან გამოითხოვა ინფორმაცია. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის, 2022 წლის 19 ოქტომბრის №SSG12200197463 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. შედეგად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1000826514 გადაწყვეტილებით, ს. ჰ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ 03.07.2023წ. წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებარ-

თვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (Lupsa v. Romania, 20.06.2002წ.; Nunez v. Norway, 21.06.1988წ.; Jeunesse v. The Netherlands, 13.12.2012წ.), თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს.

საქართველოში უცხოელთა შემოსვლის, ყოფნის და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო. ამავე კანონის მე-15 მუხლის „ზ“ პუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ამავე კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე მუხლის ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი კი უცხოელისთვის საქართველოში

ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაში, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის" მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „გ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები

და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II-13).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დაარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კო-

დექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, ს. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება.

სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (Lupsa v. Romania, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (Lupsa v. Romania, №10337/04, §39, 08.06.2006წ.). ადამიანის უფლებათა ევრო-

პულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსის, ასევე საქმის მასალების ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა და გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, პრიორიტეტულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხები, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესთა შეპირისპირებისა და მათ შორის გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის ხარჯზე, რაც გამორიცხავს რომელიმე მხარის ინტერესების მომეტებული მოცულობით შეზღუდვას. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „ზოგადად ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში არის კონკრეტული და პირდაპირ მიუთითებს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების მაღალი რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისი არის პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას“ (სუსგ №ბს-1248(კ-20), 30.09.2021წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინამდებარე შემთხვევაში მუდმივი ბინადრობის ნებართვა არ გაიცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის საფუძვლით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, სააგენტოში წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სათანადოდ უნდა იკვეთებოდეს უარის თქმის საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნის შესაბამისად, რასაც განსაზღვრავს კანონი და განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იმ პირობებშიც კი, როდესაც დადასტურებულია, რომ მოსარჩელეს ჰყავს მეუღლე და შვილი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, სასამართლოს მიერ გამოკვლეულ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია არ საჭიროებს დამატებით კვლევას და საკმარისია იმისთვის, რომ ამ შემთხვევაში ფიზიკური პირის კერძო ინტერესთან მიმართებით, პრიორიტეტი მიენიჭოს საჯარო ინტერესს. საკასაციო პალატა გაეცნო რა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს, მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი მართებულია. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დასადგომად – ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და სა-

ზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრება ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი, მისი მოსაზრება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით, ასეთი დასაბუთება იკვეთება.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან). ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ ინფორმაცია საქმის განმხილველ ორგანოს ისეთი ფორმით უნდა მიეწოდოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა უნდა ქმნიდეს სავარაუდოების გარკვეულ ხარისხს (ალბათობის მაღალ ხარისხს), რაც შექმნის დასაბუთებულ მოლოდინს უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოების არსებობის, ბინადრობის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლოში წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის შინაარსი აკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს. ამასთანავე, ის გარემოება, რომ ამ დრომდე მოსარჩელის მიერ სახელმწიფოსა თუ საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული რაიმე ქმედების ჩადენა სათანადოდ არ დასტურდება, არ ასაბუთებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის უკანონობას, რადგან ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი გარემოებების ნორმატიული საფუძვლების გამოვლენა მიზნად ისახავს არა მხოლოდ რეპრესიულ, არამედ

პრევენციულ რეაგირებასაც და მიმართულია არა იმდენად რეალიზებული, არამედ უმეტესად მომავალში მოსალოდნელი, რეალიზებადი საფრთხეების თავიდან აცილებისკენ (სუსგ №ბს-67(კ-22), 05.10.2023წ.).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება (Al-Nashif v. Bulgaria, 20.06.2002წ.; Chahal v. The United Kingdom, 15.11.1996წ.). ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და რომ მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ სადავო აქტის მიმართ სასამართლო კონტროლის აღნიშნული წინაპირობები სახეზეა, როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, აგრეთვე საკასაციო პალატამ გამოითხოვა სადავო აქტის გამოცემის საფუძვლად არსებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული ინფორმაცია და შეაფასა საქმეში დაცულ მტკიცებულებებთან, მხარეთა ზეპირ და წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთობლიობაში. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი სრულად დაცულია, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მინიჭებული დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად სასამართლოს მხრიდან განხორციელდა „ადეკვატური და ქმედითი“ პროცედურები საქმის „ეფექტიანი განხილვის“ მიზნით (Lupsa v. Romania (§34), 08.06.2006წ.). მართალია, უშუალოდ მხარე ვერ გაეცნო სადავო აქტის საფუძვლად არსებულ მონაცემებს, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შესწავლილი და შეფასებული იქნა სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუ სასამართლო, მათ შორის საკასაციო პალატა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ მონაცემებს არასარწმუნოდ და შესაბამისად, მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმას დაუსაბუთებლად მიიჩნევდა, იგი მიიღებდა მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილებას, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი მართებულია.

საკასაციო პალატა გაეცნო ს. ჰ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლად არსებულ საიდუმლო ინფორმაციას, რის შედეგადაც მიაჩნია, რომ ალბათობის მაღალი ხარისხით დგინდება ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი ნორმატიული საფუძვლების არსებობა, გამოთხოვილ საიდუმლო მასალაში მითითებული ინფორმაცია, ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვისა და მისი პრიორიტეტულობის მნიშვნელობის მხედველობაში მიღების პირობებშიც კი, საკმარისი იყო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის №1000826514 გადაწყვეტილების მისაღებად, რაც თავის მხრივ, სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგის მართებულობას ადასტურებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები). ხოლო, ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ჰ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხა-

რეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს – ს. ჰ-ის უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 აპრილის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.
3. ს. ჰ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. მოსარჩელეს – ს. ჰ-ის დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ მის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-1020(კ-23) 06 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: მუდმივი ცხოვრების ნებართვა

აღწერილობითი ნაწილი:

ს. ს. ჯ. ა-იმა 2018 წლის 11 დეკემბერს წარმომადგენლების მეშვეობით სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1000636373 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ს. ს. ჯ. ა-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭების თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 2013 წლიდან ცხოვრობს საქართველოში. 2013-2017 წლებში მასზე გაცემული იყო სასწავლო ბინადრობის ნებართვები. თავდაპირველად სწავლობდა ... უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომ გადავიდა ... უნივერსიტეტში, სადაც გაიცნო მისი მომავალი მეუღლე – თ. ბ-ე. ისინი დაქორწინდნენ ... წლის 20 ივნისს. ...ს შეეძინათ შვილი – ს. ა-ი. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე დაუსაბუთებლად უარი უთხრა.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე არანაირი რეალური საფუძველი, რომ მოსარჩელე მიჩნეულიყო რაიმე სახის საფრთხის შემცველ პიროვნებად სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე. ს. ს. ჯ. ა-ი აღნიშნავდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ზიანს აყენებდა მის პირად და ოჯახური ცხოვრების უფლებასა და ლახავდა ოჯახის ერთიანობის პრინციპს, ვინაიდან იგი მეუღლესთან და შვილთან ერთად

ცხოვრობდა საქართველოში, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შემთხვევაში, იგი იძულებული გახდებოდა დაეტოვებინა საქართველო და მისი ოჯახი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ გააჩნდა მუდმივი ბინადრობის მიღებისა და ოჯახთან ერთად ცხოვრების გაგრძელების ყველა წინაპირობა, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიღებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და კანონსაწინააღმდეგო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ს. ს. ჯ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ს. ს. ჯ. ა-ის სარჩელი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1000636373 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1000636373 გადაწყვეტილება და ადმინისტრაციულ ორგანოს, საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევა-შეფასების საფუძველზე, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა. დანარჩენ ნაწილში უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა მუდმივი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სააპელაციო პალატამ 2021 წლის 5 მარტის განჩინების საფუძველზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, აღნიშნა, რომ მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება არ განახორციელა იმ მიზნით, რა მიზნითაც მას ჰქონდა მინიჭებული ეს უფლებამოსილება, ვინაიდან გადაწყვეტილება არ იყო მიღებული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის, სადავო შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა თავად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის გამოცემამდე მოსარჩელესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 31 ოქტომბრის №1000636374 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ს. ს. ჯ. ა-ის საქართველოდან გასვლის ვალდებულება გადაუვადდა 2018 წლის 29 ნოემბრამდე, ხოლო 2018 წლის 14 ნოემბრის №1000638256 გადაწყვეტილებით – 2018 წლის 14 დეკემბრამდე.

სააპელაციო პალატამ გაითვალისწინა ასევე მოსარჩელის ოჯახური გარემოებები, კერძოდ ის გარემოება, რომ ს. ს. ჯ. ა-ის მეუღლე თ. ბ-ე არის საქართველოს მოქალაქე და გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი საქართველოში. ამასთან, ჰყავთ საერთო შვილი – ს. ა-ი, ხოლო საქმის სააპელაციო წესით განხილვისას, მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, 2020 წლის 17 იანვარს მოსარჩელესა და მის მეუღლეს შეეძინათ მეორე შვილი. მოსარჩელის ოჯახი ცხოვრობს თბილისში, თვითდასაქმებულია და ეწევა კერძო ბიზნესს. მოსარჩელე უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობს საქართველოში, რაც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოსარჩელის ბინადრობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით ექვემდებარებოდა ხელახლა დადგენასა და შესწავლას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-

ტოს მიერ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ 2018 წლის 29 ნოემბრის №1000636373 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონიერების პრინციპის განხორციელების გზით. მისი მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტომ შეასრულა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებითაც, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

ს. ს. ჯ. ა-იმა საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი, რომლითაც არ დაეთანხმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიციას და მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება იყო კანონიერი და არ არსებობა მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ს. ჯ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 29 ნოემბრის №1000636373 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ს. ს. ჯ. ა-ის უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (Case of Leander v. Sweden). ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ

უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს (Case of Lupsa v. Romania).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი

საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 12 ნოემბერს №1000636373/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 26 ნოემბრის №SSG 4 18 00185950 წერილით, სააგენტოს, შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ს. ს. ჯ. ა-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა, რის საფუძველზეც გამოიცა სადავო აქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის წერილი წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგო-

მარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად არ დგინდება მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული გაითვალისწინოს ბინადრობის მაძიებელი პირის კონკრეტული მახასიათებლები.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2023 წლის 29 ნოემბერს №ბს-1020(კ-23) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა. საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20[1] მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. საქართველოს კანონმდებლობაში ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ზოგადი განმარტება მოცემულია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, კერძოდ, მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, დისკრეციული უფლება-

მოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. შესაბამისად, როდესაც ინტერესების დაპირისპირება გარდაუვალია, მნიშვნელოვანია მათი ჰარმონიზაციის, სამართლიანი დაბალანსების აუცილებლობა.

ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სამართლებრივი დაცვის ზომებს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ. როცა საქმე ეხება ფუნდამენტური უფლებების შელახვას, აღმასრულებლისადმი მინიჭებული სამართლებრივი დისკრეციის გამოვლენა შეუზღუდავი უფლებამოსილების სახით, შეუსაბამო იქნება კანონის უზენაესობასთან, რაც დემოკრატიული საზოგადოების კონვენციაში ჩადებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1984 წლის 2 აგვისტო, §68, სერიები A, №82). არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ადეკვატური და ქმედითი დაცვის საშუალებები ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მათ შორის, სასამართლოების მხრიდან ეფექტიანი, გულდასმით განხილვის კონკრეტული პროცედურები, რადგან საიდუმლო სადაზვერვო სამსახური, შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოიცავს რისკს, ძირი გამოუთხაროს ან სულაც გაანადგუროს დემოკრატია მისივე დაცვის საფუძვლით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ“ [დიდი პალატა], №28341/95, §§ 55 და 59, ECHR, 2000-V).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სწორედ სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო აფასებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფ-

რთხის რეალიზების ალბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ამგვარად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდება ს. ს. ჯ. ა-ის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, ვინაიდან იგი ვალდებულია გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე დატოვოს საქართველო, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (Case of Leander v. Sweden). ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს (Case of Lupsa v. Romania). კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები (Case of Khasanov and Rakhmanov v. Russia, 2022, §93).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრე-

ბული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ს. ს. ჯ. ა-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაცი-

ულ საქმეთა პალატის 2022 წლის 06 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ს. ს. ჯ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ს. ს. ჯ. ა-ის (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-1221(კ-23) 20 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. ჰ-იმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1000725389 გადაწყვეტილება; ბ) მოპასუხეს დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ.

სარჩელის თანახმად, ქ. ჰ-ი, დაბადებული ... წლის ...ს, არის ირანის

ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე. 2020 წლის 22 ოქტომბერს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა, რაზეც ეთქვა უარი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ არ არის ნასამართლევი და არ ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთან, ... წლის ...დან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ე. შ-ესთან.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ქ. ჰ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ქ. ჰ-ი (დაბადებული – ...წ.) არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე; ბ) ქორწინების აქტის ჩანაწერით დგინდება, რომ ... წლის ...დან ქ. ჰ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან – ე. შ-ესთან; გ) ქ. ჰ-იმა 2020 წლის 22 ოქტომბერს №1000725389 განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2020 წლის 23 ოქტომბრის ინფორმაციით ქ. ჰ-ის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება; ე) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 23 ოქტომბერს №1000725389/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და ითხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ქ. ჰ-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 17 ნოემბრის SSG 1 20 00142537 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს – ქ. ჰ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია; ვ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1000725389 გადაწყვეტილებით ქ. ჰ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე უარი ეთქვა საქართველო-

ში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, სადავო პერიოდში მოქმედ მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტზე, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით განსაზღვრულ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-7 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე და განმარტა, რომ სააგენტომ შეამოწმა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 17 ნოემბრის SSG 1 20 00142537 წერილით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს ქ. ჰ-ისათვის საქართველში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთოხების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად. გადაცემული ინფორმაცია, საიდუმლოების შემცველობის გამო, წარდგენილი იქნა მხოლოდ სასამართლოსათვის და არ დაერთო საქმეს. აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვითა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის), ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დასტურდება ადმინისტრა-

ციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ქ. ჰ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ქ. ჰ-ის სააპელაციო საჩივარი. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. დაკმაყოფილდა ქ. ჰ-ის სარჩელი. ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1000725389 გადაწყვეტილება და დაევალა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქ. ჰ-ისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და დამატებით განმარტა, რომ ქ. ჰ-ი – მ. გ-ი მოინათლა სოფ. ...ს ...ს ეკლესიაში. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ... სახლის ...ის (...ის) არქიმანდრიტ ი.-ს (კ-ეის) განცხადების (შუამდგომლობა) თანახმად, ქ. ჰ-ი რამდენიმე წელი ცხოვრობდა ... სახლში (თბილისი, ...ს ქ. №...), ხასიათდება როგორც პატრიოტი ფერეიდანელი ქართველი, შრომისმოყვარე, გაწონასწორებული, თავისი ისტორიული სამშობლოს ტრადიციებით და ცხოვრების წესით დაინტერესებული, უდიდესი პასუხისმგებლობით ემზადებოდა და მოინათლა მართლმადიდებელ ქრისტიანად, სურვილი ჰქონდა შეექმნა ქართული ოჯახი და დაქორწინდა ქართველ ქალზე. ასევე, წარმოდგენილია დახასიათება, რომლითაც სოფელ ...ის მოსახლეობა ქ. ჰ-ის (მ. გ-ის) ახასიათებს დადებითად, რაც დადასტურებულია ხელმოწერებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 2 თებერვლის განჩინებით საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს დაევალა წარმოადგინოს წერილობითი ინფორმაცია (მტკიცებულება), რომელიც საფუძვლად დაედო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1000725389 გადაწყვეტილებას, ქ. ჰ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საქარ-

თველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №100072538 გადაწყვეტილების, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, მიღებისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №100072538 გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დარღვევით არის მიღებული, რადგან იგი ხელყოფს მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს, რაც პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1000725389 გადაწყვეტილება მიღებულია კანონიერების პრინციპის განხორციელების გზით, კონკრეტულად – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის შესაბამისად.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამავე კანონით გათვალისწინებულ მუდმივი ცხოვრების ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავ-

სი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

„საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გადაუგზავნა წერილი, არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. მიღებული წერილით ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს მოსარჩელისათვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. სააგენტომ, იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ამავდროულად, გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დო-

კუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. ასევე საყურადღებოა, რომ განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 17 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 21 თებერვლის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ქ. ჰ-ი (დაბადებული – ...წ.) არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე; ბ) ქორწინების აქტის ჩანაწერით დგინდება, რომ ... წლის ...დან ქ. ჰ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან – ე. შ-ესთან; გ) ქ. ჰ-იმა 2020 წლის 22 ოქტომბერს განცხადებით

მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2020 წლის 23 ოქტომბრის ინფორმაციით ქ. ჰ-ის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება; ე) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 23 ოქტომბერს №1000725389/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და ითხოვა ეცნობებინა არსებობდა თუ არა ქ. ჰ-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 17 ნოემბრის SSG 1 20 00142537 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, დეპარტამენტს – ქ. ჰ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია; ვ) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის №1000725389 გადაწყვეტილებით ქ. ჰ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე ქ. ჰ-ისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და მოპასუხისთვის მოსარჩელის სახელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1.2).

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი

მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის (საქართველოში ბინადრობის ნებართვის გამცემი ორგანო და ბინადრობის ნებართვის გაცემის ზოგადი პირობები) პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო.

ამავე კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილია ბინადრობის ნებართვის სახეები, მათ შორის, მოცემული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს მითითებული კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველ-

საყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ამავე კანონის 18.2 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური, თანმიმდევრული, უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბი-

ნადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, საიდანაც 2020 წლის 17 ნოემბრის წერილით ეცნობა მოსარჩელე ქ. ჰ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ნოემბრის № 1000725389 გადაწყვეტილებით ქ. ჰ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამ-

სახურები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს -- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 17 ნოემბრის წერილობითი პასუხი მოსარჩელე ქ. ჰ-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობის თაობაზე წარმოადგენს სწორედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად და რასაც სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და, საბოლოო ჯამში, გაზიარების თვალსაზრისით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, გააჩნია არსებითი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი კანონიერია და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20[1] მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად და უპირატესობა მართებულად მიენიჭა საჯარო – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს. პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება, ჩაატარა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და საქმის მასალების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიღო გა-

დაწყვეტილება, რაც გამორიცხავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადავო აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და არ დაკმაყოფილდეს ქ. ჰ-ის სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ქ. ჰ-ის უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება. ამასთან, ქ. ჰ-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე, 53.1 მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ქ. ჰ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ქ. ჰ-ის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. ქ. ჰ-ის დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-1241(კ-23) 20 მარტი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. მაკარიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
თ. ოქროპირიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა. ი-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1000831707 გადაწყვეტილება; ბ) დაევალოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოხდება მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება და მის სახელზე საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ა. ი-ას სარჩელი დაკ-

მაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1000831707 გადაწყვეტილება. დაევალა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ა. ი-ას მიმართ გაიცემა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვა.

სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ი-ა (დაბადებული: ...წ. პასპორტის №...) 2022 წლის 24 ივნისიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე რ. მ-ითან; ბ) 2022 წლის 17 ოქტომბერს გაცემული ცნობით დასტურდება, რომ ა. ი-ა არის ანგარიშის მფლობელი სს „თ...ში", ნაშთი ანგარიშზე 17.10.2022წ.-ის მდგომარეობით შეადგენს 319.00 ლარს; გ) 2022 წლის 17 ოქტომბერს, ა. ი-ამ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; დ) 2022 წლის 19 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ №1000831707/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ი-ასთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. ი-ასთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1000831707 გადაწყვეტილებით, ა. ი-ას „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე; ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ა. ი-ას შესახებ 2022 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით ინფორმაცია არ მოეპოვება.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტზე, ამავე მუხლის მე-2 პუნქტზე, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს

მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილების მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-10 მუხლზე, მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ მუხლზე, მე-6 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე, მე-7 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-6 და მე-7 მუხლებზე, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით სასამართლომ აღნიშნა, რომ სააგენტომ შეამოწმა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და მიღებული ინფორმაციის შედეგად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განახორციელოს იმ მიზნით, რა მიზნითაც მას მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, რომლითაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს ა. ი-ასთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. ამასთან, მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სხვა რაიმე საფუძველი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლევია და სათანადოდ არ დაუსაბუთებია. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ცხადყოფს, რომ სადავო აქტი, წინააღმდეგობაშია მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან, რაც ქმნის წანამძღვრებს მისი ბათილად ცნობისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული საქმის განხილვის ფარგლებში სასამართლოს მიერ გამოკვლეული და დადგენილ იქნა ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობა, რაც სამართლებრივ საფუძველს ქმნის საიმისოდ, რომ ა. ი-ასთვის გაიცეს მუდმივი ცხოვრების ნებართვა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა დაევალოს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი, რომლითაც ა. ი-ას მიანიჭებს საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნე-

ბართვას. ამასთან, სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან (კონტრდაზვერვის დეპარტამენტი) გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ა. ი-ასთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1000831707 გადაწყვეტილებას. აღნიშნული საიდუმლო ინფორმაციის გაცნობის შედეგად, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებისას, სასამართლო უპირატესობას ანიჭებს კერძო ინტერესს – ა. ი-ას საქართველოში ცხოვრების უფლებას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 აგვისტოს განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, თავის მხრივ, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე, მე-15 მუხლის „ზ“ პუნქტზე, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, ამავე მუხლის მე-2 პუნქტზე, პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, 25-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, მე-17 მუხლის მე-10 პუნქტზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებზე მითითებით პალატამ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში ანიჭებს უფლებას სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართვე-

ლოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ამასთან, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად სააგენტო ვალდებულია, გამოითხოვოს ინფორმაცია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან, როგორსაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონისმიერი საფუძვლების არსებობის საკითხის დასადგენად. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნა – წერილი, წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილი, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად, წარმოადგენს კანონით გათვალისწინებულ დასკვნას. აღნიშნულის საფუძველზე, მიღებულ იქნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის № 1000831707 გადაწყვეტილება, რომლითაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ა. ი-ას უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიღებაზე. სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილით გათ-

ვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით, სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისგან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია და დეტალურად გაეცნო მას.

სააპელაციო პალატის განმარტებით, უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ადასტურებს გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერებას. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი (დასკვნა) არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდება მისი მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ა. ი-ა რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე რ. მ-ითან. ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ა. ი-ას შესახებ 2022 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით ინფორმაცია არ მოეპოვება.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო გადაწყვეტილებით ა. ი-ას საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვაზე უარი უსაფუძვლოდ ეთქვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 აგვისტოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორის მითითებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კანონიერების პრინციპის განხორციელების გზით, კონკრეტულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ შესაბამისად.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-15 მუხლზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი

მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ ვალდებულების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სააგენტომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წლის 19 ოქტომბრის №1000831707/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს თხოვნით ეცნობებინათ არსებობს თუ არა ა. ი-ას მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნულის პასუხად, 2022 წლის 14 ნოემბრის №SSG 3 2200220477 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს №1000831707 (ა. ი-ა A. I-A) საქმეში მითითებული პირისათვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

სააგენტომ, იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ამავდროულად, გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილი.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, მე-7 მუხლზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებუ-

ლი ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. ასევე განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია, მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 15 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 14 თებერვლის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა განისაზღვრა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) ყაზახეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ი-ა (დაბადებული: ...წ. პასპორტის №...) 2022 წლის 24 ივნისიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე რ. მ-ითან; ბ) სს „თ...ის“ მიერ 2022 წლის 17 ოქტომბერს გაცემული ცნობის თანახმად, ა. ი-ა არის ანგარიშის მფლობელი სს „თ...ში“, ნაშთი ანგარიშზე 17-10-2022-ის მდგომარეობით შეადგენს 319.00 ლარს; გ) 2022 წლის 17 ოქტომბერს, ა. ი-ამ განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მოითხოვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; დ) 2022 წლის 19 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-

ტომ №1000831707/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ი-ასთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. ი-ასთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემა; ე) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1000831707 გადაწყვეტილებით, ა. ი-ას „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე; ვ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ა. ი-ას შესახებ 2022 წლის 19 ოქტომბრის მდგომარეობით ინფორმაცია არ მოეპოვება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელე ა. ი-ასთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება და მოპასუხისთვის მოსარჩელის სახელზე მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონზე, რომელიც არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას (მუხლი 1.2).

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებ-

რივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის (საქართველოში ბინადრობის ნებართვის გამცემი ორგანო და ბინადრობის ნებართვის გაცემის ზოგადი პირობები) პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით განსაზღვრულ პირობებს. საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო.

ამავე კანონის მე-15 მუხლში ჩამოთვლილია ბინადრობის ნებართვის სახეები, მათ შორის, მოცემული მუხლის „ზ" პუნქტის თანახმად, მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს მითითებული კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ" ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ამავე კანონის 18.2 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის)

დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური, თანმიმდევრული, უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან.

მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2022 წლის 19 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ №1000831707/1 წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ი-ასთვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. ი-ასთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის მინიჭება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 15 ნოემბრის №1000831707 გადაწყვეტილებით, ა. ი-ას „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვით საქმიანობას ახორციელებენ სპეციალური სამსახურები საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – -საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 14 ნოემბრის SSG 3 22 00220477 წერილი წარმოადგენს სწორედ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად და რასაც სათანადოობის, საკმარისობის, პრიორიტეტულობისა და, საბოლოო ჯამში, გაზიარების თვალსაზრისით, მისი შინაარსის გათვალისწინებით, გააჩნია არსებითი ხასიათის მტკიცებულებითი ძალა. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლოს მიერ 2023 წლის 25 დეკემბრის №ბს-1241(კ-23) მიმართვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი კანონიერია და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20[1] მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და წარმოდგენილი საიდუმლო ინფორმაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად და უპირატესობა მართებულად მიენიჭა საჯარო – სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მიზანს. პალატის მოსაზრებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ განახორციელა მისთვის კანონით დაკისრებული ვალდებულება, ჩაატარა სრულყოფილი ადმინისტრაციული წარმოება და საქმის მასალების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 96-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება, რაც გამორიცხავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სადავო აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი აქტის გამოცემის დავალების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ უნდა დაკმაყოფილდეს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივ-

რებული განჩინება და არ დაკმაყოფილდეს ა. ი-ას სარჩელი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი არ დაკმაყოფილდა ა. ი-ას უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის და 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება. ამასთან, ა. ი-ას მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე, 411-ე, 53.1 მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 აგვისტოს განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ი-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ა. ი-ას მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. ა. ი-ას დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის და 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-277(კ-24) 28 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2023 წლის 8 მაისს მ. ი-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2011 წლიდან ცხოვრობს საქართველოში და 2014 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქესთან. ჰყავს ერთი შვილი. ვინაიდან, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში მეუღლესა და შვილთან ერთად მუდმივად ცხოვრობს საქართველოში და მუშაობს, მას 2015 წლის 8 ოქტომბრიდან მიღებული ჰქონდა საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილის №1000449052/5 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №1000449052 გადაწყვეტილება მ. ი-ისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემის შესახებ. აღნიშნული აქტის საფუძველზე მას აღარ აქვს საქართველოში მუდმივი ცხოვრების ნებართვა, მიუხედავად იმისა, რომ მას საქართველოში ჰყავს ოჯახი და მუშაობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილის №1000449052/5 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ი-ის სარჩელი დაკ-

მაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 სექტემბრის №1000449052/5 გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ივლისის განჩინებით გასწორდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ივლისის №3/3469-23 გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობა და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში, ნაცვლად, „ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 სექტემბრის №1000449052/5 გადაწყვეტილება", მიეთითა „ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილის №1000449052/5 გადაწყვეტილება".

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 დეკემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14, მე-15 და 21-ე მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის" მე-15 და 21-ე მუხლებზე და განმარტა, რომ უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ვალდებულია, ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და მხედველობაში მიიღოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან გამოთხოვილი ინფორმაცია, უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველოში უცხოელი პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ამასთანავე, უცხოელისათვის საქართველოში მინიჭებული ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, უპირო-

ბოდ არ გულისხმობს ამგვარი უფლებამოსილების გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების მართლზომიერებას. სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს, შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. ამასთან, გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი მიუთითებს, რომ საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს.

საქმის მასალების შესაბამისად, მ. ი-ი 2014 წლის 23 ნოემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე გ. ბ-ესთან. მ. ი-ის მეუღლე და შვილი არიან საქართველოს მოქალაქეები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია მოსარჩელის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შედეგად სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ადასტურებს გასაჩივრებული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდება მისი მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 5 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რო-

მელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება, თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ პუნქტისა, წარმოადგენს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტით დადგენილი წესით კი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

„საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკი-

ცებული საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, თუ მისთვის ცნობილი გახდება კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების არსებობის შესახებ.

კასატორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა გაცემული ბინადრობის ნებართვის ძალადაკარგულად გამოცხადება და არა უარი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, ვინაიდან საუბარია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილზე რომელიც საფუძვლად დაედო აქტის ძალადაკარგულობას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასება, რომელიც ეხება სააგენტოს მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას. უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააგენტოს პოზიცია და განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა, სააგენტოს, უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში, ავალდებულებს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და მოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული წერილი (დასკვნა) წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას, რომლის სამართალდაცვითი მიზნებისთვის გამოყენებას კრძალავს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა, საკასაციო სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია არ ტოვებს მცირეოდენ ეჭვსაც კი, რომ სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელა რაიმე ქმედება, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის (დასკვნის) პირობებში, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. სააგენტომ პირის უფლება შეზღუდა ლეგიტიმური მიზნის სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 14 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 23 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომლის თანახმად „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს..“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე: „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-13).

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სა-

ხელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (Lupsa v. Romania, 20.06.2002წ.; Nunez v. Norway, 21.06.1988წ.; Jeunesse v. The Netherlands, 13.12.2012წ.), თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს.

უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", რომლის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამავე კანონის მე-15 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მუდმივი ცხოვრების ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, არასრულწლოვან შვილზე, საქართველოს არასრულწლოვანი მოქალაქის მშობელზე. მუდმივი ცხოვრების ნებართვა გაიცემა აგრეთვე უცხოელზე, რომელიც დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე საქართველოში ცხოვრობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში. ამ ვადაში არ ითვლება საქართველოში სწავლის ან მკურნალობის მიზნით ცხოვრებისა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და მათთან გათანაბრე-

ბულ წარმომადგენლობებში მუშაობის პერიოდი. ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, კერძოდ, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო სასამართლოს მითითებით „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა" ქვეპუნქტი) და თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ" ქვეპუნქტი). ამავე კანონის 21-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლებს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ყოფნის ვადა შეიძლება შეუწყდეს, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, შეუწყვიტოს უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა, საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ი-ი (დაბადების თარიღი ... წელი, პასპორტის №...) არის ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე და 2014 წლის 23 ნოემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე გ. ბ-ესთან.

2015 წლის 8 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს № 1000449052 გადაწყვეტილებით ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე მ. ი-იზე გაიცა მუდმივი ბინადრობის ნებართვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10

აპრილის №1000449052/5 გადაწყვეტილებით 2015 წლის 8 ოქტომბრის №1000449052 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მ. ი-ისთვის საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ, ძალადაკარგულად გამოცხადდა 2023 წლის 10 აპრილიდან.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, როგორსაც წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, ეწევა ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაციასა და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას. ამავე კანონის პირველი მუხლის თანახმად კი, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის შეწყვეტის თაობაზე. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის არა მხოლოდ მინიჭების, არამედ გაცემული ნებართვის მოქმედების ვადის შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის პროცესში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მასზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

საკასაციო სასამართლომ სწორედ გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 27 სექტემბრის №1000614514/5 გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების მიზნით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელისთვის საქართველოში მუდმივი

ცხოვრების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დაარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

ამასთან, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა

სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან). ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ ინფორმაცია საქმის განმხილველ ორგანოს ისეთი ფორმით უნდა მიეწოდოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა უნდა ქმნიდეს სავარაუდოების გარკვეულ ხარისხს (ალბათობის მაღალ ხარისხს), რაც შექმნის დასაბუთებულ მოლოდინს უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოების არსებობის, ბინადრობის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ: ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემული ზემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში; ბ) კანონმდებლობის შესაბამი-

სად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში; გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს; ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

ამდენად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, თავისივე ინიციატივით გადაამოწმოს მის მიერ მიღებული აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების საკითხი, მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოში უცხოელის უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. ხოლო ასეთი გარემოების გამოვლენა, მათ შორის, უცხოელის მიერ იმგვარი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იწვევს საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, საქართველოში მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება.

სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპუ-

ლი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (Lupsa v. Romania, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (Lupsa v. Romania, №10337/04, §39, 08.06.2006წ.). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსის, ასევე საქმის მასალების ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა და გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, პრიორიტეტულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხები, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საჯარო და კერძო ინტერესთა შეპირისპირებისა და მათ შორის გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის ხარჯზე, რაც გამორიცხავს რომელიმე მხარის ინტერესების მომეტებული მოცულობით შეზღუდვას. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „ზოგადად ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში არის კონკრეტული და პირდაპირ მიუთითებს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და

საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების მაღალი რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისი არის პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას" (სუსგ №ბს-1248(კ-20), 30.09.2021წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინამდებარე შემთხვევაში მუდმივი ცხოვრების ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი. საკასაციო პალატა გაეცნო რა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს, მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება მართებულია. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება, მ. ი-ისთვის საქართველოში მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე გამოცემული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილის №1000449052/5 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნის შესაბამისად, რასაც განსაზღვრავს კანონი და განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის დაცვით.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება (Al-Nashif v. Bulgaria, 20.06.2002წ.; Chahal v. The

United Kingdom, 15.11.1996წ.). ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და რომ მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ სადავო აქტის მიმართ სასამართლო კონტროლის აღნიშნული წინაპირობები სახეზეა. როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, აგრეთვე საკასაციო პალატამ გამოითხოვა სადავო აქტის გამოცემის საფუძვლად არსებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული ინფორმაცია და შეაფასა საქმეში დაცულ მტკიცებულებებთან, მხარეთა ზეპირ და წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთობლიობაში. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი სრულად დაცულია, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მინიჭებული დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად სასამართლოს მხრიდან განხორციელდა „ადეკვატური და ქმედითი" პროცედურები საქმის „ეფექტიანი განხილვის" მიზნით (Lupsa v. Romania (§34), 08.06.2006წ.). მართალია, უშუალოდ მხარე ვერ გაეცნო სადავო აქტის საფუძვლად არსებულ მონაცემებს, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შესწავლილი და შეფასებული იქნა სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუ სასამართლო, მათ შორის საკასაციო პალატა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ მონაცემებს არასარწმუნოდ და შესაბამისად, საქართველოში მუდმივი ცხოვრების ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას დაუსაბუთებლად მიიჩნევდა, იგი მიიღებდა მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილებას, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი მართებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. ი-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თა-

ნახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს – მ. ი-ის უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (150+300) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. მოსარჩელეს – მ. ი-ს დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ მის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ბინადრობა ოჯახის გაერთიანების მიზნით

ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მოპოვების წინაპირობები

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-186(კ-24) 27 ივნისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოსადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ს-იმ 2022 წლის 05 დეკემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის №1000834111 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ა. ს-ის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სარჩელის მიხედვით, ა. ს-ი წლებია საქართველოში მეუღლესთან ერთად ცხოვრობს, თუმცა მიუხედავად ამისა, ბინადრობის ნებართვის მიღებაზე მას უარი ეთქვა, რის შედეგად ეზღუდება საყოველთაოდ აღიარებული ყველა უფლება. მოსარჩელის მოსაზრებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის №1000834111 გადაწყვეტილება ატარებს ფიქტიურ ხასიათს, შესაბამისად ითხოვა მისი ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ა. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის №1000834111 გადაწყვეტილება და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ა. ს-ისთვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების

მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 05 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები, მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა ბინადრობის ნებართვა ოჯახის გაერთიანების მიზნით, რომელიც გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. სწორედ ამ ნორმებზე მითითებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა, რაც გახდა სააგენტოს მიერ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავდა ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დადასტურდა ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 05 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

კასატორის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენ-

ტოს მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი; სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების საფუძველს წარმოადგენს. უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტომ შეასრულა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია, რომლის გათვალისწინებითაც, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მართებულად უთხრა უარი მოსარჩელეს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

კასატორმა მიუთითა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას, ამავდროულად კი განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზ-

ღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას, თუმცა ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასამართლოსთვის, რომელმაც სათანადო წესით გამოითხოვა და გაეცნო მასალებს და ცალსახად მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება არსებითად შეესაბამება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოსა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, იგი უნდა გაუქმდეს ისევე, როგორც უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და უარი ეთქვას მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 29 თებერვლის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

ა. ს-იმ 2024 წლის 06 მარტს საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარადგინა საკასაციო შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ არ არსებობდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რამეთუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 05 დეკემბრის განჩინება იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული იყო. ა. ს-იმ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1977 წლის №77(31) რეზოლუცია „ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებებთან მიმართებით ინდივიდების უფლებების დაცვის შესახებ" შეიცავს იმ მნიშვნელოვან დებულებებს, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული პროცედურები, მათ შორის, არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და პირის უფლება იყოს მოსმენილი. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელისათვის ისიც კი არ არის ცნობილი თუ რაში სდებენ ბრალს, კონკრეტულად რომელი მისი ქმედება (უკეთუ სუს-ის პასუხს საფუძვლად დაედო მოსარჩელის რომელიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედება) შეფასდა საქართველოს უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველად და შესაბამისად, მას არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა თავის მოსაზრება კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ გარემოებებთან დაკავშირებით და განეხორციელებინა თავისი უფლების

ეფექტიანი დაცვა.

მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციულ აქტს საფუძვლად უდევს მხოლოდ სუს-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული, უსაფუძვლო წერილი. ამავე დროს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის სხვა საფუძველი მოპასუხეს არ გამოუვლენია. ამდენად, სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და საიდუმლო ინფორმაციის შემცველ დოკუმენტაციას, შეაფასა აღნიშნული და მართებულად მიიჩნია ა. ს-ისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 30 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა განხილულიყო ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის №1000834111 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ა. ს-ის უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის

მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი

საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2022 წლის 26 ოქტომბერს №1000834111/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2022 წლის 10 ნოემბრის №SSG 7 22 00217420 წერილით, სააგენტოს შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ა. ს-ისთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა, რის საფუძველზეც გამოიცა სადავო აქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის 2022 წლის 10 ნოემბრის

№SSG 7 22 00217420 წერილი წარმოადგენს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად არ დგინდება მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროება, ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული გაითვალისწინოს ბინადრობის მაძიებელი პირის კონკრეტული მახასიათებლები.

„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, მის ფუნქციებსა და უფლებამოსილებას (1 მუხ.). ამავე კანონის მე-5 მუხლი აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მიმართულებებს, კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამსახურის საქმიანობის მიმართულებებია: საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან დაცვა; საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და მათი დაცვის უზრუნველყოფა; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ტერორიზმთან ბრძოლა; სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება; სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მათი შესრულების კონტროლი და ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა. სამსახურის ფუნქციებს წარმოადგენს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მიმართულებების მიხედვით სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ დანაშაულთა თავიდან აცილება (პრევენციული ღონისძიებების განხორციელება), გამოვლენა, აღკვეთა და გამოძიება და სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებულ დანაშაულთა, მოსალოდნელი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების ანალიზი.

ამავე კანონის მე-12 მუხლის თანახმად, სამსახური პრევენციული ფუნქციების შესრულების უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის

ფარგლებში უფლებამოსილია გააფრთხილოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები იმ შესაძლო ქმედებათა შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოება („გ“ ქვ.პ.) და ღია და ფარული წყაროებიდან მოიპოვოს ინფორმაცია, განახორციელოს მიღებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავება და განზოგადება („კ“ ქვ.პ). „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითადი ამოცანაა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიტიკური დამუშავება და გამოყენება („ა“ ქვ.პ.) და კონკრეტული სადაზვერვო ან/და ტერორისტული ქმედებების და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოვლენა და თავიდან აცილება („ბ“ ქვ.პ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უშიშროების საფრთხე ფარდობითი კატეგორიის ცნებაა, მას არ ახასიათებს აბსოლუტური განსაზღვრულობა, თუმცა იმისთვის, რომ მასზე მითითებით უცხოელს საქართველოში ყოფნაზე ეთქვას უარი, აუცილებელია მოსალოდნელობის გარკვეული ვარაუდი შეიქმნას (სუსგ 29.07.2022წ. №ბს-959(კ-21)). ნასამართლობის სტატუსის, სამართალდამცავ ორგანოებთან კონფლიქტის არ არსებობა არ გამორიცხავს პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზნებისათვის კონტრდაზვერვითი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების შეუძლებლობას. მნიშვნელოვანია, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხთან დაკავშირებული დავის განხილვისას სასამართლომ ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში კონკრეტული საქმის თავისებურებების მხედველობაში მიღებით უნდა იმსჯელოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, მისი გაზიარების შესაძლებლობის საკითხზე (სუსგ 06.04.2023წ. №ბს-631(კ-21)).

საკასაციო სასამართლოს მიერ 2024 წლის 11 მარტის №ბს-186(კ-24) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა. საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩ-

ნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20[1] მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის შეფასება ხდება სასამართლოს მიერ, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფრთხის რეალიზების ალბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები კმაყოფილდება, იმთავითვე არ გულისხმობს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთი და იგივე გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად საფუძვლად უდევს მოსარჩელის შესახებ კონტრდაზვერვის დეპარტამენტში არსებული ინფორმაცია, რომელიც განსხვავდება თითოეულ კონკრეტულ საქმეზე, რადგან იცვლება ინფორმაციის სუბიექტი.

საქმეში დაცული მტკიცებულებების თანახმად ასევე დადგენილია, რომ ა. ს-ის მიმართ ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა გაცემული არაერთგზის იყო, მათ შორის, 2017 წლის 28 ივნისს გაიცა 2018 წლის 06 აპრილამდე, ხოლო 2018 წლის 30 მარტს კი – 2022 წლის 17 დეკემბრამდე, ხოლო მისი მეუღლის, ა. ყ. რ-ის 2022 წლის 21 ოქტომბერს გაუგრძელდა შრომითი ბინადრობის ნებართვა 2027 წლის 10 სექტემბრამდე. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევასა და მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ გამოყენებას, უკეთუ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ინფორმაცია მოსარჩელის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, მის მიმართ გაიცა ბინადრობის ნებართვები, ხოლო როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვა საფრთხის ქვეშ დადგა, გამოიყენა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და მიიღო სადავო გადაწყვეტილება.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდება ა. ს-ის უფლებები, ვინაიდან იგი ვალდებულია გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე დატოვოს საქართველო, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრე-

ბით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (Berrehab v. The Netherlands). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (Case of Leander v. Sweden). ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს (Case of Lupsa v. Romania). კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები (Case of Khasanov and Rakhmanov v. Russia, 2022, §93).

ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სამართლებრივი დაცვის ზომებს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ. როცა საქმე ეხება ფუნდამენტური უფლებების შელახვას, აღმასრულებლისადმი მინიჭებული სამართლებრივი დისკრეციის გამოვლენა შეუზღუდავი უფლებამოსილების სახით, შეუსაბამო იქნება კანონის უზენაესობასთან, რაც დემოკრატიული საზოგადოების კონვენციაში ჩადებული ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „მელოუნი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, 1984 წლის 2 აგვისტო, §68, სერიები A, №82). არსებითი და მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ადეკვატური და ქმედითი დაცვის საშუალებები ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, მათ შორის, სასამართლოების მხრიდან ეფექტიანი, გულდასმით განხილვის კონკრეტული პროცედურები, რადგან საიდუმლო სადაზვერვო სამსახური, შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოიცავს რისკს, ძირი გამოუთხაროს ან სულაც გაანადგუროს დემოკრატია მისივე დაცვის საფუძვლით (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: „როტარუ რუმინეთის წინააღმდეგ“ [დიდი პალატა], N28341/95, §§ 55 და 59, ECHR, 2000-V).

ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სწორედ სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს გააკონტროლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერება, კერძოდ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ხომ არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით და კანონის მიზნის უგულებელყოფით განხორციელება. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო აფასებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფრთხის რეალიზების ალბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით.

ამგვარად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები (სუსგ №ბს-342-331(კ-10), 20.10.2010წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივ-

რებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ა. ს-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოს უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 450 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 05 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ა. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ა. ს-ის (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. შრომითი ბინადრობა

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-782(კ-23) 27 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. ოქროპირიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. მაკარიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ო. მ-მა 2020 წლის 22 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ და მოითხოვა „ო. ო. მ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 17 სექტემბრის №1000609397 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 მაისს მოპასუხე სააგენტოში ბინადრობის ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებას თან ერთვოდა ყველა საჭირო დოკუმენტი, მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტომ მოსარჩელის გაცხადება განიხილა კანონის მოთხოვნათა დარღვევით, სათანადოდ არ უზრუნველყო მისი ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და გარემოებათა არასათანადო გამოკვლევის შედეგად გამოსცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ო. ო. მ-ის სარჩელი

დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი „ო. ო. მ-ისთვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 17 სექტემბრის №1000609397 გადაწყვეტილება, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ო. ო. მ-ისთვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ო. ო. მ-ისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. სასამართლომ პრიორიტეტულად მიიჩნია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა აღნიშნა, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მოსარჩელისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევის საფუძვლის დასადგენად პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ინფორმაციის გამოკვლევა განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვითა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, თუმცა მასში მითითებული ფაქტები არ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებაში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის), ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (მოსარჩელე დასაქმებულია საქართველოში, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ბიუჯეტში იხდის გადასახადებს) გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ო. ო. მ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 11 მარტის (საქმე №3ბ/2954-18) კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ო. ო. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 05 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ო. ო. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 14 ივნისის №1000609397 გადაწყვეტილება და დაევა-

ლა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა კანონით განსაზღვრულ ვადაში. თუმცა, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სადავო აქტით კვლავ უარყოფითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წლის 17 სექტემბერს, არ შეიცავდა მითითებას რაიმე ახალ გარემოებაზე და დასაბუთებას, თუ რა დამატებითი მტკიცებულებების საფუძველზე იქნა მიღებული კვლავ უარყოფითი გადაწყვეტილება ო. ო. მ-ის განცხადებასთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათზე გაკეთებული სამართლებრივი შეფასებები.

პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული საკანონმდებლო რეგულაციებით დისკრეციულ უფლებამოსილებასთან მიმართებით. პალატამ ყურადღება გაამახვილა საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე, რომელთა შესაბამი-

სად, ო. ო. მ-ს 2014 წლის 03 აპრილს საქართველოში შეეძინა შვილი ო. კ. მ-ი. ო. კ. მ-ის ორივე მშობელი ნიგერიის მოქალაქეა, მოსარჩელის შვილის სახელზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულია დროებითი ბინადრობის მოწმობები, მოსარჩელეს ჰყავს ..... წლის ..... ს დაბადებული შვილი ო. მ. მ-ს, რომლის დაბადების ადგილია ნიგერია, მის სახელზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემულია დროებითი ბინადრობის მოწმობები. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საიდუმლო წერილის შინაარსის, ასევე, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

კასატორი მიიჩნევს, რომ სადავო აქტი გამოცემულია ნორმატიულად დადგენილი პროცედურების სრული დაცვით. ბინადრობის სამართლებრივი ბუნება, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან ყველაზე მისაღები გადაწყვეტილების შერჩევის დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს. სააგენტოს მიერ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციით (2020 წლის 25 აგვისტოს №SSG 9 20 00104889 წერილი), „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით დადგინდა მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობა. ამდენად, სააგენტომ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთშედარების საფუძველზე მიიღო სადავო გადაწყვეტილება. კასატორის მითითებით, მოქმედი სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია ისეთი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, რომლებიც სადავოს გახდის და გააბათილებს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 4 სექტემბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 10 ნოემბრის განჩინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეული იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე ო. ო. მ-მა (O. O. M-ს დაბ.: ... წელს, ნიგერიაში, პასპორტის №...) განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 17 სექტემბრის №1000609397 გადაწყვეტილებით ო. ო. მ-ს, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი, რომლის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას. შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წინაპირობების არსებობისას საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (კანონის მე-17 მუხ. მე-10 პუნქტ.). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მიხედვით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის პირველი

პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად სააგენტო ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან (მე-13 მუხ. მე-5 პუნქტ.).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, კონტრდაზვერვით საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. აღნიშნული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები ითვალისწინებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას, თუ უცხოელი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს და ამის შესახებ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა.

განსახილველ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან, რომლის 2020 წლის 25 აგვისტოს №SSG 9 20 00104889 წერილით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის ბინადრობის ნებართვის გაცემა. სადავო აქტი გამოიცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ზემოაღნიშნული წერილის საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სა-

მართლებრივი აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტისათვის, აუცილებელია იმ ინფორმაციის გაცნობა და შესწავლა, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. საკასაციო სასამართლო გაეცნო საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იმ ინფორმაციას, რომელიც საფუძვლად დაედო მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან საქმეზე გამოთხოვილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, მისი შინაარსი მხარეებს გააცნოს და სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახოს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები ქმნის მოსარჩელის მიერ საქართველოს უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლიან ვარაუდს და შესაბამისად, ადასტურებს სადავო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 17 სექტემბრის №1000609397 გადაწყვეტილების კანონიერებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ ქმნის ბინადრობის ნებართვის გაცემის საფუძველს, სააგენტოში წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სათანადოდ უნდა იკვეთებოდეს უარის თქმის საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არის შემთხვევები, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემები და დასკვნები იმთავითვე გამორიცხავს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის დასაბუთებულობის, აღწერილი საფრთხის რეალიზების საკმარისი ალბათობის, განვითარებული მსჯელობის გონივრულობისა და სარწმუნოობის გამო. ამასთანავე, მაშინაც კი, როდესაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაცია

პირზე ბინადრობის ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლობას სათანადოდ ასაბუთებს, არ გამოირიცხება კერძო და საჯარო ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების საჭიროება, თუმცა ასეთ დროს კერძო ინტერესი უკან იხევს, რადგან კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სათანადოდ დასაბუთებული დასკვნა ცხადს ხდის საჯარო ინტერესის პრიორიტეტულობას (სუს 2023 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილება №ბს-67(კ-22)). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან დაკავშირებით კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ალბათობის საკმარისი ხარისხით ადასტურებს ბინადრობის ნებართვის გაცემის დამაბრკოლებელი სათანადო საფუძვლების არსებობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, ო. ო. მ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. ამასთანავე, ო. ო. მ-ს უნდა დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასა-

ციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ო. ო. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ო. ო. მ-ის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად;

5. ო. ო. მ-ს დაეკისროს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 (ას ორმოცდაათი) ლარისა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-267(კ-24) 28 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. სტურუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
გ. აბუსერიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2023 წლის 7 მარტს ი. კ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის ბელორუსიის მოქალაქე. 2023 წლის 31 იანვარს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის №1000866651 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლო და დაუშვებელია, შესაბამისად, მან შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის №1000866651 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ი. კ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის №1000866651 გადაწყვეტილება; მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ი. კ-ისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის

ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე. ამავე კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაცია.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გა-

დაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია მოსარჩელის თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის გაცნობის შედეგად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ადასტურებდა გასაჩივრებული სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე არ დასტურდება მისი მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. შესაბამისად, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ი. კ-ს უნდა მიეცეს შრომითი ბინადრობის ნებართვა საქართველოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო

და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

კასატორმა მიუთითა „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 და მე-7 მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის" მე-13 მუხლის მე-5 პუნქტსა და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით, გაითვალისწინა კერძო და საჯარო ინტერესები და დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა. საგენტოს მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 4 მარტის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 23 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო სა-

ჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, საქართველოს მოქალაქეობის, მიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სახელმწიფო უფლებამოსილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების შესაბამისად შეიმუშაოს სათანადო საიმიგრაციო პოლიტიკა და განსაზღვროს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოში შესვლის, დროებით ან მუდმივად ყოფნის პირობები და წესი. საიმიგრაციო საკითხების რეგულირებისას, მათი პოლიტიკური ხასიათიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლება ფართო მიხედულების ზღვრით სარგებლობს." (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე: „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატრიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ", II-13).

საკასაციო პალატა ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოში უცხოელის შემოსვლა თუ გარკვეული დროით ყოფნა, არ არის აბსოლუტური უფლება, სათანადო საფუძვლების არსებობისას აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, მით უფრო მაშინ, როდესაც დღის წესრიგში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის საკითხი დგას. ის, რომ სახელმწიფოს, მასზე დაკისრებული საჯარო წესრიგის უზრუნველყოფის ვალდებულებიდან გამომდინარე, აქვს თავის ტერიტორიაზე უცხოელთა შესვლის, დარჩენის და ყოფნის ხანგრძლივობის კონტროლის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში განიმარტა: კონვენცია არ ახდენს კონკრეტულ ქვეყანაში უცხოელის შესვლისა და ყოფნის უფლების უზრუნველყოფას (Lupsa v. Romania, 20.06.2002წ.; Nunez v. Norway, 21.06.1988წ.; Jeunesse v. The Netherlands, 13.12.2012წ.), თუმცა სახელმწიფოს მიერ უცხოელთა მიმართ განხორციელებული ქმედებები სათანადო ნორმატიულ საფუძველს უნდა ეფუძნებოდეს.

უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავ-

ლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", რომლის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გასცემს სააგენტო. ამასთან, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე. ვინაიდან ბინადრობის ნებართვის გაცემით უცხოელი მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის შესაძლებლობას, ხოლო სახელმწიფო კისრულობს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას საქართველოს ტერიტორიაზე, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლით დეტალურად და ამომწურავად არის გაწერილი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. მათ შორის, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართვე-

ლოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ („ა“ ქვეპუნქტი) და თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს („გ“ ქვეპუნქტი).

საკასაციო სასამართლო, ასევე, მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. კ-ი (დაბ. ... წელს ბელარუსის რესპუბლიკაში, მინსკის ოლქში, ქ. ...ში) არის ბელორუსიის რესპუბლიკის მოქალაქე. 2021 წლის 6 დეკემბრის მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, ი. კ-ი რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ. 2021 წლის 7 დეკემბრის სერტიფიკატის თანახმად, ი. კ-ს მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი. 2023 წლის 27 იანვრის ცნობის თანახმად, ი. კ-ის საწარმოში დასაქმებულია მხოლოდ თვითონ. 2022 წლის 17 თებერვალს, ი. კ-სა და „...-ს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ი. კ-ის, როგორც ...ის სამუშაოს ანაზღაურება 2022 წლის 17 თებერვლიდან განისაზღვრა 4 062.5 აშშ დოლარით თვეში, ხოლო 2022 წლის 6 აპრილიდან – 3 833.33 აშშ დოლარით თვეში; კონტრაქტის ავტომატურად შეწყვეტის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 31 იანვარი. საქართველოს შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2023 წლის 1 თებერვლის ცნობის თანახმად – ი. კ-თან დაკავშირებით მითითებულ დეპარტამენტში ინფორმაცია არ მოიპოვება. შსს სასაზღვრო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად – ი. კ-ი საქართველოში, სარფის გამშვები პუნქტის მეშვეობით, შეუფერხებლად შემოვიდა 2023 წლის 7 იანვარს. დარჩენილი დღეების რაოდენობად, ინფორმაციის გაცემის დღისთვის მითითებულია – 340 დღე, ხოლო საქართველოდან გასვლის საბოლოო თარიღია 2024 წლის 7 იანვარი. 2023 წლის 31 იანვარს ი. კ-მა ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციული წარმოების

ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ წერილობით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ი. კ-ის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვების მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 2023 წლის 8 თებერვლის №SSG 6 23 00030425 წერილით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს, ი. კ-ისათვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით, შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 9 თებერვლის №100086665 1 გადაწყვეტილებით ი. კ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2023 წლის 8 თებერვლის №SSG 6 23 00030425 წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა. სწორედ ამ მიზნით, საკასაციო სასამართლომ, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა ანალოგიურად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან დამატებით გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ი. კ-ის საქართველოში შრომითი ნებართვის გაცემის მიზანშეუწონლად მიჩნევას.

„კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალის-

წინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ლეგიტიმური ინტერესია უზრუნველყოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის სათანადოდ დაცვა. ამგვარად, სწორედ სახელმწიფოა უფლებამოსილი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, განსაზღვროს, თუ რა ფორმით დაარეგულიროს უცხოელთა სამართლებრივი სტატუსი სახელმწიფოში. აღნიშნული ინტერესების დაცვის მნიშვნელობასა და სახელმწიფოს ფართო მიხედულების ზღვარზე მიუთითებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტიც, რომელიც „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომ ინფორმაცია გამოითხოვოს შესაბამისი ორგანოებიდან.

ამასთან, უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან). ამავე მუხლის მე-3 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ ინფორმაცია საქმის განმხილველ ორგანოს ისეთი ფორმით უნდა მიეწოდოს, რომ ზიანი არ მიადგეს სახელმწიფო საიდუმლოების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საი-

დუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების ერთობლიობა უნდა ქმნიდეს სავარაუდოების გარკვეულ ხარისხს (ალბათობის მაღალ ხარისხს), რაც შექმნის დასაბუთებულ მოლოდინს უცხოელის საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოების არსებობის, ბინადრობის გაცემის მიზანშეუწონლობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაზე, რომ „კონსტიტუციური უფლებების... შეზღუდვის შეფასების საზომი, თანაზომიერების პრინციპია. აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და, შესაბამისად, კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე: „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-60).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების საგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღება-

დაც იგი გამოიცა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სამართალწარმოება ემსახურება იმის გამორკვევას, ი. კ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა თუ არა თანაზომიერ ჩარევას მის უფლებებში და იყო თუ არა აღნიშნული სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ღონისძიება.

სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეს ლუპსა რუმინეთის წინააღმდეგ (Lupsa v. Romania, №10337/04). აღნიშნულ საქმეზე, რუმინეთის პროკურატურის ბრძანებით, მომჩივნის რუმინეთის ტერიტორიაზე ყოფნა გამოცხადდა არასასურველად და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი რუმინეთიდან 10 წლით გაძევებისა და დეპორტირების შესახებ იმ საფუძვლით, რომ რუმინეთის დაზვერვის სამსახურს მიღებული ჰქონდა „საკმარისი და სერიოზული სადაზვერვო ინფორმაცია, რომ მისი საქმიანობა საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ უშიშროებას“ (Lupsa v. Romania, №10337/04, §39, 08.06.2006წ.). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიცხადის ხარისხი, რაც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მოეთხოვება, მეტწილად რეგულირების კონკრეტულ სფეროზეა დამოკიდებული. საფრთხეები, რომლებიც ეროვნულ უშიშროებას ემუქრება განსხვავდება ხასიათისა და დროის მიხედვით და ამიტომ წინასწარ მათი განსაზღვრა რთულია. თუმცა პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება ეროვნული უშიშროების ინტერესებზე დამყარებული ღონისძიება, არ უნდა წაერთვას თვითნებობის გამომრიცხავი ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ სადავო ღონისძიება ზედმიწევნით უნდა გამოიკვლიოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ყველა შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რათა შეაფასოს ღონისძიების კანონიერება და უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობის პრევენცია (იქვე, §37-38).

ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსის, ასევე საქმის მასალების ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა და გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, პრიორიტეტულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხები, თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ უნ-

და იქნეს საჯარო და კერძო ინტერესთა შეპირისპირებისა და მათ შორის, გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის ხარჯზე, რაც გამორიცხავს რომელიმე მხარის ინტერესების მომეტებული მოცულობით შეზღუდვას. ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 30 სექტემბრის განჩინებაში მოყვანილ სამართლებრივ მსჯელობაზე: „ზოგადად ადმინისტრაციული ორგანო არ არის შეზღუდული, დაეყრდნოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ ინფორმაციას და მხოლოდ მის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. ინფორმაციის გამოთხოვის შემდგომ, მასში მითითებული ცნობები გარკვეულ შემთხვევებში არის კონკრეტული და პირდაპირ მიუთითებს ისეთი გარემოებების არსებობაზე, რომელიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების მაღალი რისკის არსებობაზე დასაბუთებულ ეჭვს იწვევს და აბსოლუტურად საკმარისი არის პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისათვის, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა საიდუმლო მასალებში მითითებული ინფორმაცია იყოს ზოგადი, შეიცავდეს საფრთხის მხოლოდ აბსტრაქტულ ფორმულირებას, არ ქმნიდეს ზემოხსენებული ინტერესებისთვის საფრთხის მიყენების საფუძვლიან ეჭვს და მოითხოვდეს დამატებით სხვა გარემოებების მხედველობაში მიღებასა და ერთობლივ გამოკვლევას“ (სუსგ №ბს-1248(კ-20), 30.09.2021წ.).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ წინამდებარე შემთხვევაში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონით დადგენილი ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილების ფაქტი იმთავითვე არ წარმოშობს ბინადრობის ნებართვის გაცემის შესახებ ვალდებულებას, სააგენტოში წარდგენილი განცხადების ფორმალური გამართულობის, ბინადრობის კონკრეტული სახის გაცემისთვის ნორმატიულად დადგენილი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, სააგენტო უფლებამოსილია უარი თქვას ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, თუმცა სათანადოდ უნდა იკვეთებოდეს უარის თქმის საფუძველი. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პოზიცია სადავო აქტის მართლზომიერებასთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის პირობებში, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მომეტებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააგენტო მოკლებული იყო მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა გაეცნო რა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსს, საქმეში დაცულ მასალებს, მიიჩნევს, რომ მოსარჩელისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარი მართებულია. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დასადგომად – ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დადასტურდეს ნორმითვე გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა, კერძოდ, საქართველოში უცხოელის ყოფნით ქვეყნის უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მოსაზრება ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ არ არის საკმარისი, მისი მოსაზრება სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. განსახილველ შემთხვევაში, საიდუმლო ინფორმაციაში ასახული მონაცემების გათვალისწინებით, ასეთი დასაბუთება იკვეთება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა იმ მიზნის შესაბამისად, რასაც განსაზღვრავს კანონი და განცხადების განხილვის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც კი, გადაწყვეტილებები, რომლებმაც პირის უფლებებში ჩარევა გამოიწვია, უნდა დაექვემდებაროს სათანადო კონტროლს, რომელიც უნდა განხორციელდეს დამოუკიდებელი, კომპეტენტური ორგანოს მეშვეობით, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ინფორმაციის გამოყენება შეეძლება (Al-Nashif v. Bulgaria, 20.06.2002წ.; Chahal v. The United Kingdom, 15.11.1996წ.). ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ უარყოფს სახელმწიფოს მიერ უცხოელის თავის ტერიტორიაზე შესვლის ან ყოფნის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იმ პირობით, რომ სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი და რომ მასზე ქმედითი კონტროლი განხორციელდება. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ სადავო აქტის მიმართ სასამართლო კონტროლის აღნიშნული წინაპირობები სახეზეა, როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, აგრეთვე საკასაციო პალატამ გამოითხოვა სადავო აქტის გამოცემის საფუძვლად არსებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტში დაცული ინფორმაცია და შეაფასა საქმეში დაცულ მტკიცებულებებთან, მხარეთა ზეპირ და წერილობით ახსნა-განმარტებებთან ერთობლიობაში. ამდე-

ნად, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელესთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი სრულად დაცულია, ადმინისტრაციული ორგანოსადმი მინიჭებული დისკრეციის ბოროტად გამოყენებისგან დასაცავად სასამართლოს მხრიდან განხორციელდა „ადეკვატური და ქმედითი" პროცედურები საქმის „ეფექტიანი განხილვის" მიზნით (Lupsa v. Romania (§34), 08.06.2006წ.). მართალია, უშუალოდ მხარე ვერ გაეცნო სადავო აქტის საფუძვლად არსებულ მონაცემებს, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია შესწავლილი და შეფასებული იქნა სასამართლოს მიერ. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუ სასამართლო, მათ შორის საკასაციო პალატა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ მონაცემებს არასარწმუნოდ და შესაბამისად, მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმას დაუსაბუთებლად მიიჩნევდა, იგი მიიღებდა მოსარჩელის სასარგებლო გადაწყვეტილებას, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან მოწოდებული საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გათვალისწინებით სადავო აქტით დამდგარი სამართლებრივი შედეგი მართებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ი. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეს – ი. კ-ს უნდა დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააპელაციო საჩივარსა და საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 450 (150+300) ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინის-

ტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლებით,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 28 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ი. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელეს – ი. კ-ს დაეკისროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ მის მიერ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში საქმის განხილვისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ანაზღაურება;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

№ბს-958(კ-24) 11 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. აბუსერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ბ. სტურუა

დავის საგანი: შრომითი ბინადრობის ნებართვა

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ს-ლმა 2024 წლის 24 იანვარს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ,

რომლითაც მოითხოვა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის №1000926362 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ჯ. ს-ლისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე არის ტაილანდის სამეფოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში 2023 წლის 07 მარტს, შრომითი მიზნებით შემოვიდა. 2024 წლის 03 იანვარს ჯ. ს-ლმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართა განცხადებით, რომლითაც მოითხოვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება, რომელზეც ადმინისტრაციული ორგანო 2024 წლის 12 იანვრის №1000926362 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა" და „გ" ქვეპუნქტზე მითითებით. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა გაურკვევლობას და ინფორმაცია საჭიროებდა დაზუსტებას, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა საზოგადოებისთვის საშიშ პირს, არის კანონმორჩილი მოქალაქე და არ აქვს კანონთან კონფლიქტი არც საქართველოში, არც სხვა სახელმწიფოში, მის მიმართ არ მიმდინარეობდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოძიება. მოსარჩელის მოსაზრებით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ასევე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული საქმის გარემოებები, შესაბამისად, მიიჩნია, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის ფარგლებში მისი სარჩელი სრულად დაკმაყოფილდებოდა და მას ექნებოდა საქართველოში კანონიერად დარჩენის უფლების საფუძველზე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით ჯ. ს-ლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ს-ლი არის ტაილანდის სამეფოს მოქალაქე. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით, ჯ. ს-ლი დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მეწარმედ (ს/კ – ...) 2023 წლის 27 დეკემბერს. სსიპ შემოსავლების სამსახურის 03.01.2024წ. ცნობით, ერთიანი ბაზის მონაცემების მიხედვით, 03.01.2024წ. მდგომარეობით, ჯ. ს-ლი არ იყო რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, 2024 წლის 04 იანვრის მდგომარეობით, ჯ. ს-ლის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა „უცხოელთა და მოქა-

ლაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესზე“, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონზე, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსზე და მიიჩნია, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან არ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებით, სადავო აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად გამოიკვლია მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია და დაასკვნა, რომ სადავო აქტი გამოცემული იყო საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ჯ. ს-ლის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით ჯ. ს-ლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის №1000926362 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა ჯ. ს-თვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები,

და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ 35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე. ამავე კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. სწორედ ამ ნორმებზე მითითებით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოსარჩელისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემა, რაც გახდა სააგენტოს მიერ სადავო აქტის გამოცემის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ოპერატიულ ინფორმაციაში მითითებული გარემოებები სათანადო სტანდარტით არ აჩენდა საფუძვლიან ვარაუდს, რომ აპელანტი შესაძლოა წარმოადგენდა საფრთხეს საქართველოს უსაფრთხოებისათვის. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავდა დასაბუთებას, თუ რა დამატებითი მასალები გამოითხოვა, შეისწავლა და რის საფუძველზე მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, შესაბამისად, სადავო აქტით დაუსაბუთებლად იზღუდებოდა მოსარჩელის კანონიერი უფლება და ინტერესი, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი და მხარეთა დაუსწრებლად გამოკვლეული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დასკვნის ანალიზის მიხედვით, უფლების შეზღუდვა არ გამომდინარეობდა ლეგიტიმური მიზნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

კასატორის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის №1000926362 გადაწყვეტილება მიღებული იქნა კანონიერების პრინციპის განხორციელების გზით, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 01.09.2014წ. №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ შესაბამისად.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტზე მითითებით კასატორმა აღნიშნა, რომ ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. კასატორის წარმომადგენლის განმარტებით, ბინადრობის მინიჭება გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე, კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომელიც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

კასატორის წარმომადგენლის მოსაზრებით, „უცხოელთა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით გაწერილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, რომლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან/და იგი ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის განმარტებით, სა-

ქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა განმცხადებლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები, რომელზეც 2024 წლის 10 იანვრის №SSG 5 24 0004198 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს ჯ. ს-ლისთვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ხსენებული წერილი შემდგომში საფუძვლად დაედო სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

კასატორი უთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას, ამავდროულად კი განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება იუ-

რიდიულად არ არის დასაბუთებული, უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ჯ. ს-ლის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 12 ნოემბრის განჩინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად, ამასთან გადაწყდა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ს-ლის სარჩელი არ დაკმაყოფილდება, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 12 იანვრის № 1000926362 გადაწყვეტილებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ჯ. ს-ლს უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე; შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობის საგანია მიღებული გადაწყვეტილება ემყარება თუ არა ისეთი სახის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს მოსარჩელის მხრიდან სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საშიშროებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, რისი მიღების შემდეგაც, ამავე კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს საშუალებას აძლევს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებ-

ლოს სამედიცინო, სადაზღვევო თუ საბანკო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო მისი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში წყვეტს, იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. ბინადრობის მოწმობის გაცემით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი საქართველოში კანონიერად ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს უცხოელისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოს – სააგენტოს (კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი) მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამის შემდეგ, სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის შესახებ.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, ბინადრობის ნებართვის მოპოვების საფუძვლებისა და მიზნების გათვალისწინებით, საქართველოში გაიცემა რამდენიმე სახის ბინადრობის ნებართვა, მათ შორის, ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად უცხოელზე, რომელიც სააგენტოს წარუდგენს საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელ დოკუმენტს, აგრეთვე ცნობას, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები, და რომლის დამსაქმებელი საწარმოს/დაფუძნებული საწარმოს (გარდა საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულებისა) წლიური ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე 50 000 ლარზე ნაკლები არ არის. უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების წლიური ბრუნვა ამ მუხლის მიზნებისათვის არის არანაკლებ

35 000 ლარისა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე.

საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს ითვალისწინებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტი უარის თქმის საფუძვლად ადგენს ისეთი საქმიანობის განხორციელების დადასტურებას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 01 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში რიგ შემთხვევებში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2024 წლის 04 იანვარს №1000926362/1 წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფ-

რთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა – არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2024 წლის 10 იანვრის №SSG 5 24 00004198 წერილით, შესაბამის სამართლებრივ ნორმებზე მითითებით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ჯ. ს-ლისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა, რის საფუძველზეც გამოიცა სადავო აქტი.

საკასაციო სასამართლოს მიერ 2024 წლის 15 ოქტომბრის №ბს-958(კ-24) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მოსარჩელისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა.

საკასაციო პალატა, მიღებული საიდუმლო ინფორმაციის შესწავლის შედეგად, ხაზგასმით აღნიშნავს და ადასტურებს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილში (დასკვნაში) მოყვანილი ფაქტების არსებობის პირობებში, სააგენტო უფლებამოსილი იყო, მიეღო მოსარჩელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია შეცდომას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, სააგენტომ მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა კანონმდებლობის მიზნების მხედველობაში მიღებით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების დაცვით (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20^1 მუხლის შესაბამისად, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნის შეფასება ხდება სასამართლოს მიერ, რა დროსაც სასამართლო ხელმძღვანელობს მისი შინაგანი რწმენით, აღწერილი საფრთხის რეალიზების ალბათობის შეფასებით, დასკვნის დასაბუთებულობის, გონივრულობისა და სანდოობის შემოწმებით, აგრეთვე საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებით. ის ფაქტი, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები კმაყოფილდება, იმთავითვე არ გულისხმობს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ერთი და იგივე გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან სასამართლოს გადაწყვეტილებას სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან

ერთად საფუძვლად უდევს მოსარჩელის შესახებ კონტრდაზვერვის დეპარტამენტში არსებული ინფორმაცია, რომელიც განსხვავდება თითოეულ კონკრეტულ საქმეზე, რადგან იცვლება ინფორმაციის სუბიექტი.

მართალია, მოცემულ შემთხვევაში იზღუდება ჯ. ს-ლის შრომითი უფლება (იგი დარეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ), ვინაიდან იგი ვალდებულია გადაწყვეტილების აღსრულებიდან გამომდინარე დატოვოს საქართველო, თუმცა საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ შეზღუდვას საფუძვლად უდევს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გამოიხატება ქვეყნის უსაფრთხოების დაცვაში. სახელმწიფოებს არ ეკრძალებათ უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და იქ დარჩენის ხანგრძლივობის რეგულირება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდთა უფლებებში ჩარევა იყოს აუცილებელი და მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული (Berrehab v. The Netherlands). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ეროვნული უსაფრთხოების უპირატესი ინტერესი განმცხადებლის ინდივიდუალურ ინტერესთან შედარებით (Case of Leander v. Sweden). ამასთან, ეროვნული უშიშროების მოსაზრებებზე დამყარებულ ღონისძიებას დაქვემდებარებულ პირს არ უნდა წაერთვას თვითნებობის წინააღმდეგ ყველა გარანტია, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაბამისი ღონისძიება უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი და ობიექტური ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია შეაფასოს ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რათა ღონისძიების მართლზომიერება გადაწყვიტოს და ხელისუფლების მიერ შესაძლო თვითნებობა გამორიცხოს (Case of Lupsa v. Romania). კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოს აქვს თავისუფლება აკონტროლოს მის ტერიტორიაზე უცხოელის შემოსვლის, ბინადრობისა და გაძევების საკითხები (Case of Khasanov and Rakhmanov v. Russia, 2022, §93).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობს. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების თაობაზე. ამდენად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკ-

მაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩლი არ დაკმაყოფილდა, ჯ. ს-ლის მიერ სარჩელსა და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ჯამში 250 ლარის ოდენობით უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად, მასვე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოს უნდა დაეკისროს საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 394-ე, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2024 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ჯ. ს-ლის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ჯ. ს-ლის (პასპორტის №...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს სააგენტოს მიერ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი – 300 (სამასი) ლარის ანაზღაურება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. მოქალაქეობა

მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება

განჩინება
საქართველოს სახელით

№ბს-715(კ-23) 9 ნოემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ფ.ა.რ.ჯ-მა 2020 წლის 16 ნოემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ, „მოსარჩელისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე უარის თქმის შესახებ“ ამავე სააგენტოს 2020 წლის 20 ოქტომბრის №1000701151 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ფ.ა.რ.ჯ-ისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე უარის თქმის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება დააფუძნა მხოლოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიღებულ საიდუმლო ინფორმაციას. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა პრიორიტეტულია, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიდგომა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა იყოს ინდივიდუალური, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება გამოკვლეული/დასაბუთებული. განსახილველ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა, რომ მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ქ. ჩ-სთან, მათ

ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ სადავო აქტის ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოსარჩელისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ.ა.რ.ჯ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფ.ა.რ.ჯ-ი 2017 წლის 15 დეკემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ქ. ჩ-სთან და მათ ჰყავთ 2 შვილი, ლ.ფ.ა.რ. ჯ-ი ჩ-ე და ა.ფ. ჯ-ი ჩ-ე.

ფ.ა.რ.ჯ-ს საკუთრებაში აქვს ქ. თბილისში, ...ის ქ. №43-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება.

ამასთან, დადგენილია, რომ ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის მიერ, 09.10.2013 წლიდან 08.10.2018 წლამდე ფ.ა.რ.ჯ-ის (თავშესაფრის მაძიებლის) სახელზე გაიცა პალესტინელ ლტოლვილთა სამგზავრო დოკუმენტი, ხოლო 2018 წლის 21 აგვისტოდან 2019 წლის 15 აგვისტომდე, ასევე, 2019 წლის 15 აგვისტოდან 2019 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში გაიცა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობები.

ფ.ა.რ.ჯ-მა 2020 წლის 20 იანვარს გაცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენა მოითხოვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ წერილით მიმართა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და ითხოვა, ეცნობებინა-არსებობდა თუ არა ფ.ა.რ.ჯ-ისათვის საქართველოში მოქალაქეობის არმქონის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის 2020 წლის 21 იანვრის ინფორმაციის თანახმად, ფ.ა.რ. ჯ-ზე დეპარტამენტს ინფორმაცია არ მოეპოვება.

ქალაქ ...ში საქართველოს საელჩოს 2020 წლის 20 ივლისის №24895-32 წერილით საქართველოს საგარეო სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტს ეცნობა, რომ ფ.ა.რ.ჯ-ი არ არის იორდანიის მოქალაქე, არ აქვს პირადი ნომერი და მასზე იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს მიერ არ არის გაცემული რაიმე სახის სამოქალაქო დოკუმენტი.

საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტით დგინდება, რომ ფ.ა.რ.ჯ-ს არ არის საუდის არაბეთის მოქალაქე.

საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №SSG 2 20 00087468 წერილობითი მიმართვით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს ფ.ა.რ.ჯ-ისთვის საქართველოში მოქალაქეობის არმქონის სტატუსის მინიჭება მიზანშეუწონლად მიაჩნია. ამრიგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ოქტომბრის №1000701151 გადაწყვეტილებით ფ.ა.რ.ჯ-ის უარი ეთქვა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე მითითებით აღნიშნა, რომ უცხოელისათვის საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად სააგენტო უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. სასამართლომ უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულებელყოფით, რის მისაღწევადაც მას მინიჭებული აქვს იგი.

ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №SSG 2 20 00087468 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად დაედო გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები, რომლებიც არც ერთი მხარის მიერ არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სამართალდაცვითი მიზნებისათვის. შესაბამისად, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოცემისას შეემოწმებინა წერილის საფუძვლად მითითებული გარემოებები და დოკუმენტაცია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააგენტოს მიერ სადავო გადაწყვეტილების „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გამოყენებით დასაბუთება შეესაბამებოდა კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში არ მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება ფ.ა.რ.ჯ-მა სააპე-

ლაციო წესით გაასაჩივრა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის პირველი მარტის განჩინებით ფ.ა.რ.ჯ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მართებული სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის პირველი მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფ.ა.რ.ჯ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს მსჯელობასა და დასაბუთებას დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხზე, როგორიცაა კერძო და საჯარო ინტერესების კონკურენცია. სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების დროს რა საჯარო და კერძო ინტერესი დაუპირისპირდა ერთმანეთს და რატომ გადაწყდა საკითხი ერთ-ერთის სასარგებლოდ. ამასთან, მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ოჯახის ერთიანობის პრინციპთან მიმართებით. გასათვალისწინებელია, რომ კასატორი იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში საქართველოს მოქალაქესთან, რომელთანაც ჰყავს საქართველოს მოქალაქე საერთო შვილები.

კასატორის მითითებით, განსახილველი დავის საგნის მსგავს საკითხებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არა ერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა და არაერთხელ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელს/თავშესაფრის მაძიებელს ემუქრება გაძევება იმ მოტივით, რომ ის წარმოადგენს საფრთხეს ქვეყნისთვის და აღნიშნულ პირს ან მის წარმომადგენელს არ აქვს წვდომა ამ დოკუმენტზე, სახეზეა სხვა უფლებასთან ერთად კონვენციის 13-ე მუხლის დარღვევა, რომლის მიხედვით, ყველას ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლიანი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა. კა-

სატორმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითა შემდეგ გადაწყვეტილებებზე: regner v. czech republic, Lupsa v. Romania, Ljatifi v. The Former Yugoslav Republic of Macedonia. კასატორმა აღნიშნულის გათვალისწინებით სადავოდ გახადა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №SSG 2 20 00087468 წერილის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 19 ივლისის განჩინებით ფ.ა.რ.ჯ-ის საკასაციო საჩივარი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ფ.ა.რ.ჯ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ფ.ა.რ.ჯ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის პირველი მარტის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2020 წლის 20 იანვარს ფ.ა.რ.ჯ-მა განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2020 წლის 21 იანვარს წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა, ეცნობებინა – არსებობდა თუ არა ფ.ა.რ.ჯ-ისათვის მოქალაქეობის არმქონის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. საქართველოს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №SSG 2 20 00087468 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნდა ფ.ა.რ.ჯ-ისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭება. ამრიგად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2020 წლის 20 ოქტომბრის №1000701151 გადაწყვეტილებით ფ.ა.რ.ჯ-ს უარი ეთქვა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2020 წლის 20 ივლისის №SSG 2 20 00087468 წერილში ასახულ უარყოფით დასკვნას საფუძვლად უდევს გასაიდუმლოებული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში შესაფასებელია მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნის საფუძვლით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს არეგულირებს საქართველოს კანონი – „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელი არის პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი; ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირი არის პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის მიზნით დაინტერესებული პირი განცხადებას წარუდგენს სააგენტოს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებების დასადგენად განმცხადებელი მიიწვიოს გასაუბრებაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია საქმის განსახილველად საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოიყენოს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება. ამავე კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენაზე, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ.

საკასაციო პალატა მიუთითებს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცე-

მები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ" ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნული სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად კი, სააგენტო უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თუმცა, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. აღნიშნული გარემოება მეტყველებს იმაზე, რომ დისკრეციული უფლებამოსილება არ არის შეუზღუდავი და ადმინისტრაციულმა ორგანომ მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი გარემოებები, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა და ამის საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი მოქალაქეობის არმქონე პირის სტა-

ტუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული აქტის კანონიერების საკითხის შემოწმება პირდაპირ უკავშირდება იმ ინფორმაციის გაცნობასა და შესწავლას, რომელიც კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილით გათვალისწინებული დასკვნის გაკეთების მიზეზი გახდა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, 2023 წლის 19 ივლისს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს დამატებით მიმართა განჩინებით და გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც დაედო საფუძვლად ფ.ა.რ.ჯ-ისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის დადგენის მიზანშეუწონლად მიჩნევას.

გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სადავო აქტი და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, სრულად ვერ აქარწყლებს და პასუხობს კასატორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს, მისი ოჯახის ერთიანობის და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობას ამოწმებს არა ფაქტობრივი, არამედ სამართლებრივი თვალსაზრისით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, მოსარჩელე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება საქართველოს მოქალაქე ქ. ჩ-სთან და მათ ჰყავთ 2 არასრულწლოვანი შვილი, ლ.ფ.ა.რ.ჯ-ი ჩ-ე და ა.ფ.ჯ- ჩ-ე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას ამოწმებს როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ სააპელაციო სასამართლო, საკასაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, შებოჭილი არაა პროცესუალური შესაძლებლობით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვა მიმდინარეობს

იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის და სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს, დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედოს ფაქტობრივი გარემოება/მტკიცებულება, რომელიც სამართალწარმოების პროცესში მხარეთა აქტიური მონაწილეობით სათანადო წესით არ ყოფილა გამოკვლეული და რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს არ მისცემიათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება აპელანტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, რომ მხედველობაში არ მიუღია და არ გაუთვალისწინებია მოსარჩელის მეუღლისა და არასრულწლოვანი ორი შვილის არსებობა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც აპელანტი პირდაპირ მიუთითებდა, აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებზე სააპელაციო საჩივარში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ერთმანეთთან არ შეუპირისპირებია, ერთი მხრივ, მოსარჩელის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს უსაფრთხოების მიზნებისათვის მოსარჩელისათვის მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის აუცილებლობა. საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ დღევანდელი მოცემულობით დასტურდება, რომ მოსარჩელესა და მის მეუღლეს ჰყავთ არასრულწლოვანი საერთო შვილები, რომლებიც დაიბადნენ საქართველოში და არიან საქართველოს მოქალაქეები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთს დაუპირისპირდეს, ერთი მხრივ, ოჯახის ერთიანობისა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვის უფლება, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებისათვის პირის ამ უფლებაში ჩარევის თანაზომიერება და აუცილებლობა. ამდენად, სასამართლო ვალდებულია ყველა მსგავს შემთხვევაში გადაწყვეტილება სწორედ ამ ორი საკითხის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიიღოს, რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს, ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში თანაზომიერი და აუცილებელი ჩარევის კანონიერად მიჩნევას, ხოლო მეორე შემთხვევაში მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევის არათანაზომიერად/არააუცილებელ ღონისძიებად მიჩნევას (Jeunesse v. The

Netherlands, დიდი პალატა, №12738/10, 3 ოქტომბერი, 2014წ.; Liu v. Russia №42086/05, 6 დეკემბერი, 2007წ.; Nunez v. Norway, №55597/09, 28 ივნისი, 2011წ.).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გაუქმდეს სადავო გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლომ ხელახალი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად, მოსარჩელის ოჯახის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებისა და ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის პრინციპის ურთიერთშეპირისპირების შედეგად უნდა იქნეს მიღებული. სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სამართლებრივი ანალიზისა და მიღებული დასკვნების საფუძველზე დავის გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით პირველი ინსტანციის

სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრების ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით სრულყოფილი შემოწმება.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და პროცესუალურ წინამძღვრებს, სახეზე გვაქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამავე კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, განსახილველ საქმეზე გაწეული სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს იდენტურ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები გაკეთებული აქვს 2022 წლის 3 ნოემბრის განჩინებით საქმეზე №ბს-474(კ-20), რითაც, კონკრეტულ შემთხვევაში, იხელმძღვანელა საკასაციო პალატამ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ფ.ა.რ.ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის პირველი მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge